

ყვარლი

გამოდის 1932 წლიდან

ფასი 60 თეთრი

8 მარტს გილოცავთ ქვირფასო ქალბატონებო!



ქალთა საერთაშორისო დღე 8 მარტი: ისტორია და ტრადიციები

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ქალთა საერთაშორისო დღეს ყოველწლიურად აღნიშნავენ. ამ დღეს ქალბატონებს ულოცავენ და ცდილობენ მათ ბედნიერება მიანიჭონ.

თავიდან მას წმინდა პოლიტიკური ელფერი დაჰკარავდა და თანასწორობისა და საკუთარი უფლებებისთვის ქალთა ბრძოლის დღე იყო. მაგრამ დრომ ამ დღესასწაულს პოლიტიკური ელფერი დაუკარგა და დღეს ჩვენ გაზაფხულისა და სიყვარულის დღესასწაულს აღვნიშნავთ.

ისტორია

არსებობს ვერსია, რომ 8 მარტის აღნიშვნის ტრადიცია „ცარიელი ქვაბების მარშს“ უკავშირდება, რომელიც 1857 წელს ნიუ-იორკში სამკერვალო ფაბრიკების მუშა-ქალებმა გამართეს. მათი მთავარი მოთხოვნები სამუშაო დღის შემცირება, შრომის ანაზღაურების პირობების გათანაბრება მამაკაცებისთვის არსებულ პირობებთან და საარჩევნო უფლებების მიღება იყო.

თუმცა, დღესასწაულის წარმოშობა გერმანელი კომუნისტის კლარა ცეტკინის სახელს უკავშირდება. 1910 წელს კოპენჰაგენში გამართულ ქალთა ფორუმზე კლარა ცეტკინმა მსოფლიოს მოუწოდა 8 მარტის საერთაშორისო ქალთა დღედ აღნიშვნის შესახებ. ამ დღეს ქალებს უნდა გაემართათ მიტინგები, მსვლელობები და ამ ფორმით უნდა ეცადათ საკუთარ პრობლემებზე საზოგადოების ყურადღების მიპყრობა.

1911 წლიდან ქალთა საერთაშორისო დღეს რიგ ქვეყნებში ქალები ატარებდნენ მიტინგებს, რომელიც გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრისკენ იყო მიმართული.

რამდენიმე წლის განმავლობაში ქალთა დღეს სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვა დროს აღნიშნავდნენ. 1911 წლის 19 მარტს ის გაიმართა გერმანიაში, ავსტრიაში, დანიაში და სხვა ევროპულ ქვეყნებში. 1912 წელს ქალები საკუთარი უფლებებისთვის ევროპის მასშტაბით 12 მაისს, 1914 წელს კი 8 მარტს იბრძოდნენ.

ხმის უფლება ქალებმა გერმანიაში, ავსტრიაში, უნგრეთში, ჩეხეთში 1918 წელს, აშშ-ში კი 1920 წელს მიიღეს.

1945 წელს სან-ფრანცისკოში ხელი მოეწერა გავრცელებული, რომელიც სხვა დანარჩენთან ერთად იქცა პირველ საერთაშორისო შეთანხმებად, რომლითაც გამოცხადდა მამაკაცისა და ქალის თანასწორობა.

1975 წელი გაერომ ქალთა საერთაშორისო წლად, ხოლო 8 მარტი ოფიციალურად გამოაცხადა დღესასწაულად. „მსოფლიოში შრომის ბაზარზე ვითარება იცვლება და ეს სიტუაცია მნიშვნელოვან კვალს ტოვებს ქალებისთვის.“

გაგრძელება მე-2 გვ. -ზე

„თუ არ გიყვარს, არ ეყვარები, უსიყვარულოდ ვერ გაანათიებ!“



ამ ინტერვიუთი, გაზაფხულის უმშვენიერეს დღესასწაულებს ეულოცავთ ყველა ქალბატონს – ჩვენს დედებს, დებს, ბებულებს, ახლობლებს. მათ შორის თქვენ, ქალბატონო იზოლდა, რომელსაც ჩვენი საზოგადოების წინაშე წარდგენა ნამდვილად არ გჭირდებათ.

გარდა იმისა, რომ თქვენი ლექსები მრავლისმთქმელია და ნათლად გამოხატავს თქვენს ნაზრევ-ნაფიქრალს, ამასთან ერთად, აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობით, შემოქმედებით თუ პედაგოგიური მოღვაწეობით მრავალი წლის წინ გაგიცნოთ ხალხმა. თავად რას გვეტყვით საკუთარ ცხოვრებაზე, რა გზა გამოიარეთ ბავშვობიდან დღემდე?

– ერთ პატარა იმერულ სოფელში ბალაოჯიანში, გოდერძი იოსებიაშვილისა და მანია მიქაუტაძის ოჯახში გაიზარდეთ მე და ჩემი ძმა – ემზარი იოსებიაშვილი.

ამ სოფელში უკეთილმოზილესი ადამიანები ცხოვრობენ. მათ მასწავლეს ყველაფერი: სამშობლოს და ადამიანის სიყვარული.

არ ვიცი, მეკუთვნოდა თუ ბედმა გამიმართლა, მუდამ აქტიური საზოგადოებრივი ცხოვრების ფერხულში ვიყავი ჩართული: უმაღლესი სასწავლებელი, სკოლის პედაგოგობა, 30 წლის ასაკში

გაგრძელება მე-2 გვ. -ზე

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გადამწყვეტილებით, საქართველოს ყველა რეგიონის თვითმმართველობის წარმომადგენლებთან შეხვედრები იმართება. შეხვედრებს ორგანიზებას სამინისტროს უწყება – სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო უწყევს.



რეგიონული შეხვედრა თვითმმართველობის წარმომადგენლებთან



მზარდაჭერის მიზნით, კახეთის რეგიონში არაერთი მიზნობრივი პროგრამა განხორციელდა, მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით. აღსანიშნავია, რომ კახეთის რეგიონში, აგროდაზღვევის პროგრამის ფარგლებში, გასულ წელს, ანაზღაურებულმა თანხამ 2 მილიონ ლარს გადააჭარბა.

შეხვედრაზე გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი უწყებების წარმომადგენლებმა მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების შესახებ პრეზენტაციები წარმოადგინეს.

შეხვედრაზე სამინისტროს და სამინისტროს სისტემაში შემაჯავლი უწყებების პროგრამებისა და სერვისების შესახებ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მექანიზმებზე იმსჯელეს.

ალექსანდრა გიბილიძე

რესურსების დაცვის სამსახურების წარმომადგენლები კახეთის რეგიონიდან. შეხვედრის მონაწილეებს სიტყვით კახეთის რეგიონის სახელმწიფო რწმუნებულმა, ირაკლი ქადაგივილიმ, სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს დირექტორმა, ილია თამარაშვილმა მიმართეს.



ილია თამარაშვილმა სახელმწიფო პროგრამების შესახებ ფერხერთა ინფორმირების სათვის ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებთან ჩართულობის მნიშვნელობას გაუსვა ხაზი. მისი განცხადებით, სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების მიმართულებით პროგრამები სოფლად დამატებითი ღირებულებების შექმნას, საშუალო ადგილების გაჩენას და შემოსავლების ზრდას უზრუნველყოფს.

სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს მერ, 2019 წელს, ადგილობრივი მენარმეებისა და ფერმერების



ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო და მერია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 103 წლის ასაკში გარდაიცვალა დიდი სამამულო ომის მონაწილე და სამხედრო ძალების ვეტერანი, სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენისა და საბრძოლო მედლების კავალერი **ლავითი მეტრეველი** და მწუხარებაში თანაგრძნობას უცხადებენ ოჯახსა და ახლობლებს.

„თუ არ გიყვარს, არ ეყვარები, უსიყვარულოდ ვერ გაანათიხ!“

დასაწყისი 1-ელ გვ. -ზე

დირექტორობა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელობა – ჩემი ცხოვრების თანამდევნი პროცესები იყო. მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დირექტორად 20 წელი ვმუშაობდი. ეს იყო ჩემი ცხოვრების ძალიან ნათელი წერტილი. პარალელურად სკოლაში ვასწავლიდი ქართულ ენასა და ლიტერატურას, მსოფლიო კულტურის ისტორიას. ქუჩაში უსაქმურად მყოფ ბავშვს რომ დაეინახავდი, თავი დამინახე მეგონა. ხელს ვკიდებდი და მოსწავლეთა სახლი მიმყავდა. ამჟამად კულტურის სახლის სამხატვრო ხელმძღვანელი ვახლავართ. ვარ ორი ვაჟის შალვასა და ზურას დედა და ლაზარე დოკვიძის ბებია.

– თვლით, რომ ხართ წარმატებული ქალბატონი?



ქალის ისტორია
 მე, როცა ერთადერთი ვიყავი და ვაშლი, ჩემად დავაგვიმოვიცი, იმ წამში მივხვდი სიყვარულის არსს, სამარადობად ვიყავი, ვემონე! ხან მზე ვიყავი, მთვარე – თვალცრემლა... ვინ არ ვიყავი, სად არ ვიყავი... ხან, ჩაბრახული ვიყავი, ბედისგან, ხან – აღმა მფრენი, გაურთიყავი! იყო დრო ტახტი მე მეკუთვნოდა, მოლაპატენტებ განზე ვერყავი და მაინც, თუნდაც მატრიარქატშიც, უპირველესად, ქალი ვიყავი! მეგობრობაში ვიყავ ასმათი, ერთგულეობაში ვგავდი თინათინს, ნესტანს – სიტყვებით, ცხიხე მჯდომარეს და მომლოდინეს, შხის ათინათის! მე ნანაც ვიყავი, ვინც რომ პირველად, რწმენას ჯვარცმულის, იღებს ნინოსგან! მე კლიოპატრაც ვიყავი ერთ დროს და თმაგაშილი ვიდექ ნილოსთან! მე ჟანა დარკიც ვიყავი, უდრეკი, მედეაც ვიყავი, ჯეინ ეარიც, ვარდნის შვილი ვიყავი შუმანიც, ხან ნანა მემოსა, როგორც აბჯარი! დედის იმედის სათნოება და გადათელილი მარგოც ვიყავი... მე დელსინეა ვიყავი, ტობოსას, სიყვარულისგან გაურთიყავი! გრობოდივიც ვივლოვე ცრემლით. ანაც ვიყავი მე, კარენინა, ცისფერი კაბით, გრძელი საყურით, ვიყავი ტატოს ეკატერინა! სამას არავგელს ვზრდიდი ბრძოლისთვის. მერე მათ ხსოვნას, გულს ვინახავდი! მედროშეს მკლავში ვეშველებოდი, დროშას დახრის თუ დაეინახავდი! გამოვიარე ქარტეხილები. საუკუნეებს რწმენით მოვყვები, ხან მოლაპატენტებ ვაგზარდე შვილი, ხან სამშობლოსთვის ვზარდე ბოკვრები! თამარი ვიყავი, ხან – ქეთევანი. ალგეთს – ლეკვები გამომიზრდია! კაცობრიობის მიზიდვას ტვირთი, სიკეთის კვირტი – ხედ გამიზრდია! ვარ სიყვარულში – თავგანწირული, უცნობი ქალის თეთრი ვარდები... ხან ზეცას ვქარავი, ნახი ოცნებით, ხან ხელს მკრავნი და უფსკრულს ვვარდები! ხან ხმლით ვიბრძოდი, ხანაც – თვალებით და ხელს ვუწყობდი ნინოსგან-მეცხებს... სანამ ვარსებობ, მე არ დავუშვებ, კაცობრიობის გადაშენებას!

დედის ანდრეაძი
 როდესაც ამ ქვეყნად მე აღარ ვიქნები, გულს ნუ დაიტანჯავთ დარდით და ფიქრებით...
 იცოდეთ, არ იდარდოთ, წინასწარ გიყვრებით!
 მზის სითბოსა და მთვარის ღიმღიმით, ვარსკვლავთ ციმციმით შეძებთ, ვ ი ქ ე ბ ი!
 როდესაც გულს სევდა ეწვევა, აგებლებათ დარდი და ფიქრები,

– რადგან ყვარულმა საპატიო მოქალაქედ ამირჩია, ესე იგი ვარ. წლების განმავლობაში ვიყავი სახალხო დღესასწაულის „ილიაობის“ წამყვანი. ხალხმა შემეყვარა როგორც პოეტი და როგორც ადამიანი. ამ დიდ სიყვარულს ყოველდღიურად ვგრძნობ ქუჩაში შემხვედრი მოქალაქეებისგან.

– ქალის როლი საზოგადოებაში?
 – ყოველთვის მქონდა და მაქვს საზოგადოებრივი დატვირთვა: ვარ ქალთა საბჭოს თავმჯდომარე. ვიყავი ნიგნის მოყვარულთა საზოგადოების ხელმძღვანელი, ვარ მწერალი და შემოქმედთა კავშირის წევრი. ბევრ დროს ვანდობარასაოჯახო და არასამსახურებრივ საქმეებს. ერთუზიანობით ვიცხოვრე და ალბათ, კვლავაც ასე იქნება.

– თქვენ როგორ, გულთი ნაკეთები საქმე არ იკარგება. ქალის როლი უდიდესია ცხოვრების მოწინააღმდეგეებში, როგორც გარეთ, ასევე ოჯახში.

– თქვენი აზრით, რა არის ცხოვრებაში ქალისთვის მთავარი?
 – ცხოვრებაში, მთავარი, ქალისთვის, ისევე როგორც ნებისმიერი ადამიანისთვის, სიყვარულია. „რაც არ ინების, არ ანათებს!“ – ამ ნათქვამის არსი მე ასე მესმის – „თუ არ გიყვარს, არ ეყვარები, უსიყვარულოდ ვერ გაანათიხ!“.

– პირადად ჩემთვის, მთავარია: „მოვეცე ადამიანებს ისე, როგორც მინდა, რომ მე მომიქცნენ“ და კიდევ: „ადამიანს მხოლოდ მაშინ დავხედავ ზემოდან, როცა მას ფეხზე ნამოყვებია სჭირდება!“.

–საინტერესოა რას ფიქრობთ, არის თუ არა დღეს, გენდერულად თანასწორი საზოგადოება და რაშია ამ მხრივ პრობლემა?
 – მართალია, ვარ ქალი, მაგრამ ფიქრობ ამ მხრივ პრობლემა არ არსებობს. მთავარია ადამიანი იყოს გონიერი, განათლებული, მორალური ღირებულებებით სავსე და მიანდეთ მას დიდი საქმე. რა მნიშვნელობა აქვს, სახელმწიფოებრივად მხედველი ადამიანი ქალი იქნება თუ მამაკაცი.

– როგორ ფიქრობთ, რა გამოწვევების წინაშე დგანან ქალები საქართველოში?
 – ფიქრობ, ამ კითხვაზე პასუხს ჩემი ლექსები გასცემენ.

– რა დატვირთვა აქვს თქვენთვის ქალთა დღესასწაულებს, დედის დღეს – 3 მარტს და ქალთა საერთაშორისო დღეს 8 მარტს?
 – თავიანთ ვეცემ ოჯახის და სამშობლოს ერთგულ ქალბატონებს. 3 და 8 მარტი გაზაფხულის პირველი დღესასწაულებია. ვულოცავ ყველა დედას, დას, მეუღლეს, მეგობარს, მეზობელს და ჩემს ლექსებს უძღვნი, როგორც საჩუქარს.


ესაუბრა იან გიზიაშვილი

შრომას რომ არ გიყვარებდი, ახლა ვნუხვარ, ბოდიშს ვებედავ...
 რა ძნელია უშენობა, გვიან მივხვდი, ვაი, დედა! მუდამ, ცხადად თუ სიზმარში ჩემს გვერდით ხარ, აქვე გხედავ! თითქოს გესმის, რასაც ვნუხვარ, გუმოგრიცი: ვაი, დედა! შეშლილი ცეცხლად მზე მინთია, როცა შვილებს კარგად ვხედავ... ჩემი როლი მევითავსე, მე თქვენთან ვიქნები! შენ მასწავლე სიყვარული შენ მასწავლე გულთი ხედვა, ახლა მე ვარ იქ, იმ წუთში, შვილი როცა მიხმობს: დეე დეე!

საქართველო და პართული
 ამ მიწის მაღლა გამზარდა, ზეცის აქ მხურავს საბანი, აქ მაქვს წინაპართ საძვალე, ჩემი ცრემლებით ნაბანი... ის ხეც ამ მიწას იზრდება, ერთი სამარის ფიცარი, ჩემი მაცხელები სამშობლო, უფალთან დასაფიცარი! არ ამრევია ბოროტში, კეთილი აქ შევიცანი, აქ გაითლება, იმ ხისგან, ჩემი სამარის ფიცარი! მხოლოდ ერთი მაქვს სამშობლო, ენა-სამ ანბანქართული, მე სხვათა ენას არ ვსწავლობ, სხვებმა ისწავლეს ქართული! სხვებმა სასწრაფო ვუგუნეს ვუგედებ, მის ფერხულში ვარ ჩართული, გულში კი ორი მზე ბრწყინავს – საქართველო და ქართული!

ეს არის ცხოვრება
 ვილაცას ვუწოდებთ და ვილაცას ვუყვარვართ... ვილაცოს თვალში კი, სულ არ ვართ აზარა... ეს არის ცხოვრება, მტერიც გვყავს, მოყვარეც, ეს არის ცხოვრება, ძვირფასო, აბა, რა! თუნდაც, ბრძენი იყო, ნიჭით და ზნეობით საქვეყნოდ ცნობილი, თან უკვე ქალბატონი! მტერიც გყავს – მოშურნი, მოკუთაც – უღვინი! ეს არის ცხოვრება, ძვირფასო, აბა, რა! თუნდაც, ბრძენი იყო, ნიჭით და ზნეობით საქვეყნოდ ცნობილი, თან უკვე ქალბატონი! მტერიც გყავს – მოშურნი, მოკუთაც – უღვინი! ეს არის ცხოვრება, ძვირფასო, აბა, რა! თუნდაც, ბრძენი იყო, ნიჭით და ზნეობით საქვეყნოდ ცნობილი, თან უკვე ქალბატონი!

იხილეთ იოსებიაში



ქალთა საერთაშორისო დღე 8 მარტი: ისტორია და ტრადიციები

დასაწყისი 1-ელ გვ. -ზე

ერთი მხრივ, გლობალიზაციის პროცესი და ტექნოლოგიების სფეროში რევოლუციური ცვლილებები ახალ შესაძლებლობებს ქმნის, მეორე მხრივ კი ჩვენ ვაჩვენებთ ისეთ პრობლემებს, როგორც ციფრული უთანასწორობის ფინანსური და სოციალური პოლიტიკის ცვლილება, არანორმირებული საკონსუმიტორი პოტენციალის განმტკიცების ძალისხმევის კონტექსტში გავითვალისწინოთ“, – მიიჩნევენ გაეროში.

1965 წლიდან, საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, ქალთა საერთაშორისო დღე უქმე დღედ გამოცხადდა.

საქართველოში დღესასწაული, სადაც ეს დღე სხვა საბჭოთა ქვეყნების მსგავსად აღინიშნებოდა, სსრკ-ის დაშლის შემდეგ გაუქმდა.

თუმცა 2002 წლის მარტში, ელუარდ შევარდნიას პრეზიდენტობის დროს, პარლამენტის გადაწყვეტილებით ქალთა საერთაშორისო დღე 8 მარტად დღესასწაულის სტატუსი კვლავ მოიპოვა.

ამ გადამწყვეტილების ინიციატორი ნინო ბურჯანაძე გახდა, რომელიც მაშინ პარლამენტის თავმჯდომარე იყო.

სხვადასხვა ქვეყნებში ამ დღის აღნიშვნის ტრადიცია განსხვავებულია – ზოგიერთ ქვეყნებში მას უფრო მასშტაბურად, ზოგან კი უფრო მოკრძალებულად აღნიშნავენ.

ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე 8 მარტს პრაქტიკულად ყველგან აღნიშნავენ, მათ შორის უკრაინაში, ბელარუსში, უზბეკეთში, ყაზახეთში, ყირგიზეთში, ტაჯიკეთში.

ეს არის დღე, როდესაც ყველა ქალი ამაღლებულ განწყობაზე, როდესაც ქალს ყვევლებს და საჩუქრებს უძღვნიან, ყვავილებიდან კი 8 მარტს არჩვენს მიმზებზე, ტიტებზე, ნარცისებზე, ვარდებსა და ენქლებზე აჩერებენ. თუმცა, მათგან მხოლოდ მიმოზა იქცა დღესასწაულის არაოფიციალურ სიმბოლოდ.

ამ დღეს ქალეობაში მიძღვნილი სხვადასხვა ღონისძიებები ტარდება, მათ შორის, გამოფენები, კონცერტები, ფლემპობები და ა. შ.

როგორც ნესი, 8 მარტს ზემოთხსენებულ გარემოში, მეგობრებთან და ახლობლებთან ერთად მამაკაცები ამ დღეს ულოცავენ დედას, მეუღლეს, დას, ქალიშვილს და შვილებისდაგვარად ოჯახური საქმეებისგან მათ გათავისუფლებას ცდილობენ.

დღესასწაული მდიდარია ტრადიციებით, თუმცა ყველაზე მთავარი – ქალი-სადმი გამოჩენილი განსაკუთრებული ყურადღებაა. გაუფრთხილდით ქალბატონებს, მიულოცეთ დღესასწაული, მიუძღვებით ყვავილებს და საჩუქრებს, გაანებივრეთ ისინი და არა მარტო 8 მარტს, არამედ ყველა დღეს.

დიდი მადლოზა ყველას...

ბავშვობაში მსმენია, რომ მძიმე ავადმყოფი შეიძლება უნამლოდაც კი განიკურნოსო. მართალი აღმოჩნდა ეს ნათქვამი.

მიმდინარე წლის 10 იანვარი შეიძლება ჩემი ცხოვრების ბოლო დღე ყოფილიყო, ყვარლის საავადმყოფოს რომ არ ჰყავდეს მცოდნე, გულსისხიერი, თავის საქმეზე შეყვარებული პერსონალი – ექიმები, ექთნები, სანიტრები, სასწრაფო დახმარების მანქანების მძღოლებიც კი. უძალი ღამის შემდეგ დღითი თავს ძალიან ცუდად ვგრძნობდი, გულის რევის შეგრძნება, საერთო სისუსტე, უმადობა. წნევის აპარატმა 170/90 აჩვენა. ეს ჩემთვის ძალიან მაღალი იყო, ვინაიდან ჩემი ჩემომალური წნევა 120/70-ზეა. ნამლებს – კანტარონისა და ადელფანის მიღების შემდეგ წნევა უფრო მაღლა მიწევდა. ჩემმა შრომათა სასწრაფო დახმარება გამოიძახა. გასაკვირი ის იყო, რომ გამოძახებულნი სამი წუთიც არ იყო გასული, რომ ჩემი სახლის ნინ გაჩნდა. ასეთი პუნქტუალობა ადრე ჩემს ყურს არ მსმენია; აგრეთვე მოვიხიბლე ექიმ შენგელიას ყურადღებით. კარდიოგრამაც გადამიღო, წნევა კიდევ შემოინმა, 200-მდე იყო ასული. ამ დროს ჩემი შვილიშვილი მოვიდა. სწორედ მან შენიშნა, რომ ექიმის შეკითხვებს უცნაურად სწრაფად ვპასუხობდი, მერე ჩურჩულით დაიწყეს საუბარი. აშკარა იყო, რაღაცას ეჭვობდნენ. ჩორმალურად ვაზროვნებდი, ხელ-ფეხის უმოძრაობას ვერ ვგრძნობდი. ბევრი მცდელობის შემდეგ წნევა ისევ 170-ს დაუბრუნდა; გამოჯანმრთელება მისურვეს და დამტოვეს. ერთი საათიც არ იქნებოდა გასული, რომ ძალიან ცუდად ვახდებ. სუნთქვა გამიხშირდა, ჰაერი აღარ მოყოფნიდა. კვლავ გამოიძახეს სასწრაფო დახმარება. იგივე სისწრაფით, იგივე ბრიგადა დაბრუნდა. აი, ამას შევია ჩემმარტად სასწრაფო დახმარება. აუცილებელი გახდა ჩემი გადაყვანა საავადმყოფოში. წუთებში აღმოვჩნდი საავადმყოფოში. მორიგე ექიმი ტელმან ხვედელიძე დერეფანში შემომეგება, – ბებო, რას უჩივბა – მკითხა ექიმმა. შვილო, მეგონ ვკვდები მეთქი – მეც შინაურულად ვუპასუხე. არა, ბებო, რა კი აქ ხარ, არ მოგკლავით – მიხრა და სასაბოლოო ღიმილით გამიღიმა. წნევა უკვე 230-100-ზე ისინჯებოდა. შეიძლება ითქვას, ერთი წამიც არ დაუკარგავთ. მორიგე ექთანთან ერთად დაიწყეს ჩემი მკურნალობა. გონება არ დამიკარგავს მაგრამ საკაციდან სწორლზე როგორ აღმოვჩნდი, აღარ მახსოვს. ყველაფერი გააკეთეს, რომ ჩემს გულს ოტვა შევბა ეგრძნო. თავილი მოვავლე ოთხს და ჩემდაუფებურად ნამოვიხახხე: – ღმერთო, რა სიმშველდა, რა სიმყუდროვეა, რა კეთილგანწყობა მეთქი. ტელმანი ექიმი ჩემს სწოლოთან იდგა და უამრავი შეკითხვით კონტაქტში შემოდიოდა. ამასობაში ერთმანეთი კარგად გავიცანი. ვნანობდი, რატომ აქამდე არ ვიცნობდი ამისთანა ღვთისნიერ ადამიანს, ექიმს, რომელმაც თავისი ტკიბილი სიტყვით, თავისი გულსისხიერებით ინსულტისგან მისხნა. როცა წვეთოვანი გადასხმა მორჩა, მკითხა, – ბებო, აქ დარჩები, თუ სახლიში გინდა წასვლა. რა თქმა უნდა, წავალ მეთქი. სწორედ მაშინ შემოვიდნენ ჩემი პატრონები – შვილიშვილი მუხლესთან ზურაბ ჩხეიძესთან ერთად. ინვალიდის ეტლში ჩამსვეს და მანქანამდე ისე მიმიყვანეს.

არ შემიძლია არ აღვნიშნო ის ფაქტი, რომ ჩემს სასწრაფოდან საავადმყოფოში გადაყვანაზე ძალიან აქტიურობდა ერთი სიმპათიური ახალგაზრდა, რომელსაც თითქოს ვიცნობდი, მაგრამ ვერ ვიხსენებდი. ისევე თვითონ შემხსენა თავი – იხა მასწავლებელი, ნუ გეშინიათ, ხელს არ გაგამყვებთო. მიხვდა, რომ ფეხებში ძალია არ მქონდა და მუხლებზე მიკანკალებდა. მე ავთო გაფრინდამვილი ვარ, ვერ მიცნითო? როგორ გაზრდიხარო, შვილო, გაიხაროს დედაშენმა ასეთი კარგი შვილი რომ გაუზრდინებო; ჩემმა გადამრჩენებმა მანქანამდე მიმაცილეს და თბილად დამემშვიდობნენ.

დიდი მადლოზა ყველას და დაგელოცით მარჯვენა მათ, ვინც მე სიცოცხლე შემინარჩუნეთ. უფალი იყოს თქვენი მფარველი.

იხა ცირიკაშვილი

იხა ცირიკაშვილი

გ ა მ ო ს ა თ ს ო ვ ა რ ი

დავით მეტრეველი

103 წლის ასაკში წავიდა ჩვენგან დიდი სამამულო ომის მონაწილე და სამხედრო ძალების ვეტერანი, შესანიშნავი პიროვნება და ღირსეული მამულიშვილი, სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენისა და მრავალი სხვა საბრძოლო მედლების კავალერი დავით მეტრეველი.

ფრიად სამწუხაროა და დასანანი, რომ ჩვენს შორის ამერიკიდან აღარ იქნება შრომისა და ბრძოლებში გამორჩეული პიროვნება, თავისი ცხოვრების წესითა და კეთილშობილებით გამორჩეული, მებრძოლი სულისკვთის ადამიანი, რომელიც გამარჯვებული გამოვიდა არა მხოლოდ ფაშისტურ ურდოებთან უსასტიკეს შერკინებაში, არამედ ცხოვრებასთან ბრძოლაშიც, რამეთუ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ღირსეულად იარა ამ უკუღმართი წუთისოფლის ნარეკლიან ბილიკებზე.

და მით უფრო დასანანია, რომ ყვარულმა დაკარგა დიდი სამამულო ომის უკანასკნელი მონაწილე. იგი ხომ ერთადერთ სათლად ენთო იმ ქარცეცხლიანი ომის მონაწილეთა ხსოვნის უკვდავ ნიშანზე.

დავით მეტრეველი დაიბადა 1917 წლის 6 იანვარს ონის რაიონის სოფელ გომში. სწავლობდა ყვარლის საშუალო სკოლაში, შემდეგ კი სწავლა გააგრძელა თელავის სამხედრო-ტექნიკურ სასწავლებელში. 4 წელი, ამ სასწავლებლის დამთავრებამდე, მოიხადა სამხედრო სავალდებულო სამსახური, ხოლო ტექნიკუმის დამთავრებისთანავე, 1941 წელს განვეული იქნა ფრონტზე – დიდ სამამულო ომში. საბრძოლო ნათლობა მიიღო ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტზე. ჰქონდა ლეიტენანტის წოდება, იყო ჯერ ოცულის, შემდეგ კი ასეულის მეთაური და როგორც თავდ იგონებდა ხოლმე, ოფიცირისა და მეთაურის თანამდებობა უფრო მეტი პასუხისმგებლობის წინაშე აყენებდა და ისიც თავს არ ზოგავდა დაკისრებული საბრძოლო მოვალეობის პირნალათად შესულებისათვის. პირველი ჯილდოც – მედალი „კავკასიის დაცვისათვის“ სწორედ ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტზე გამოჩენილი მამაცობისათვის დაიმსახურა.

კავკასიისათვის ბრძოლებში დაიჭრა და საკმაო ხანს ჰოსპიტალში მკურნალობდა, რის შემდეგაც ყველა ფრონტის წინა ხაზზეა. ბრძოლებში მოიარა რუსეთის ქალაქები, უკრაინა. განსაკუთრებით სასტიკი ბრძოლები გამოიარა ნოვოროსისკის მისადგომებთან. ტყვიის წვიმაში იგი მამაცურად მიუძღოდა წინ თავის ჯარისკაცებს. ვინ იცის, რამდენჯერ წაუყვანია მეტევეზე თავისი ასეული ტანში ურუხანტელის მომგვრელი შეძახილით: „ზა როდინუ, ზა სტალინა... რამდენჯერ მიუბარებია მინისათვის ბრძოლის ველზე დაცემული მეგობრები და თანატოლები და რამდენ ტკივილს ინახავდა გულში თანამებრძოლთა სიკვდილის გამო...“

ნოვოროსისკში, ერთ-ერთი შეტევის დროს მძიმედ დაიჭრა, ტყვიამ მარცხენა მხარი გაუგლიჯა. როგორც თავად იტყობა ხოლმე, სიკვდილს თვალეში ჩახედა. ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ გამოჯანმრთელდა, თუმცა მარცხენა ხელის ფუნქცია სრულად ვერ აღიდგინა, რის გამოც ჯერ რეზერვში ჩარიცხეს, შემდეგ კი დემობილიზაცია შეეხო. ომიდან დაბრუნების შემდეგ მუშაობდა ჯერ ლავოდების, შემდეგ კი მცხეთის სამხედრო კომისარიატებში ინსტრუქტორის თანამდებობაზე, ბოლოს კი დაბრუნდა ყვარულში და მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა საბჭოთა მეურნეობაში. როგორც მონიშნავს მშრომელი და დაფასებული პიროვნება, დაჯილდოებული იქნა ღირსების ორდენით.

ომგამოვლილმა შექმნა შესანიშნავი ქართული ოჯახი, ზრდიდა სამ შვილს, მაგრამ ბედმა აქაც უმუხტოლა: 17 წლის ერთადერთი ვაჟი, ყველა ყვარლისთვის კარგად ცნობილი რეზო მეტრეველი ხიდან ჩამოვარდა და სამუდამო ტრავმა მიიღო. ამ რამდენიმე წლის წინ უკანასკნელ გზაზეც გადაცილეთ. ბატონმა დავითმა ძალზე მძიმედ განიცადა ეს ტრაგედია. როგორც ამბობდა – „ჩემი ბედნიერი ოჯახის ყველა იმედი და ოცნება ერთ წამში დაიშხვრა. ეს რომ არ მომხდარიყო, ალბათ ვერანაირი დარდი და ავადმყოფობა ვერ მომეროდოდა!“

ასეც იქნებოდა ალბათ, მაგრამ, როგორც იტყვიან ხოლმე, ბედისწერას ვერაფერ აცდებდა. ახლა უკვე ჩვენი მრავალჭირგამოვლილი და ამბავადარი დავით მეტრეველიც შეუერთდა მარა-



დისობას და ვალმოხდელი წავიდა იქ, სადაც ელიან მისი უსაყვარლესი ვაჟი რეზო, ახლოლები, მეგობრები და ის თანამებრძოლები, რომლებიც მის გვერდით დაეცნენ ბრძოლის ველზე და ვისთან ერთადაც გამოჭედა ჩვენი დიადი გამარჯვება სამამულო ომის ველზე.

სამწუხაროა, რომ მოახლოებულ 9 მაისს, დიადი გამარჯვების 75 წლისთავს განსვენებული დავით მეტრეველის გარეშე უნდა შეგხვდეთ. ვეღარ მივულოცავთ და ვეღარ მოვეფერებთ იქვე ერთხელ ნაოზარ ვაჟკაცს, ვისთვისაც გამარჯვების დღე ყველაზე დიდი და საყვარელი დღესასწაული გახლდათ ცხოვრებაში.

დავით მეტრეველის სახელი მუდამ დარჩება ახლობლების, მეგობრების და მისი პიროვნების თავყანისმცემლთა გულეში. სანამ პირი სული გვიდგას, არასოდეს დავივიწყებთ მის ნათელ ხსოვნას და უდიდეს ღვაწლს სამშობლოს წინაშე.

საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ყვარლის რაიონული კავშირი, ოჯახი, ახლობლები.

რას ნიშნავს ნაკიანი წელიწადი და რით გამოირჩევიან 29 თებერვალს დაბადებული ადამიანები

ნაკიანი წელიწადში თებერვალი 29 დღე-ღამისგან შედგება. ახალი სტილით ნაკიანად ითვლება ყოველი წელიწადი, რომელიც იყოფა 4-ზე, გარდა იმ წლებისა, რომელიც ნომერი, თუმცა დაბოლოებულია 2 წლით, უნაშთოდ არ იყოფა 400-ზე (მაგ., 1800, 1900, 2100). ნაკიანი წელიწადის არსებობა, ანუ ერთი დღის დამატება, საჭიროა იმიტომ, რომ მარტივი (365 დღიანი) წელიწადი არ შედგება ზუსტად 365 დღისგან, არამედ 365 და დაახლოებით ერთი მეოთხედი დღისგან, ამიტომაცაა ნაკიანი თითქმის ყოველი მეოთხე წელიწადი (წყრო: ვიკიპედია).

ნაკიანის ბოლო დღეს დაბადებულები სამი წლის განმავლობაში ოუბილეს განაზღვრულს პირველ დღეს აღნიშნავენ. საკუთარი დაბადების დღე ალბათ, ყველას უყვარს და წლიდან წლამდე ყოველთვის დიდი მოთმინებით ელოდება მას, მაგრამ სულ სხვაგვარადაა საქმე, როდესაც 29 თებერვალს დაბადებულზე ვლაპარაკობთ, ნაკიანი წელი ხომ ყოველ მეოთხე წელსაა.

საინტერესოა, რას ამბობს ასტროლოგია ამ ადამიანებზე.

მისიელ ცვაკარელი:
– ამ დღეს დაბადებულები ძლიერი ინტუიციით გამოირჩევიან, მათ აქვთ უნარი, საოცარი რჩევა მისცენ სხვებს. ამიტომ, თუკი ამ დღეს დაბადებულმა ოდესმე რამე გირჩიათ, დაუფერეთ. ის თქვენთვის სასიკეთო იქნება. თუმცა მათ არ იციან, საიდან აქვთ ეს უნარი. ისინი გეომანტიური ველის საშუალებით ქვეცნობიერად იღებენ ამ ინფორმაციას და სწორედ ეს გახლავთ მათი ერთგვარი შარმიც.
– როდესაც კალენდარში 29 თებერ-

ვალი არ არის, როდის უნდა აღნიშნონ დაბადების დღე?
– 28 თებერვალი რომ დასრულდება და 12 საათს გადასცდება, პირველ წუთებზე უნდა აღდგინდეთ ეს ადამიანები, ამ დროს წარმოთქმულ სადღეგრძელოს საოცარი ძალა აქვს. ოუბილარებზე დიდ ზეგავლენას ახდენს.

– კიდევ რისი თქმა შეეძლიათ მათზე?
– ყველაზე მნიშვნელოვანი და პოზიტიური რიცხვებია ყოველი თვის 2, 7, 11, 16, 20, 25, 29. ეს რიცხვები მთავარსა და პლანეტა ნებულის გახლავთ; რაც შეეხება ფერებს, მეტწილად უნდა ჩაიცვან კრემისფერი, თეთრი, ნაცრისფერი სამოსი; მათი ქცევა – აქატი, ნეფრტი, მარგალიტი; მათ დიდი დრო უნდა დაუთმონ ფულის მოხელას, რადგანც ეს საქმე მათ კარგად გამოსდით. როგორც მოგახსენეთ, როგორც თევზების ნიშნის ქვეშ დაბადებულებს, საოცარი ინტუიცია აქვთ, აზვადროულად ისინი ბევრს გაცხილებით მდიდრები ჰგონია, ვიდრე სინამდვილეში არიან, საოცრად უყვართ ქველმოქმედებაც, ამიტომ სიფრთხილად და ნინდახეულად მართებთ, რადგანაც შესაძლებელია, ქველმოქმედებამ ისინი გააკოტროს, წულზე დასვას.

იმის გამო, რომ ემოციურობა ახასიათებთ, შესაძლოა, ნერვული გადაძაბვა დაემართოთ, რისთვისაც საჭიროა ხშირი განტვირთვა და დასვენება, მათთვის დიეტის დაცვაც სასარგებლო იქნება. დაავადებებიდან მეტად ანუხებთ რევმატიული და ფეხის ტერფის დაავადებები, ასევე მათი სუსტი ნერვული სისტემა იღებენ და ხერხემალი; აქვთ საოცარი იმპროვიზაციისა და ფანტაზიის უნარიც, ხშირად ოცნებას რეალობად აქცევენ ხოლმე.

რატომ ემატება თებერვალს 4 წელიწადი ერთხელ დაბადებულები დღე?



ყოველ 4 წელიწადში ერთხელ, თებერვლის თვეში 28-ის ნაცვლად 29 დღეა. ასეთ წელიწადს ნაკიანს უწოდებენ.

მიუხედავად იმისა, რომ 29 თებერვალი 2 000-ზე მეტი წლის წინ, იმპერატორ იულიუს კეისარის ბრძანებით შემოიღეს, დღემდე ნაკიან წელს ბევრი ცრურწმენა და ლეგენდა უკავშირდება. მაგალითად მოტლანდიელებს ახლაც სჯერათ, რომ 29 თებერვალს დაბადებულ უბედურების ნიშანია, საბერძნეთში კი, ამ წელს ქორწინებისგან თავის იკავებენ.

სინამდვილეში ნაკიანი წელიწადი ასტრონომიურ მოვლენებს უკავშირდება. მზის გარშემო დადგინების ბრუნვის პერიოდი 365, 2422 დღეს შეადგენს, მაგრამ გრიგორიანულ კალენდარში სულ 365 დღეა. ამის გამო, ყოველ წელს, გროვდება

საათები, რომელიც კალენდარში ვერ მოხვდა. 4 წელიწადში ერთხელ ეს „ზედმეტი“ საათები ერთად იყრის თავს. კალენდარსა და წლის სეზონებს შორის სხვაობის აღკვეთის მიზნით, ყოველი მეოთხე წლის თებერვალს, დამატებითი დღე – 29 თებერვალი ემატება.

ნაკიანი წლის გარდა არსებობს ნაკიანი წელიწადი, რომელიც ბოლოს, გასული წლის ივნისში დაგვემატა. ნაკიანი წელიწადი ნაკიანი წლისგან განსხვავდება იმით, რომ ნაკიანი წელიწადი არა აქვს, გარდა იმისა, რომ იგი ასევე უკავშირდება დედამიწის ბრუნვას.

ატომური დრო მუდმივია, დედამიწის ბრუნვა კი ყოველდღიურად წამის თითქმის, 2 მეათასედით წელდება, ამი-

ტომ ნაკიანი წლის დამატება ატომური დროსა და წლის სეზონების სინქრონიზაციას ემსახურება.

საინტერესოა, რომ ნაკიან წელს თავისი დედაქალაქი აქვს და ის აშშ-ში, ტეხასისა და ნიუ მექსიკოს საზღვარზე მდებარე ქალაქი ანტონიაა. ნაკიან წელს ანტონიაში ოთხდღიანი ფესტივალი ტარდება, რადგანაც 29 თებერვალს დაბადებულების დაბადების დღეებს აღნიშნავენ.

29 თებერვალს დაბადებულებს ხშირად მხტუნავენ უწოდებენ, რადგან დაბადების დღეს 28 თებერვალს ან 1 მარტს აღნიშნავენ. მარტმა 29 თებერვალს 4, 1 მილიონი ადამიანი დაიბადა.

ნაკიან წელიწადს უკავშირდება უძველესი ტრადიცია, რომლის თანახმად ამ წელს ქალებს უფლება აქვთ, ხელი სთხოვონ საყვარელ მამაკაცებს. ერთ-ერთი ლეგენდის თანახმად, მეზოეთ საუკუნეში მცხოვრებ ირლანდიელ წმინდანს, პატრიკს მონაზონმა წმინდა ბრიჯიტმა უამბო, რომ ქალებს დიდხანს უწევთ ლოდინი, სანამ საქმრო ხელს სთხოვონ. ამასე საპასუხოდ, წმინდა პატრიკმა განაცხადა, რომ აძლევს ქალებს უფლებას, თავად გააკეთონ ეს ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ.

არსებული ტრადიციით, თუ ნაკიან წელს დანიამი მამაკაცი ქალს დაქორწინებაზე უარს იტყვის, ვალდებულია 12 წელიწადი ხელთათმანის მისცეს, ფინეთში კი „ჯარიმის“ სახით, ქვედაბოლოს შესაქერად ნაჭერი უნდა აჩუქოს.

ბალის მალამო – მომზადების რეცეპტები და გამოყენება

ბალის მალამო – წყალში უხსნადი ნებოვანი ნივთიერებაა, რომელიც გამოიყენება მცენარის მექანიკურ დაზიანებაზე (ჭრილობაზე) ნასასმელად.

ბალის მალამო იცავს დაზიანებულ ადგილს მავნებლებისგან, პარაზიტებისგან, წვეთის გამოდენისგან

ხეხილვიან ბალებში დაზიანებები ძირითადად შეიძლება გამოიწვიოს:

- სტიქიურმა მოვლენებმა (სეტყვა, ძლიერი ქარები, ტემპერატურის მკვეთრი ცვალებადობა და სხვა);
- აგროტექნიკურმა სამუშაოებმა;

- ტოტის მოტეხვამ;
- გასხვლამ;
- ქერქის დაავადებებმა.

ბალის მალამოს დასამზადებლად გამოიყენება სხვადასხვა ნივთიერებები, შესაბამისად მალამოც სხვადასხვა სახის არსებობს, გთავაზობთ რამდენიმე რეცეპტს.

რეცეპტები:
1. 200 გრ. კანიფოლი, 400 გრ. ფუტკრის ყვითელი (თეთრი არა) ცვილი და 200 გრ. ცხვრის ქონი. შეფარდება: 1 წილი კანიფოლი, ორი წილი ცვილი, ერთი წილი ქონი.

მომზადების წესი: გავადნოთ ცალკეულ ქურჭელში კანიფოლი და ცვილი, შემდეგ შევურიოთ ერთმანეთს. ამ მასას დავემატოთ ქონი და წერილი ჭავლით ჩავსახათ ცივ წყალში, გაცივებული მასა ამოვიღოთ წყლიდან და შევკრათ გუნდებად.

2. 200 გრ. კანიფოლი, 400 გრ. ფუტკრის ყვითელი (თეთრი არა) ცვილი და 100 გრ. ღორის ქონი. შეფარდება: 1 წილი კანიფოლი, 2 წილი ცვილი, 0.5 წილი ქონი. მომზადების წესი იგივეა.

3. 1 კგ. შაბამანი, 1 კგ. კირი (ჩამქრალი) და 1 ლიტრი კირხსნარი. შეფარდება: 1/1/1.


მომზადების წესი: 1 კგ. შაბამანი, 1 კგ. კირი და 1 ლიტრი კირხსნარი მოვათავსოთ ქურჭელში, კარგად აფურიოთ, მიიღება ფაფისებრი მასა, რომელიც მზადაა გამოსაყენებლად.

4. 320 გრ. ნაკელი, 160 გრ. ცარცი, 160 გრ. ხის ნაცარი, 20 გრ. მდინარის ქვიშა. შეფარდება: 16/8/8/1.

მომზადების წესი: 320 გრ. ნაკელი, 160 გრ. ცარცი, 160 გრ. ხის ნაცარი, 20 გრ. მდინარის ქვიშა მოვათავსოთ ქურჭელში, კარგად აფურიოთ, მიღებული მასა, მზადაა გამოსაყენებლად. მალამო უნდა მოვაშხალოთ ყოველ ჯერზე ახალი და გამოვიყენოთ მშრალი ამინდის დროს.

დევეანდელ დღეს, რა თქმა უნდა, შესაძლებელია სამრეწველო „ბალის მალამოს“ შექმნა, თუმცა, ძველი რეცეპტები, რომლებიც მებაღეების მრავალწლიანი დაკვირვებების შედეგადაა მიღებული, ეკოლოგიურად უსაფრთხოა და ეფექტური.
agrokavkaz. ge





ეს არარქივებული ნაწილები ჰიბნია ამაღლებული სიყვარულისა და ამაღლებული უცნაური საბუთები ილიას და ოლღას იდეალური ტრეფისა

შემდეგ წერილში კი ვკითხვლობთ: „...ოღია, ოღია!...შენ რომ ჩემთვის ასე ძვირფასი არ იყო, ალბათ უფრო დამსვიდებოდი ვიქნებოდი, მაგრამ რა გუნა, როცა დღევანდელი მხოლოდ შენით ვცოცხლობ. ო, როგორ მინდა, თუნდაც ერთი წუთით შენს ახლოს მოვისვენო, მე ამ მოსვენებას ბედნიერად ჩავთვლიდი; მშვიდობით ჩემი კეთილი ანგელოზო!... შენ მყავდე მოსვენებით და მე დე ვიტან-ჯებოდე.“

ჩვენამდე მოაღწია თითქმის უკლებლად ილიასა და ოლღას შორის არსებულმა მეტად საინტერესო მიმონერამ, რომელიც წარმოადგენს ამ ორი შესანიშნავი პიროვნების ინტიმური დამოკიდებულების ნათელ სარკეს, სადაც მთელი სიდიადით სჩანს კეთილშობილებით, უმადლესი ზნეობრივი სინამდვილი, სპეციალური სიყვარულით მოცული მათი სულიერი სამყარო. ეს არარქივებული წერილები პიზნია ამაღლებული სიყვარულისა და ამაღლებული უცნაური საბუთები ილიასი და ოლღას იდეალური ტრეფისა. რომ არავითარ მატერიალურ ანგარიშს, როგორც ზოგჯერ შეცდომით ფიქრობენ, ილიას მხრიდან ოლღას დაახლოვების დროს ადგელი არ ჰქონია. მათი სიყვარულის შუამავალი მხოლოდ მწინდა გრძობა იყო.

ერთ თავის წერილში ილია გულწრფელად აღიარებს თავის ხელმოკლეობას და თითქმის უიმედო ანწყოს, რასაც ოლღასთან შეუღლების მთავარ ხელისშემშლელ მიზეზად თვლის:

„...გვიან მივიღე თქვენი წერილი, რომელშიც მთხვევი ვიყო თქვენს მიმართ გულახდილი: კეთილი, მხოლოდ გთხოვ ყურადღებით და მოთმინებით მის ზოლოდემ ნაკითხვას: ორმუხბათს მოგეცით სიტყვა ვიყო თქვენი, და ვიქნები რაც არ უნდა მოხდეს. ამაჟამად თუკი რასამე ვუსაყვედურებ ჩემს თავს, მხოლოდ იმიტომ, ანტყვის მიცემამდე პატიოსანი კაცის ღირსება მაგალებს გაგაცნობთ იმ ადამიანის ბედი, რომელზედ მინდობა თქვენ გადგინდებოდა. რისი თქმაც ვერ მოვასწარი მაშინ, გუეზნებით ახლა: იცოდეთ, რომ მომავალში სიყვარულისა და ერთგულების მეტს ვერაფერს შემოგთავაზებთ. მართალია ადამიანები და ორი რამითაც არაა ბედნიერი და მეც შეგერა, შესაძლებელია ასეთი ბედნიერება, მაგრამ მითხარით, გჯერათ თქვენც ასევე? აი საითხი, რომელიც მოსვენებას არ მძლევს და იცით თქვენი ყველაფერი ჩემი მდგომარეობის შესახებ? იცით თუ არა ჩემი ანწყო? ხოლო რაც შეეხება მომავალს, იმაზე არ ღირს ლაპარაკი. რაც უფრო შორს ვიხედებო, მით უფრო ცოტას ვხედავ სასურველს. მართალია ჩემი თავი შრომისათვის და სიღარიბისათვის გადამიდვია, მართალია, არც ერთი და არც მეორე მე არ მაშინებს, მაგრამ არც თქვენი გუეზნით მისი? თუ არ გეგონიათ მე თქვენი ვარ - ე. ი. შენი ვარ.“

აქედან ნათლად ჩანს, რომ ილია თავიდანვე გულახდილი ყოფილიყო ოლღას ნინამე. იგი გრძობდა, რომ ფუფუნებაში გაზრდილი მდიდარი თავადის ასული-სათვის მშვენიერი გარეგნობის ქალიშვილებმა ღირსეული პიროვნების ყურადღება დაიმსახურეს. ეკატერინე ცოლად შეირთო საკმაოდ ცნობილმა და გავლენიანმა სენატორმა დიმიტრი სტაროსელსკიმ, ხოლო ილია ილია ჭავჭავაძის დიდი სიყვარულის საგანი გახდა.

ილია ჭავჭავაძისა და ოლღა გურამიშვილის პირადი მიმონერიდან ირკვევა, რომ მათი ვაცნობისთანავე შეუყვარდნენ ერთმანეთი და შეუყვარდათ იმდენად ძლიერ, რომ უერთმანეთოდ ცხოვრება წარმოუდგენლად ეჩვენებოდათ. ამაში ადვილად ვრწმუნდებით, როდესაც ვეცნობით ილიას წერილებს:

„...შენი ჭირიმი ოლიკო, ეს რა გამიჩნდა? დაილოცა ის საათი, როცა მე შენ შეგხვდი, ღმერთმა უშენოდ ერთი საათიც ნუ მაცოცხლოს, ან რატომ უნდა ვიცოცხლო უშენოდ? მე ხომ ეს ცხოვრება დამისი აზრი მხოლოდ მას შემდეგ გავიგე, როცა შენ შევიყვარე, სხვანაირად რომ ვთქვა, მანამდე დამზრალი ვიყავი ჩემი მეგობარი - შენ გამომეცხადე და მე დავინწყე სულით ალესილი ნამდვილი ცხოვრება. უშენოდ ვერ ვიცოცხლებ, თუნდაც მიხლოდეს; ცხოვრება ხომ ჩემთვის არსებითად შენა ხარ, ხოლო ცხოვრების გარეშე შეიძლება სიცოცხლე? ტყუილად არ გინოდებ ჯადოქარს: თვით ჯადოქრობას მთელი თავისი ძალით არ შეეძლო გაეკეთებინა ის, რაც შენ ჰქმენ, ჩემი მშვენიერი და კეთილი გენიაე!...“

ოღია გურამიშვილი გურამიშვილების სახელოვან გვარს სხვადასხვა დროს გარკვეული როლი შეუძრულებია საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, ხოლო XVIII საუკუნეში ამ გვარმა მოგვცა დიდი ქართველი პოეტი დავით გურამიშვილი, რომელმაც მთავარ რუსთაველის შემდეგ ყველაზე ღრმა კვალი დააჩნია ძველ ქართულ პოეზიას და ქართული ლექსი განვითარების სრულიად ახალ გზაზე გამოიყვანა.

მეცხრამეტე საუკუნეში გურამიშვილითა გვარს დაუკავშირდა ამ საუკუნის ორი დიდი მოღვაწე ილია ჭავჭავაძე და ნიკო ნიკოლაძე. მას შემდეგ, რაც ილია ჭავჭავაძემ ცოლად შეირთო ოღია თავადი, ოღია გურამიშვილი, საგურამო ილიას უკედევ სახელთან განუყრელად არის დაკავშირებული.

ოღია თავიდანვე ილია გურამიშვილი იმ ქართველ ქალთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებმაც თავიანთი თავდადებული ქველმოქმედებით საქმიანობით წარუშლელი კვალი დასტოვეს საქართველოს კულტურული და საზოგადოებრივი საქმიანობის ისტორიაში. სათნო, კეთილი გონებით აღსავსე ქალი, ღირსეული მუღლედ დიდი ილია ჭავჭავაძისა, ენერგიის დაუზოგავად წლების მანძილზე ენერჯი და საზოგადოებრივი და ოჯახური საქმიანობის მიმე უღელს.

ოღია გურამიშვილი დაიბადა 1842 წლის 12 მარტს ზემო ავჭალაში, შექმნილი თავადის თავადი გურამიშვილის ძველფეოდალურ ოჯახში. თავადი გურამიშვილი ქართლის ერთერთი უმდიდრესი მემამულე, ახალგაზრდობაში პოეტობდა და თანამშრომლობდა სოლომონ დოდაშვილის რედაქტირებით გამომავალ პირველ ქართულ ჟურნალში „სალიტერატურული წინაინი თბილისის უწყებათაში“. 1832 წლის პატრიოტული ჟღერადობის პუბლიცისტური წერილი და საკუთარი ლექსიც ჰქონდა გამოქვეყნებული შემდეგი სათაურით: „მამული, საყვარელი“. იგი აგრეთვე სხვა მონაწილე ქართველ საზოგადოების წარმომადგენლებთან გიორგი ერისთავთან, პლატონ ოსელოვთან და ქრისტეფორე მამაცაშვილთან ერთად მასპინძლობას უწევდა ფრანგ ქართველოლოგს, აკადემიკოს მარი ბროსეს, აგრეთვე ფულადი სახრებით ეხმარებოდა ჟურნალ „ცისკარს“.

თადეოზ გურამიშვილი იმ დროისათვის საკმაოდ გავლენიანი პირი ყოფილა. იგი დაახლოვებული იყო მეფის ნაცვალ მიხეილ ვორონცოვთან, მას „კოლეჟსკი ასესორის“ წინიც ჰქონია მიღებული.

თადეოზ გურამიშვილი ორჯერ ყოფილა დაქორწინებული. პირველ ცოლად მას ჰყავდა ელისაბედი, რომელთანაც ორი ქალიშვილი შეეძინა: ეკატერინე და ოღია. ელისაბედი ადრე გარდაიცვალა და დედის სიკვდილის შემდეგ დაობლებული დების - ეკატერინესი და ოღიას პატრონობა თადეოზ გურამიშვილის დამ

სიღონია სავარსამიძემ იკისრა, რომელმაც დედური მზრუნველობით მოჰკიდა ხელი მისწულების აღზრდის საქმეს.

სიღონია იყო გენერალ სავარსამიძის ქვრივი, თავად უშილო ქალი, რომელმაც ქონის გარდაცვალების შემდეგ მთელი თავისი ქონება ობოლი ძმისწული-სათვის შეუწირავს, ეკატერინე და ოღია თბილისში გადმოიყვანა, მათ აღზდაზე დედობრივი მზრუნველობა გამოუჩინა.

1854 წლის 1 სექტემბერს ოღია გურამიშვილი ჩაირიცხა ამიერკავკასიის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტში, სადაც მას უსწავლია საღვთო სჯული, მსოფლიო ისტორია, გეოგრაფია, არითმეტიკა, რუსული, ქართული და ფრანგული ენები. ამას გარდა სუფთა წერა, ხატვა, წერა და ხელსაქმე. 1856 წლის სექტემბერში ყველა საგანში წარმატებით ჩაუბარება გამოცდები, გადასულა მომდევნო კლასში, მაგრამ მას გარკვეული მიზეზების გამო სასწავლებელი არ დაუმთავრებია.

მიუხედავად იმისა, რომ არ დაუმთავრებია ინსტიტუტის სრული კურსი, ოღია სათანადო განათლება მიიღო და თავის დასთან ეკატერინესთან ერთად საზოგადოებაში დიდ პატივისცემასა და ყურადღებას იმსახურებდა. მამიდას - სიღონია სავარსამიძეს, ხშირად გამოჰყავდა თავისი აღზრდილები სხვადასხვა შეკრებებზე. არისტოკრატიულ წრეებში მშვენიერი გარეგნობის ქალიშვილებმა ღირსეული პიროვნების ყურადღება დაიმსახურეს. ეკატერინე ცოლად შეირთო საკმაოდ ცნობილმა და გავლენიანმა სენატორმა დიმიტრი სტაროსელსკიმ, ხოლო ოღია ილია ჭავჭავაძის დიდი სიყვარულის საგანი გახდა.

ილია ჭავჭავაძისა და ოღია გურამიშვილის პირადი მიმონერიდან ირკვევა, რომ მათი ვაცნობისთანავე შეუყვარდნენ ერთმანეთი და შეუყვარდათ იმდენად ძლიერ, რომ უერთმანეთოდ ცხოვრება წარმოუდგენლად ეჩვენებოდათ. ამაში ადვილად ვრწმუნდებით, როდესაც ვეცნობით ილიას წერილებს:

„...შენი ჭირიმი ოლიკო, ეს რა გამიჩნდა? დაილოცა ის საათი, როცა მე შენ შეგხვდი, ღმერთმა უშენოდ ერთი საათიც ნუ მაცოცხლოს, ან რატომ უნდა ვიცოცხლო უშენოდ? მე ხომ ეს ცხოვრება დამისი აზრი მხოლოდ მას შემდეგ გავიგე, როცა შენ შევიყვარე, სხვანაირად რომ ვთქვა, მანამდე დამზრალი ვიყავი ჩემი მეგობარი - შენ გამომეცხადე და მე დავინწყე სულით ალესილი ნამდვილი ცხოვრება. უშენოდ ვერ ვიცოცხლებ, თუნდაც მიხლოდეს; ცხოვრება ხომ ჩემთვის არსებითად შენა ხარ, ხოლო ცხოვრების გარეშე შეიძლება სიცოცხლე? ტყუილად არ გინოდებ ჯადოქარს: თვით ჯადოქრობას მთელი თავისი ძალით არ შეეძლო გაეკეთებინა ის, რაც შენ ჰქმენ, ჩემი მშვენიერი და კეთილი გენიაე!...“

ვარულს ნინ ელობება მდიდარი და გორბი მემამულე თავადი გურამიშვილი, რომელსაც მცირე ადგილმამულის მქონე, ხელმოკლე ილია ჭავჭავაძე სიძედ არ მოსწონდა. მიუხედავად თავიდანვე დიდი ნინალმდევობისა, ილია და ოღია მაინც დაუახლოვდნენ ერთმანეთს და მეგობრების დახმარებით მაინც ახერხებდნენ შეხვედრას.

არც ერთ შემთხვევას ოლღასთან შეხვედრისას, როგორც მიმონერიდან ჩანს, ხელიდან არ უშვებდა ილია.

„...ჩემო ოლიკოჯან, სწერს ერთ წერილში ილია ოლღას, დილა კარგად ყოფნისა, ვნუხვარ, რომ შენ მუშტიფში ყოფილხარ გუშინ, მე კი არა. განა გული მინედა, მარტოდ წამოვსულიყავი, მაგრამ იმისიც მემინდა, ვაი თუ, აქ, ბაღში გამოვიდეს მეთქი და მოცვდე ოლიკოს ნახვას; დღეს სადღეს იქა ვჭამ, საიდანაც გუშინ დაგინახე. მეორე საათზე მოვალ და დამენახე, თორემ გიჟს დავიძახებ. რა რიგად მოუთმენლად ველი ივან მაღახაჩის! ჩვენი ბედი რომ დატარილდეს და მე შენი ნახვის ნება მომცეს, რაირგად გამოვიქცევი შენსკენ. ეს კია, რომ მე და შენ მაინც ცალკე ოთახი უნდა გვეკონდეს, მე და შენ ვიყვებით ხოლმე და სხვა არა. შენ ვეთავაზები, ეს კარგი იქნება. შეყვარებულიებსო, პოეტები ამბობენ, მარტობა უყვართ. მე ველა მჯერა, რომ ეს მართალია! ეჰ, ნეტავი განახო ხოლმე და საცა უნდა ვიყო, სულ ერთია, იმიტომ, რომ ათასი კაცი რომ იყოს, შენს მეტს არავის დაგინახავ.“

საუკეთესო შინაგანი თვისებებით და უმადლესი ადამიანობით დაჯილდოებული ოღია სამართლიანად ჰქონდა დადსაზრებული ილიას დიდი პატივისცემა და სიყვარული. მხოლოდ გარეგნულ მშვენიერებას არავითარ შემთხვევაში არ შეეძლო ასე მოეხიზნა და თავდავინყებამდე მიეყვანა დიდი მოაზროვნე; ილიამ ოღიამ თავიდანვე შეიცნო კეთილი ბუნებისა და მტკიცე ხასიათის ქალი, რომლისკენაც ასე მიუხაროდა მას და რომლის თანაგრძობა და მეგობრობა ბედნიერების სათავედ და დიდ მომავლად ენახებოდა.

შენი წერილები, ოლიკო, - სწერს ილია ოღიას - ჩემთვის არის ნამდვილი წყარო, საიდანაც ვღებულობ ძალასაც და იმედსაც. ყოველი შენი სიტყვა სიცოცხლის მომნიჭებელი ცვარ-ნამი არის ჩემთვის. აი, რატომ მწყურია ხოლმე შენი წერილები; მე შენად არ ვლიერვარ, შენ ჩემზე გაცილებით მაღლა დგები. არ გეფარისცვლები, შენგან ბევრი რამის სწავლა მომიხდება და თუ გამოვსწორდი, ეს ჩემ ძვირფასი და საოცარი ოლიკოს წყალბა იქნება. რა ეჭვანი მყავხარ? როგორი ალერსითა და სინაზით მამჩნევ ხოლმე ჩემს მეცხედობს. აი კიდევ ახალი ალმასი შენს სხვა ღირსებათა შორის, ჩემო მშვენიერო ოლიკო! ბედი ოლიკოზე უკეთეს სასუქარს ვერ მომიძღვინდა; მაღლობა, ათასი მაღლობა!..“

შემდეგ წერილში კი ვკითხვლობთ: „...ვინ გეძახის პატრიოტს? იმათ რაც უნდა თქვან, შენ მართლა პატრიოტი მყოფი ხარ, განა ასე არ არის ჩემი სულიკო? ეს დიდებული სახელწოდება მისთვის საძრახისია, ჩემო კარგო, მაგრამ შენ ამით იამყავ, ამიტომ მეჩვენები ძვირფასად, ამიტომ უყვარს შენს ილიკოს ოლიკო.“

ილიასა და ოლღას შორის სასიყვარული ძაფებით კავშირი თითქმის ერთი ნელი გრძელდებოდა. ილიაცა და ოლღაც მიუხედავად თავიდანვე და მისი დიდგაროვანი ნათესავების მუხრანსკეების დიდი ნინალმდევობისა, ცდილობდნენ მოეგათ ამ გორბი კაცის გული, არ უნდოდათ მისი დალოცვის გარეშე დაენერათ ჯვარი. ისინი მოუთმენლად ელოდნენ საქმის დაბოლოვებას და აი ერთ წერილში ოღია სწერს ილიას: „ნეტავი ჩქარა დაგელოცოს მამამა, რომ განახო ოლიკოჯან შენი ჭირიმი.“

აი ასე გადიოდა დღეები, კულტურულ და საზოგადოებრივ საქმიანობაში, რომელსაც 60-იან წლებში სათავეში ჩაუდგა ახალგაზრდა ილია, თანდათან უფრო ძლიერ იჭრებოდა განახლების ქარიშხალი. „ცისკარის“ ფურცლებზე მიდიოდა ცხარე პოლემიკა, რამაც ილიას ნინამე დააყენა ახალი, პროგრესული ჟურნალის დაარსების საკითხი. პროგრესულმა ახალგაზრდობამ მხარი დაუჭირა ამ საქმეში ილიას; ილიას მეთაურობით ამ ახალგაზრდობამ დააარსა ჟურნალი „საქართველოს მოამბის“ სახელწოდებით. „ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრება და მისი მდგო-

მარეობის გაუმჯობესება!...წერდა ერთი ნორის თავფურცელში ამ ჟურნალის ილია ჭავჭავაძე.

ოღია დიდი ინტერესით ადევნებდა თვალყურს ილიას საქმიანობას ჟურნალის გამოცემის პერიოდში. როგორც ილიას თანამოაზრე ახალგაზრდობა, ისიც მოუთმენლად ელოდა „საქართველოს მოამბის“ დაბადებას. „სამშაბათს ჩვენი ჟურნალიც გამოვა, უზიარებს სიხარულს ილია ოლღას, აბა ჩემს სტატიებს თუ იცნობ? არც ერთს ჩემი გვარი არ ანერია. ვნახამ შეიტყობთ თუ არა...კრიტიკებს მაშინ უყურე, მაგრამ ნუ გეგონია, წმინდა ჭეშმარიტება მარად ჩვენს მხარეზე უნდა იქნება.“

„საქართველოს მოამბე“ 1863 წლის თებერვალში გამოვიდა, ხოლო ამავე წლის აპრილში ილიამ და ოღიამ ჯვარი დაინერეს. ილიას ცხოვრების ეს ორი მნიშვნელოვანი მოვლენა თითქმის დაემთხვა ერთმანეთს.

ილიას და ოღიას ჯვარისწერა სრულიად უხამაუროდ მოხდა. 1863 წლის 10 აპრილს ახლო მეგობრების ძალიან მცირე წრით ისინი მისულად სამების ეკლესიაში. ჯვარისწერას სასიძოს მხრით ესწრებოდნენ დავით ქაიხოსროს ძე ყოფიანი, ნიკოლოზ დიმიტრის ძე ჭავჭავაძე, ქალის მხრივ თავადი ილია ზაალის ძე ჩოლოყაშვილი და თავადი სულხან ნიკოლოზის ძე თუმანიშვილი.

ამ დღიდან ოღია გურამიშვილმა თავისი ცხოვრება სამუდამოდ დაუკავშირა ილია ჭავჭავაძეს და ამ დღიდან ადამიანის ცხოვრების უახლოვესი მოწამე გახდა.

თვლი რომ გადავავლოთ ილიას და ოღიას მიერ ერთად განკლილი ცხოვრების გზას, სრულიად სამართლიანად ვიტყვი, რომ ილია არ შემცდარა, რომ თავისი ცხოვრების თანამგზავრად ოღია აირჩია. ოღიას სახით ილიას მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე მხარში ედგა ერთგული და საიმედო მეგობარი, რომლის გვერდითა და რომლის ხელმძღვანელ მხრით ექმნა მთამომავლობისათვის შეუფასებელი განსჯ პროზის, პუბლიკაციის თუ პოეზიის სახით. ოღიას მეტყველები ჰქონდა, თუ რა დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა ილიას მათი შეუღლების შემდეგ. მისი ფიქრები და გონება მხოლოდ ილიას დასტრიალებდა თავს.

თავითი ილია უდიდეს კმაყოფილებას გამოსთქვამდა იმის გამო, რომ ასეთი ერთგული და მოსიყვარულე მუღლედ შეხვდა. მამიდა მაკრინელად მიწერილ წერილში ილია გულწრფელად აღიარებს: „...როგორც ახლა თქვენი ნახვა მე მინდა, ჩემს დღეში არ მომიხდებათა შორის, ჩემი რისგან არის? იმასგან თუ, რომ ახლა ბედმა ცოლად გამიღმა, ცოლიც კარგი მყავს, ლუკმა-პურსაც ჩემის ცოდვილობით ვმოულობ და მაქვს, იქნებ ამისგან მინდა, რომ ამ ყოფაში თქვენ მხარით მხარული, ბედნიერი და თქვენც ჩვენი ამ ყოფით ისამოვნოთ.“

როგორც ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფი, „ივერიის“ რედაქციის თანამშრომელი გრიგოლ ყიფშიძე განმარტავს, ოღიას სულ თვალბეში შესქეცროდა ილიას, მუდამ იმას ფიქრობდა საწყენი და უსიამოვნო არაფერი გაეკეთებინა, რომ გული არ სტკენოდა ილიას.

როდესაც ილია თავაუღლებლად მუშაობდა, მის ოთახში შესვლის უფლება არავის ჰქონდა. ოღია „ივერიის“ რედაქციის თანამშრომლებს შესწავლიდა ხოლმე: „ღამე ნამოვდგები, მივალ ილიას ოთახთან და კარებს ცოტად შევალე, მინდა შევიტყო ხომ არა უნდა რა, ვხედავ, რომ ილია წამოიხილა ტახტზე, - კაბინეტი რომ უდგა, ფხვარებით გამოვბრუნდები რომ არ გავეღმოს!..“

ასე თვითყვებოდა იგი ილიას, რომლის სახელთან დაკავშირებული იყო მთელი ქართველი ერის მომავალი.

ილია ჭავჭავაძეს, როგორც იაკობ მანსვეტაშვილი განმარტავს, ხშირად მოსდიოდნენ სტუმრები, ნაცნობნი, მათი ღირსეული დახვედრა და მიღება ევალებოდა ოღიას, რომელიც ამ საქმეს დიდებულიად ართმევდა თავს.

როგორც ილიას ბიოგრაფი იაკობ მანსვეტაშვილი განმარტავს, ოღიას ყოველწლიურად ილია მართლად ხოლმე თავისი სახელობის დღეს - ილიაობას. ილია სტუმრებს გულუხვად, ხელგამოწავლიად დაუხვდებოდა ხოლმე. ილიას პურადობა და მასპინძლობა ნამდვილი ქართველი იყო, თუმცა ილია გულუხ-

დასაწყისი მე-4 გვ. -ზე

ვი მასპინძელი იყო, იგი მზამზარეულზე გულუფრობდა. ყველა წერილმანი, მთელი მოვალეობა, თადარიგობა, შრომა, გაჭირვება, ვაივალახი ამოდენა ხალხის დასახვედრად და გასაძლავლად, კისრად ედვა ილიას მუელღეს ოლღას. ოლღასათვის ეს ვალდებულება არც ისე მძიმე იყო, სწორი იაკობ მანსვეტაშვილი, რადგან იცოდა, რომ ყველა ეს ილიასათვის სასიამოვნო იყო.

ი. მანსვეტაშვილი, როგორც ახლო მეგობარი ილია ჭავჭავაძის, ეტყობა კარგად იყო ჩახედული ილიას მდგომარეობაში, კარგად იცნობდა ოლღას, იგი ოლღას პიროვნებას ასე გვიხატავს: „ილიას ცოლი ოლღა სულ სხვა ხასიათისა იყო: გულწილი, მშვიდი, სათნოიანი, გულმშობილი, თავდადებული, ამის გულკეთილობას საზღვარი არ ჰქონდა. თუ კი რამ შეეძლო, არას დაზოგავდა, გაჭირვებაში სულს მიეცა, ხელი გაემართა. ილიას ხომ სულ თვალს წარმოუშევს და ილიას სიტყვა მისთვის კანონი იყო. ილიას ერთი წარბის შეყრა საკმარისი იყო, რომ მოყვარული ცოლი მიმხედარიყო მის გულის ნადიდს და მისივე აყვარებულბინა. ოლღა ბედნიერად თვლიდა თავის თავს, რომ ბედმა არაგულა მუელღედ ასეთი შესანიშნავი, დიდებუნივანი ადამიანი და ამით სრულიად კმაყოფილი იყო, მეტს არაფერს ნატროლობდა ილია მისთვის სათაყვანო კერძი იყო, რომლის ნინ მუხლს იდრეკდა. ილიას აღმერთებდა და ამიტომ თავად წარბში შეჭყურებდა, თავს დასტრიალებდა, რომ არც თვითონ და არც სხვას არა ეწყენებინა რა და არ გაანერისებინა. ილია მუშაობას უყურებდა როგორც ღვთიურ მოქმედებას და ამიტომ მის სამუშაო კანონებს ფეხაკრებიტ დასტრიალებდა, ახლო არავის მიაკარებდა. ყველას ნელის ხმით უნდა ელაპარაკა, რომ ილია არ შეეწუხებინა, მისი მუშაობისთვის ხელი არ შეეშალა... ილიას საგურამოში არა ჰქონდა არა იმისი მამაპაპეული მამული კახეთში იყო, სოფელ ყვარელში. საგურამო სრული საკუთრება იყო ილიას მუელღეს, მემკვიდრეობით მიღებული მამისგან, თადეოს გურამიშვილისაგან, მაგრამ ოლღამ სრულიად უარყო, ხელი აიღო მამულზე და როგორც მთელი თავისი არსებობა, პირადობა, ისე ეს მამულიც, ფინანსაზად გაეშალა ილიას ფეხით ქვეშ და უთხრა: მე შენ მეტი არავინ მინდა, დანარჩენი სრული შენი საკუთრებაა, რაც გინდა უყავი, როგორც გინდა მოიხმარე“.

ილიასათვის საგურამო საყვარელი საზაფხული ადგილი იყო. მის ბიოგრაფიაში საგურამო როგორც პოეზიის მუხა ისე შევიდა...აქ იგი როგორც უკვე აღვნიშნეთ, ინვედა არა მარტო ურიცხვ ქართველებს, არამედ უცხოელებსაც. ისინი ისევე, როგორც თვითონ ილია, აღტაცებული იყვნენ ტყეში ჩაფლული არემართი და მისი საუცხოო სანახაობით.
არა ერთ უცხოელს აუწერია საგურამო და მისი სტუმართმოყვარე ქართველი პოეტის სახლში გატარებული დრო.

ადრე საგურამოში პატარა, ძველი სახლი იდგა, სადაც ილიამ სიცოცხლის საუკეთესო დღეები გაატარა, ძლიერ უყვარდა. ეს სასიამოვნო მოგონებანი არ გაქრებოდა, ახალ სახლში ამ მოგონებებით ვისიამოვნებო, ამბობდა ილია ახალი სახლის აგების დროს.

ილიას ახლო მეგობარი არტურ ლეისტი ასე იგონებს: „ჩვენ ორივეს აქ, ამ ფართო ოთახებში ბევრი სასიამოვნო დღე გავგიტარებია, ახალი სახლის ჩრდილოვანი აივნისგან ყურს ვუდგებდით შადრევნის მხუთის და ღამით არავის ბუტბუტს“.

აქ ხშირად იკრიბებოდნენ „ივერიის“ რედაქციის თანამშრომლები და ქართველი მოღვაწენი და იმართებოდა გულმშურველი სჯა-ბაასი საქართველოს ბედზე.

ოლღას სახით ილიას ჰყავდა ნამდვილი სულიერი მეგობარი, მისი აზრების გამგები და პატივისცემელი. იგი ოლღას უზიარებდა თავის ყველა მტკიცეულ საკითხს, პირადი იყო ეს, თუ საზოგადოებრივი.

ილიას თავკაცობით იქმნებოდა საადგილმამულო ბანკი, რომლის დაარსებაშიც ილიას დიდი ენერჯია და ოლღის ღვრა მითითოვა. 1872 წლის 5 დეკემბრიდან 1874 წლის 28 მაისამდე მან დრო მოსკოვსა და პეტერბურგში მოსვლამოსვლას, იქ ტრიალსა და ბიურკრატულ კიბეზე აღმა-დაღმა სიარულს მოანდომა. ამან ილიას ისე გაუშრო სისხლი, რომ ზოგჯერ სასონარკვეთილი საქმის მიტოვებას და შინ გამოქცევას ფიქრობდა. აქი ვერ გაუძლეს წვალებას დიმიტრი ყაზბეგმა და დავით ყიფიანმა, ისინი როგორც ბანკის დირექტორები, რუსეთში ახლდნენ ილიას წესდების დასამტკიცებლად.

„ყოფიანი და ყაზბეგი ხომ ჯერ მკათათვეში ერთი და მეორე ავსიტომი

გაიქცნენ აქედამა და დამადგეს მე მარტო“ – წერდა 1873 წლის 10 ოქტომბერს გულდანყვეტილი ილია ცოლს.
მრავალი ბარადი, რომლებიც ამ დროს ილიასაგან ოლღას აქვს მიღებული, გამოხატავს ამ დიდი ადამიანის განწყობილებას და იმას კიდევ, რომ იგი გულწრფელად უზიარებს თავის განწყობილებას ოლღას, რადგან მის პიროვნებაში ეგულება სულიერი მეგობარი და თანამებრძოლი. აი ერთი ამ წერილთაგანი:

„...ყოველ ცისმარე დღეს ჩვენი ბანკის საქმეზედ დავრბივარ და ვერა გავხდი რა. არც ერთ ბანკში არ გვიშებენ, რომ შევისწავლოთ რამე. მე ამისთანა გულმუშუტივარი ხალხი არ მინახავს. ამის გამო ბევრი დრო გვეკარგება და იქნებ დიდი ხნით დავბრკოლდე აქა. თუ არ შევისწავლეთ რა და ისე ხელცარიელები მოვედით ქალაქს, ხომ იცი რამდენ ცილს დავგანამებენ; აი ბატონო, იტყვიან, ჩაიჯიბეს ოთხმოცი თუმანი, გაისიერნესო და ხელცარიელები მოვიდნენო. მე არ მინდა, რომ ჩემზედ ეცენი ჰსთვან. რაც არ უნდა მოხდეს, თუნდა ერთი წელიწადი დარჩიმა მომიხდეს, დავრჩები აქა, რომ შევისწავლო რამე და ბანკების კარი გავალო“.

შემდეგ ბარათში:
„...მე აქ ვგდვიარ და ჩემ აქ ყოფნას ბოლო არ უჩანს, ეს მამაძაღლები საქმეს გვიგვიანებენ, და სწორედ არ მეუბნებიან როდის გაათავდება... მთელი დღე მინა ვგდვიარ... თუ წავალ სადმე ხოლმე, ისევ ფინანსის სამინისტროში საქმის შესატყობად. სულ გამოყვრუედი...“
გულგატრუებულ და მოქატიულ ილიას როგორც სჩანს, ოლღა ამხნევეებს და საპასუხო ბარათში ილია წერს:
„...ამას ნინათ ვიფიქრე, მოდი წავიდე შინ მეთქი, რისთვის ვიტანჯები და ვწავლობ მეთქი? მაგრამ შენმა წიგნებმა კიდევ გული მომცეს და ვსთქვი: ეს ხომ ჩემგან სილაჩრე იქნება, რომ გაუთავებული საქმე დამჩრეს. ეგ ბრძოლის ველიდამ გაქცევა იქნება და სირცხვილი მეთქი. ვინ რას მეტყვის? ხომ მინასთან ვამასწორებენ მეთქი...რაზედ უნდა დავფრთხე და საქმეს გავექცე მოლაღატე სავით? გერე ჩემო კარგო, დავიტრიალე შერყეული გული და კვლავ გავიმაგრე“.

ილია გრძნობს და ხედავს მისთვის ოლღას მიერ გაღებულ მსხვერპლს და თავის ნაფიქრს ასე უზიარებს: „...მე ბანკის საქმეს ყველაფერი შევნიერე, ჩემი მშვიდობა, შენი უზრუნველყოფილი ცხოვრება, ჩემი კარიერა. ვისაც თვალს აქვს დაინახოს, ვისაც ჭკუა აქვს ანონის და ვისაც არა აქვს, მან პატარა გომიასავით უქნიდან ყვეა დამინყო“.

ოლღა ჭავჭავაძის მწერ მოწერა და საქმიანი კავშირი ჰქონდა ცნობილ ადამიანებთან სხვადასხვა საზოგადო საქმის შესახებ. იგი არტურ ლეისტის საქართველოში ჩამოსვლასთან დაკავშირებით 1894 წელს იაკობ გოგებაშვილს წერდა: „გერმანიიდან ჩამოვიდა ერთი ყმაწვილი მწერალი, სახელად ლეისტი და სურს გაცივოს ქართველი საზოგადოება, ქართული მწერლობა, რის შემდეგ უნდა შეეცადოს თავრმნოს ქართული ლიტერატურის საუნჯე...ფეფხისტყაოსანი“. ამისათვის ილიას სურს გაცივოს ყმაწვილი ქართველ მწერლებს“.

თქვენ გთხოვთ სამ საათზე გვეწვიოთ, რასაც ჩემს მხრინაც ვუმატებ ჩემს გულით თხოვნასაც.“

ღრმად პატივცემელი ოლღა გურამიშვილი.

ცნობილი ვახლავთ შემდეგში როგორი დაახლოვებული პირი ვახდა არტურ ლეისტი ილია ჭავჭავაძისა და მთელი ქართველი საზოგადოებისა.

დიდი და კეთილშობილი მეგობრობა აკავშირბდა ოლღა გურამიშვილს ინგლისელ ქართველოლოგ ქალთან მარჯორი უორდრობთან. როდესაც მარჯორი უორდრობი პირველად საგურამოში ჩამოიდა, ოლღას ეკატერინე გაბაშვილი წერს:

„ძვირფასო ქალბატონო ოლღა! დღეს საღამოს მატარებლით თბილისში ჩამოდიხარ ინგლისელი ქალბატონი მარჯორი უორდრობი, რომელსაც სურს თარგმნოს ინგლისურად „ვეფხისტყაოსანი“ და ზოგიერთი ქართული პოეზიის შედეგები. გთხოვთ ჩვენთან ერთად ნამობრძანდეთ მცხეთის სადგურზე უორდრობის შესახვედრად, თუ ინებებით ნამოსვლას, საღამოს რვის ნახევარზე მობრძანდით ჩვენთან და იქიდან ერთად გავემგზავრობთ მცხეთას...“

მარჯორი უორდრობი დიდი მეგობარი ვახდა ოლღა გურამიშვილის, ილია ჭავჭავაძის, ქართველი ინტელიგენციის და მთელი ქართველი ხალხის. იგი საგურამოს ხშირი სტუმარი იყო. ოლღა გურამიშვილის ადამიანურ ღირსებებზე მეტყველებს მარჯორის ერთ-ერთი წერილი მისადმი:

„...გულით ვწუხვარ, რომ ავადმყოფობით. თქვენ ძვირფასო თვალებს სინათლე აკლიათ. თქვენ სწერთ იმდენად მშვე-

ნიერად, ძნელია დავიჯერო, რომ კარგად ვერ ხედავთ.

იმედი მაქვს უძვირფასესო ოლღა, რომ ახლა თქვენი საყვარელი თვალები კარგად არიან, ნეტავი ჩვენს ძალაში იყოს თქვენი განკურნება“.

ყურადღებას იქცევს ოლღა ჭავჭავაძის 50-მდე წერილი მარჯორი და ოლივერი უორდრობებისადმი, რომლებთაგან პირველი დათარიღებულია 1894 წლის 24 ნოემბრით, ხოლო უკანასკნელი 1911 წლის 5 ოქტომბრით. ამათგან ორი წერილი რუსულად, სამი ფრანგულად, დანარჩენი კი ყველა ქართულად არის დანერვილი. ეს წერილები ღრმა პატივისცემას გამოხატავს ამ დიდებული ინგლისელუბისადმი, და რომელთაც ძალიან ბევრი გააკეთეს ჩვენი ერისათვის.

ერთ-ერთი წერილის ნაწყვეტს მოვიყვანო მაგალითად: „...პირუთენელად უნდა ვაღიარო თქვენს წინაშე: მას შემდეგ, რაც გავიცანი, თქვენ შეადგენთ ჩემს სათაყვანო და სადიდებელ პირთ. იქნება ამ სტრიქონის ნაკითხვის დროს ღიმილი მოგივიდეთ და გეგონოთ, როგორც აზიელი, ყიზილბაშურ პატივისცემას გიცხადებთ, არა, დიდად პატივცემული ბატონი მარჯორე! თქვენ, დიდი ბრიტანეთის შვილმა, არ დაიზარეთ და შეისწავლეთ ჩემი საყვარელი დედა ენა იმ მწერლობამდინ, რომ თქვენის ნათარგმნით ვააცანით თქვენს განათლებულ ხალხს ჩემი პატარა, დავიწყებული სამშობლო...“

„მიმეცით ნება დედობრივი სიყვარულით მოგხსენიეთ და მრავალჯერ დაგიკოცნოთ ჩემი საყვარელი თვალები. დიდად გმადლობთ მე და ილია. ყოველთვის თანავგრძნობით ეგებებით ჩვენს ავკარგავინობას. ახლა ილია სულ საზღვარგარეთ იყო და ინამლა სრულობით...თუ ზომიერად იმუშავა და არ დაილივდა, სრულიად კარგა იქნება...“

„...რაც ამ ორ წელიწადში წიგნები გამოვიდა, ყველას ილია მოგართმევთ. ხოლო რაც შეეძლება ვახუთ „ივერიას“, ილიამ ამ ორ წელიწადში სხვას ვადასცა და თვითონ აღარ ითვლება რედაქტორად, რადგან ავადმყოფობის შემდეგ დიდ ჯაფას ვერ იტანდა და თქვენ უკეთ მოგხსენებათ ყოველდღიური ვახუთი რა ვაფას და ტვირთის თიხოსც...“

ოლღა გურამიშვილი მეგობრობდა თავისი დროის მოწინავე მწერალ ქალებთან. დიდი მეგობრები იყვნენ იგი და მწერალი ქალი ეკატერინე გაბაშვილი. ეს ნაცნობობა, საერთო ინტერესებით და საქმიან შეერთებულობით, თითქმის მეგობრობად იქცა ჩვენს შორის. მთელი თხოუმეტი წელიწადი თუ თორმეტი, სწორედ არ მახსოვს, ვიყავი წერა კითხვის საზოგადოების წევრი და ამ დროის განმავლობაში ყოველწლიურად ვანყობდით მე და ოლღა „ბაზრობას“, შემდეგ თუ შეხსიერება არ მალატობს, არანაკლებ თხოუმეტი წლისა, ასევე ერთად ვმუშაობდით საქელმოქმედო პროფესიონალურ ქალთა სკოლაში“, – იგონებს ეკატერინე გაბაშვილი.

როგორც ეკატერინე გაბაშვილის მოგონებებიდან ვხედავთ, ილია დიდ ანგარიშს უწევდა ოლღას აზრსა და საქმიანობას: „ჩვენ ოლღას მივმართავდით, როცა ილიანი გვერიდებოდა და მეორე დღეს ყველაფერი მზად იყო“ – წერს იგი.

ოლღა გურამიშვილის და ეკატერინე გაბაშვილის თაოსნობით „პროფესიონალურ ქალთა სკოლაში“ გაიმართა საღამო, რომელსაც დაესწრო აკაკი წერეთელიც. სკოლის მოსწავლეებმა ამ საღამოზე მისი „გოგია მეჩონგურე“ დადგეს. საღამოს დასასრულს აკაკი ხელზე ემთხვია ოლღას და ეკატერინეს:

„მე ხედავ აქ დიდი ეროვნული საქმე კეთდება“.

ოლღა გურამიშვილი ეკატერინე გაბაშვილთან ერთად მართავდა საღამო წარმოდგენებს, „ალეგრა ლატარიებს“ და აქედან შემოსული თანხით ეხმარებოდა ქართველ სტუდენტებს.

ოლღას ყურთასმენა დააკლდა. ამაზე ილია მეტად ჯავრობდა. მას უნდოდა მუელღე საზღვარგარეთ წაეყვანა. „...მე მგონი, შენ უფრო ვფიქრობ აზვიანდებ ყურთა სმენის მოკლებას, შენ სმენა ისე არ გაკლია, როგორც ფიქრობ. გაზაფხულზე ავიკრეფამთ გუდა ნაზდა და გავწვით საზღვარგარეთ“ – წერდა ილია ერთ ერთ წერილში ოლღას, მაგრამ 1906 წელს ილიას რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრად ირჩვენ, ოლღა თან მიყვება მუელღეს, რადგან ილია ამ დროს უკვე უჩიოდა ჯანმრთელობის შერყევას. და ილია ჭავჭავაძეს განუხორციელებელ იცნებდა დარჩა ოლღას საზღვარგარეთ ნაცვანა ყურის სამკურნალოდ.

პეტერბურგი – ეს იყო მათი უკანასკნელი მოგზაურობის ბედნიერი დღეები...
ოლღა ილიას გვერდით არის არა მარტო ფიზიკურად, არამედ მორალურადაც, გვერდში უდგას ყოველგვარი საკითხის გადაწყვეტას და, რა თქმა უნდა მის აზრსაც იზიარებს. იგი მარჯორი

უორდრობს სახელმწიფო საბჭოს შესახებ წერს: „...დუმამ ვერ იჩინა დარბაისლობა, ბავშვურად ყველაფერს ეტანებოდა და თხოულობდა და ძალაუფლებითათვის კი მომზადებული არ იყო. მე და ილია, გახარებული, რომ მალე გველირსა შინ დაბრუნება, – რა დღესაც შეატყობინეს, – დუმა დაიშალა, მეორე დღესვე წამოვედით. მარტო ეს მალონებს – ძალიან შევიწროებულია ცხოვრება. ხალხი ჯერ არ დანყარებულია, დედავს და ბობოქრობს, ძალიან სასტიკად ექცევიან და უღმობელათ. ის მშვენიერი და კოხნა გურიის ხომ სულ მიხსათან არის განსორებული...“

გავიხსენოთ ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულება გურიის აჯანყებასა და მისი დამსჯელი ექსპედიციის მისამართით და ნათელი ვახდება ჩვენთვის, რომ ამ დიდ ადამიანს არ შეეძლო თავისი მრწამსი და განწყობილება მუელღისათვის არ გაეზიარებინა და მუელღეც იმავე შეხედულებისა არ ყოფილიყო როგორც თვითონ.

ამისთანა გარემოებაში რკინის კაცი ვერ მოისვენებდა, არამცთუ ჯანგატელი ილიას მოსვენება.

ავსიტოს მინურულეზია. ილია და ოლღა თბილისში არიან ჩამოსულები და დღე დღეზედ აპირებენ საგურამოში დაბრუნებას. ოლღას დარდი აქვს გულს შემოწოლილი, თითქო წინდანია გრძნობა რაღაც უბედურებას და ეხვეწება ილიას, ნუ წახვალ საგურამოში.

წინა საღამოს ილია მარშალთან არის, ალ. ორბელიანთან, იქ ახალგაზრდანიც ურჩვენ ნუ წაბრძანდებით სოფლად, ჯერ კიდევ დამშვიდებული დრო არ არისო.

ილიას არ ეტყობა, რომ წინადგრძნობა რამ ჰქონდა რაიმე მოსალოდნელი ხიფათისა; ისეთი კაცი არ იყო, ასეთ ფიქრს შემინებოდა. თითქმის არას დროს არ დაუბრკოლებია ილია ამისთანა შემთხვევაში არავითარ მოსალოდ-



წელს ხიფათს, არც უამინდობას, არც მოიდებულს არავცს, უმთავრესი მოვალეობა იყო. თავისი მოვალეობა და ვალდებულება ყველამ უნდა შეასრულოს, რათაც უნდა დაუჯდესო. უამისოდ შეუძლებელია კაცთა ცხოვრება. უფლება და მოვალეობა და მათი მტკიცედ აღსრულება

ეს იყო ილიას ღრმა რწმენა, ეს რწმენა იყო მიზეზი, რომ მუდამ გულმტკიცედ და თავგამოდებით, უშიშრად ასრულებდა თავის მოვალეობას და იცავდა თავის უფლებას, როგორც ზნეობრივს, ისე ქონებრივს და კიდევ შეიქმნა მსხვერპლი ამ მოვალეობის აღსრულებისა.

ალსრულდა! აღსრულდა უღვთო საქმე და შეიღება დიდებულის მამულომვილის სისხლით ნინამურის მიდამო. ავაზაკნი ჩაუსაფრდნენ ილიას საგურამოს გზაზე, წერილობაში დაახალეს ტყვის გულში და შუბლი დასთხოვეს თთვის კონდახი. იქვე მოჰკლეს მისი ერთგული მსახური იაკობი და შარა გზაზედ დააგდეს ნაცემ-ნახევგი ოლღა“.

ამ მხეცურმა მოქმედებამ თავზარი დასცა და გული მოუკლა მთელს საქარ-

თვლოს. ქართველი ერი მწარე ცრემლებით მოსთქვამდა ილიას სიკვდილის გამო.

ოლღას გატეხილი ჰქონდა მარცხენა ყბის ძვალი და თავზედაც დიდი ჭრილობა ჰქონდა. გრძნობდა კარგული ქალი ეტლით ნაიყვანეს საგურამოში.

2 სექტემბერს ვახუთი „ისარი“ წერს: „ქიორგს გაუსისჯია ოლღა ჭავჭავაძისა, ჭრილობები შეუხვევია და ქალაქში წაუყვანიათ. იგი გონს მხოლოდ 31 ავგისტოს დილით მოსულა და წამოუძახნია: „ურჩიეთ ილიას არ წავიდეს, სამიზია“.

სამინელი სანახავია კნ. ოლღა ჭავჭავაძის დაუფიქრი და დამტყრული თავპირი. ათი ჭრილობა აქვს თავზედ. სამიში ჭრილობა მარცხენა ლოყის თავზე აქვს. ძვალი გატეხილია. ერთი თვალი მხოლოდ ჩასილობინებულია, მეორეც გასიებული აქვს. მეურმეებს, რომელთაც შემდეგ გაუტოლათ, უთქვამთ თურმე, ქნინა ძალზე ყვიროდა და შევლას ითხოვდაო. როდესაც დაენახა, დაეძახნა – ვითომ ეკლესია აგიშენებიათ, აგვიყვანეთ, წამვიყვანეთო.“

ამ ტრადიციის დატრიალების შემდეგ ოლღა ცოცხალი კი ვადარჩა, მაგრამ რაღა სიცოცხლედ ჩაითვლებოდა მისი სიცოცხლე, სამუდამოდ დახებრდა და ლოყის მიეჯაჭვა.

ილიას სიკვდილით თავზარდაცემული ეკატერინე გაბაშვილი სამძიმრის წერილს უგზავნის ოლღა გურამიშვილს:

„...მუთთან ერთად სტორის ძვირფას ილიას მიველი საქართველო და დიდხანს იტვირებს კიდევ. რაც დრო ვაგა, იმდენად უფრო გაძვირდება ილია ქართველებითათვის. მალე დადგება იმისთანა დრო, როდესაც არც ერთი ქართველი აღარ იქნება საქართველოში, რომელიც ილიას სახელს არ ახსენებდეს სასოებითა და თავყვანისცემით.“

ილიამ თავისი მოწამეობრივი სიკვდილით სასწრაფოდ გააცნო თავისი

ეს არაჩვეულებრივი წერილები ილიას ახალწვევით სიყვარული და ამასთანავე უცნაური საზოგადოებრივი ილიას და ოლღას იდეალური ტრეფობისა

დასაწყისი მე-5 გვ. -ზე

ოლღას ჯანმრთელობაზე, მის შენახვაზე ზრუნვა თავს იდგა წერა კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ, შემდეგ მწერალთა კავშირმა. მზრუნველად დაენიშნა ნინო ნაკაშიძე.

1908 წელს დაიწყო სასამართლო ძიება ილიას მკვლელობის გარემო. უშუალო მკვლელობის გიგლა ბერბიჭაშვილი, ამ დიდი ტრაგედიის დარტყალის შემდეგ თურქეთში გადაიხვეწა. ხოლო სამი მონანილე მკვლელობისა დამკვეთის მხარის სოფ. საგურამოში მცხოვრები თედო ლაბაური, სოფ. წინამურში მცხოვრები გიგოლა მოძღვრევილი და გიორგი ხიზანიშვილი დაიჭირეს და ჩამოხრჩობა მიესაჯათ.

სასამართლოს ამ განაჩენს გარკვეული რეაქცია გამოუწვევია საქართველოში, მათზე ჩვენ დაწვრილებით არ შეეწერებოდა, ყურადღებას გაავაზნებდა ილიას ქვრივის ოლღა ჭავჭავაძის მიმართ თავზე თბობის გენერალ-გუბერნატორისადმი.

სამხედრო სასამართლომ სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა ჩემი საყვარელი და ჩემთან ერთად მთელი ქართველი ხალხის, ან განსვენებული ჩემი მუდღის, ი. გ. ჭავჭავაძის სამ მკვლელს. ჩემმა მუღლემ მთელი თავისი სიცოცხლე, მთელი თავისი სულიერი სიძლიერე, ღმერთისგან ნაბოძები მალაი ნიჭი შესწირა ადამიანთა სულში ჰუმანური გრძობების, ადამიანის ადამიანისადმი, როგორც თავის მძისადმი, სიყვარულის განმტკიცებას. მე ორმად ვარ დარწმუნებული, ის რომ ცოცხალი დარჩენილი-

ყო, აპატიებდა მათ, რომელთაც ხელი აღმართეს მის წინააღმდეგ. იგი მათში სცნობდა მხოლოდ თავის უბედურ, გზაცდენილ ძმებს, ახლა კი, მისი მკვლელების სიკვდილით დასჯილი ჩვენი ხალხის სულიერ ცხოვრებაში მის ხსოვნას ჩრდილი უნდა მიადგეს.

ეს სამინელი სასჯელი დაანგრევს იმ სიყვარულის საქმეს, ქრისტეს, - ცხოვრების მასწავლებლის, - იმ სამუდამო ანდერძს, რომლითაც ცოცხლობდა ჩემი განსვენებული მუღლემ. დაბეჯითებით და გულმხურვალე თხოვნით მოგმართავთ თქვენ: არ დაამტკიცოთ განაჩენი ამ უბედური ადამიანების დასჯისა.

მე მხოლოდ შემთხვევით გადაურჩი მათ და დავრჩი ცოცხალი მხოლოდ იმიტომ, დავამტკიცო ის საქმე, - ადამიანისადმი მხურვალე სიყვარული, რომელსაც მან მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა, - ვაპატიო უბედურებს, გზა ახლებულ ძმებს, რომელთაც თვითონვე აპატიებდა.

საყურადღებოა ამ თხოვნის შესახებ იაკობ გოგებაშვილის გამოხმაურება:

კნინა ოლღა თადეოზის ასულმა წარსულ ორშაბათს დაამზადა შესაბამისი თხოვნა გენერალ-გუბერნატორის სახელობაზე, ხოლო რადგანაც ავადმყოფობა ნებას არ აძლევდა პირდაპირ მიერთვარს, კნინამ სთხოვა წერა კითხვის საზოგადოების თავმჯდომარეს გიორგი ნიკოლოზის ძე ყაზბეგს შუა კაცობა ეკისრნა და თხოვნა წარედგინა გენერალ-გუბერნატორისათვის.

პატივცემულმა გიორგი ნიკოლოზის ძემ დიდი სიამოვნებით იკისრა შუა კაცობა და გუშინ, სამშაბათს ინახულა გენერალ-გუბერნატორი და არზაც გადასცა. თავის არზაში ყოვლად ღირსე-

ული ქვრივი ილიასი სთხოვს გენერალ-გუბერნატორს სიკვდილით ნუ დასჯიან მისი მუღლის მკვლელებს, რადგანაც ეს ძლიერ დაამძიმებს ილიას სულსა, რომელსაც თავის ძირითად მცნებად ჰქონდა მაცხოვრებითი პატივად მტრებისაო. როცა გენერალს ყაზბეგს მიუერთებია არზა გენერალ-გუბერნატორისათვის, ამ უკანასკნელს უბასუხნია: საქმე ამ საქმის მკვლელების ჩამოხრჩობაზე ჩემთან ვერ არ წარმოუდგენიათ, ამიტომ ეხლა გადაჭრიე ვერაფერს გეტყვი, როცა საქმეს წარმოადგენენ, გულდადებით გადავსინჯავ, ჩავაკვირდები, და თუ შესაძლებელი იქნება, სიამოვნებით შევასრულებ მოკლულის ქვრივის სურვილსაო.

ოლღა ჭავჭავაძის თხოვნა დაიბეჭდა არა მარტო ადგილობრივ გაზეთებში, არამედ სატახტო გამოცემებშიც და დიდი შთაბეჭდილება მოახდინა რუსულ მონინავე საზოგადოებაში და ლიტერატურულ სფეროებში.

„როდესაც მთელს რუსეთს გამეფებულია ზნეობრივი სიბნელე და უკუნეთი და ყოველი ნაბიჯზე გაისმის: მოჰკალ, ჩამოხრჩე, დახვრიტე და ლამის სასონარკვეთილების მორევში ჩავიხრჩოთ, ამ დროს საქართველოს საუკეთესო შვილის ქვრივი, რომელსაც უსაყვარლესი მუღლე ბარბაროსულად მოუკლეს და თვითონაც იგი მხეცურად დასჭრეს, ევედრება მთავრობას: სიკვდილით ნუ დასჯი მკვლელებსაო. კურთხეულ იყოს სახელი იმ ქალისა, რომელმაც ეს სტრიქონები დაწერა...კურთხეულ იყოს სახელი კნინა ჭავჭავაძისა, ის ჩვენ ადამიანებისადმი რწმუნის გვიწერავს. აქამდე ვიცოდადი, - ამბობს ბოლოს ავტორი, რომ ფიზიკური მხე აღმოსავლეთიდან ამოდისო,

ახლა უნდა ვსთქვათ: ზნეობრივმა მხემ აღმოსავლეთიდან - საქართველოდან აღმოაშუქაო. (იაკობ გოგებაშვილი).

შემდეგ ტოლსტოის ექიმ მოკოვიცთან სადღილობისას კერძო საუბარში ამ წერილის შესახებ უთქვამს: „ეს წერილი განსაცვიფრებელია, ეს ასეთი პასუხია კითხვაზე: - თქვენ რომ მოეკალით?“

ისინია პოლიანას გენიალური მკვიდრი გულწრფელად შურსხვია ტრაგიკულად დაღუპული ილიას ქვრივის ნაბიჯს.


ოლღა გურამიშვილმა ილიას სიკვდილის შემდეგაც არ შეწყვიტა კავშირი ილიას ახლო მეგობრებთან. მას მიმონერა აქვს მარჯორი და ოლივერ უორდროპებთან, რომელიც დიდი ილიას ვერაგული მკვლელობით ისევე თავზარდაცემული ჭირისუფალია, როგორც მთელი საქართველო.

ეს წერილები გამსჭვალულია ამ ძვირფასი ადამიანისადმი ღრმა სიყვარულით, მათი ოჯახისადმი უღრმესი პატივისცემით და სავესტა ოლიაზე უნახესი მოგონებებით:

როგორც მიმონერიდან, ასევე სხვა დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ოლღას ჯანმრთელობა თანდათან გაუარესდა. ქართველი საზოგადოებრიობა ზრუნავს მის ჯანმრთელობაზე. ჩვენს ხელთ არის ამის დამადასტურებელი ილია წინამძღვრის მიწვევის წერილი:

„დიდად პატივცემულო კნინა თადეოზის ასულ! მარხვა სინანულისა და აღდგენა სიახლისა. ეს სიტყვები გაოთქვამს ხალხს. ამ სიტყვებით მეც თქვენ მოგმართავთ. ღმერთს ვთხოვ, რომ გაგათავისუფლოთ ყველა თქვენი სწულეზისაგან და იყოთ მრავალჯამიერ დღეგრძელი და ჯან-ღონით მზიარული.“

კლავს თუ არა ალკოჰოლი კორონავირუსს? – მითები და რეალობა ვირუსის მკურნალობის მეთოდებთან დაკავშირებით



მოკვდება თუ არა კორონავირუსი, თუ ალკოჰოლი, ან ქლორის მთელ ტანზე გადაივლებო?

თუ უკვე კორონავირუსმა ორგანიზმში შეაღწია, ალკოჰოლისა და ქლორის სხეულზე მიზნურობა მას ვეღარ მოკლავს. სხეულის, სამოსის ალკოჰოლით, ან ქლორით დამუშავება შეიძლება საზიანო იყოს თქვენი სამოსის-თვის, ასევე თვალბინისთვის, კანისთვის. გაითვალისწინეთ, რომ დეზინფექციისთვის ალკოჰოლისა და ქლორის გამოყენება სასარგებლოა, მაგრამ აუცილებელია გარკვეული წესების დაცვა და შესაბამისი რეკომენდაციების გათვალისწინება იმისთვის, რომ საკუთარ თავს არ ავნოთ.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ ბოლო დღეებში სოციალურ ქსელებში ვირუსულად ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ალკოჰოლის დაღვევა კორონავირუსს კლავს. რეალურად კი, არ არსებობს არანაირი მტკიცებულება, არანაირი კვლევა იმისა, რომ ეს სინამდვილეს შეესაბამება, არც ჯან-დაცვის მსოფლიო ორგანიზაცია წერს რაიმეს ამ თემასთან დაკავშირებით. სოციალურ ქსელებში გავრცელებული ინფორმაცია „ფეიკ ნიუსია“.

არის თუ არა უსაფრთხო ჩინეთიდან ამანათების მიღება?

ამანათების მიღება უსაფრთხოა. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ცნობით, ადამიანები, რომლებიც ჩინეთიდან ამანათებს იღებენ, არ არიან კორონავირუსით დაინფიცირების რისკის ქვეშ. კვლევის მიხედვით, ტვირთზე, სხვადასხვა საგნებზე მოხვედრის შემთხვევაში, კორონავირუსი დიდხანს ვერ ძლებს.

დაგიცავთ თუ კორონავირუსისგან პნევმონიის სინამდვილე ვაქცინა?

არა. ასეთი ვაქცინა არ არის ეფექტური კორონავირუსის წინააღმდეგ. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია ურჩევს ადამიანებს, რომ არ გამოიყენონ პნევმონიის სინამდვილე ვაქცინა კორონავირუსით ინფიცირების შემთხვევაში. მედიკოსების განმარტებით, ეს არსებული ვირუსებისგან

სრულად განსხვავებული და ახალი ტიპის ვირუსია, რომლის დამარცხებასაც ახალი ვაქცინა სჭირდება.

არის თუ არა კორონავირუსის პრევენციის საშუალება ცხვირის მარილიანი წყლის რეგულარული გამოყენება?

არა. არ არსებობს არანაირი მტკიცებულება, რომ მარილიანი წყლით ცხვირის გამოწვება კორონავირუსისგან დაგიცავთ. არის შემთხვევები, როდესაც ადამიანებს მარილიანი წყლით ცხვირის გამოწვება ჩვეულებრივი ვაქცინების სწრაფად დამარცხებაში დაეხმარათ, თუმცა კორონავირუსის შემთხვევაში ეს არაეფექტურია.



დაგიცავთ თუ არა ნიერის მირთმევა კორონავირუსისგან?

ნიორი სასარგებლო საჭმელია და აქვს ანტიბიოტიკული მახასიათებლები. თუმცა არ არსებობს მტკიცებულება იმისა, რომ ნიორი კორონავირუსის პრევენციისთვის ეფექტურია.

არის თუ არა კორონავირუსის პრევენციისთვის სასარგებლო სეზამის ზეთი?

მსოფლიო ახალი ტიპის კორონავირუსის ებრძვის. ვირუსის კერა ჩინეთის ქალაქი უხანია, საიდანაც ის არავითარ ქვეყანაში გავრცელდა. ვირუსმა ევროპაშიც შემოაღწია. ყველაზე მძიმე ვითარება კი იტალიაშია, სადაც ბოლო ინფორმაციით კორონავირუსის გავრცელების თავიდან ასაცილებლად 11 ქალაქი კარანტინში.

ადამიანთა დიდი ნაწილი პანიკაშია, რადგანაც ვერაფერობით ვირუსის საწინააღმდეგო მედიკამენტები და ვაქცინა არ არსებობს. ხალხში კორონავირუსის მკურნალობის სხვადასხვა მეთოდებზე საუბრობენ, ამ მეთოდში შესახებ ინფორმაცია ვრცელდება სოციალურ ქსელებშიც, თუმცა მათი დიდი ნაწილი სიმართლეს არ შეესაბამება. პანიკის ფონზე კი განსაკუთრებით რთულია ე. წ. ფეიკ ნიუსისა და ნამდვილი ამბის გარჩევა.

არან ადამიანები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ კორონავირუსს ხელის სამართლით, ან ალკოჰოლის მიღებით დამარცხებენ.

მსგავსი ინფორმაციების სფეროთ არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფ-

ლიოს სხვადასხვა ქვეყანაშიც. სწორედ ამიტომ, გთავაზობთ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ოფიციალურ საიტზე გამოქვეყნებული სტატიის მიხედვით მომზადებულ მასალას, რომელიც კორონავირუსის პრევენციის შესახებ მითებსა და რეალობას გაგაცნობთ.

კლავს თუ არა კორონავირუსს ხელის სამართლით?

არა. ხელის სამართლი კორონავირუსს არ კლავს. იმისთვის, რომ თავი ვირუსისგან დაიცვათ, ხელეტი დამუშავეთ ალკოჰოლის შემცველი საშუალებით რაიმე ანტისეპტიკური საშუალებით, ან დაიბანეთ ხაზნით. მას შემდეგ, რაც ხელეტი დაიბანთ, შეგიძლიათ გამოიწვებოთ პირსახოცი, ქალაქის პირსახოცი, ან ხელის სამართლი.

კლავს თუ არა კორონავირუსს ულტრაიისფერი სხივები?

არა, არავითარ შემთხვევაში არ გამოიყენოთ ეს მეთოდი. კორონავირუსი ასე არ მოკვდება, ამასთან, შესაძლოა, ყოველივე კანის დამწვრობა და გაღიზიანება გამოიწვიოს.

„რემდესივირი“ – კორონავირუსის წინააღმდეგ პრაქტიკული შექმნილი

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია: არსებობს მხოლოდ ერთი ნამაღი, რომელიც ჩვენი აზრით, ეფექტურია და ეს არის „რემდესივირი“.

ამჟამად კორონავირუსის სამკურნალო პრეპარატის კლინიკური გამოცდა დაიწყო. ამის შესახებ ინფორმაციას ტელეკომპანია BBC ამჟამად ჯანდაცვის დეპარტამენტის თანამშრომლებზე დაყრდნობით ავრცელებს. არსებული ინფორმაციით, ანტი-ვირუსული პრეპარატის ტესტირება ნებრასკის სამედიცინო ცენტრში მიმდინარეობს.

პრეპარატი სახელწოდებით „რემდესივირი“ ამერიკულმა ფარმაცევტულმა კომპანია „გილიად საიენსსმა“ შექმნა.

ამჟამად მისი გამოცდა კორონავირუსით დაავადებულ ადამიანებზე მიმდინარეობს. პირველი პაციენტი, ვინც „რემდესივირს“ ლეზულობს, იაპონიაში საკრუიზო ხომალდიდან ამჟამად ევაკუირებული მოქალაქეა.

მანამდე, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია შეატყობინა ჩინეთის მთავრობას, რომ „რემდესივირს“ პირველმა ტესტმა აჩვენა, რომ მას კორონავირუსის დამარცხება შეუძლია.

„ახლა არსებობს მხოლოდ ერთი ნამაღი, რომელიც ჩვენი აზრით, ეფექტურია და ეს არის „რემდესივირი“ – განაცხადა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის გენერალური დირექტორის მოადგილემ.



ასე იზადებოდა ყვარელში თეატრი ...

საინტერესო და მნიშვნელოვანია ყვარლის თეატრალური ცხოვრების ისტორია. თავად ყვარელი ხომ ის ქალაქია, რომელმაც დაბადა ერის სულიერი მამა ნინო და ილია მართალი, ქართული თეატრის რეფორმატორი კოტე მარჯანიშვილი და მისი გამოზრდილი დიდი რეჟისორი ვახტანგ ტაბლიაშვილი, დიდი მსახიობები – თამარ ჭავჭავაძე, დიდი ჭიჭინაძე, მკაც საფაროვა-აბაშიძე, სცენის დედოფალი, რომელმაც ბავშვობა ძველ ვაგაზში (ახლანდელი ახალსოფელი) და ყვარელში გაატარა, ილია ჭავჭავაძე მას სცენის თვალს უწოდებდა ყვარელში მწერალი, მუსიკისა და თეატრის უბადლო მცოდნე ილია ზურაბიშვილი თავის წიგნში „თეატრალური პორტრეტები და ნარკვევები მუსიკაზე“ მკაც საფაროვა – აბაშიძეს ასე აღწერს: „...მკაცს ჰქონდა ყოველივე ის, რაც საჭიროა, რომ მსახიობი სრულყოფილი ხელოვანი იყოს: სასცენო ნიჭი და სასცენო ფიზიკური თვისება. ფიგურა მორჩილი, მაგრამ უნაკლო, პროპორციული აღნაგობისა. პირველ წლებში – ნაზი, სათუთი. დაქალაქობაში – ზომიერად ხორცსასვე, მაგრამ მოქნილი, ელასტიური. ეს ელასტიურობა იყო, რომ ასაკო ცვალებადობა ათქმევინა თავის პეტუას („ციმბირელი“) მაშუა – გოგოსათვის: „უპ, შენ კი, გენაცვალე ე მაგ წელში მკაცრონივით რომ იმტვრევი!... მორჩილი ფიგურა რომელიც მსახიობს შესაძლებლობას აძლევდა დღეს 15-16 წლის გოგონა, თუ 13 წლის ბიჭი განესახიერებინა სინამდვილის სრული ილუზიით, ხვალ კი – თბილისელი მოქალაქე ფაფუკი, ტანაყრილი, თითქმის ფაშვამა მუღღლე ან ევროპული გრან – კოკეტი სახე? – მკაცო სულით მონაბერი სილამაზის პატრონი იყო“ მკაცის მასწავლებლად ჰყავდა ყვარელში მწიგნობრობით სახელგანთქმული ნომრენიანთ ნინო (ილია ჭავჭავაძის ახლო ნათესავის ზალიკო ჭავჭავაძის დედა). მკაც მამინდელ ლიტერატურულ წრეში ტრიალებდა: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, სერგო მესხი, ივანე მაჩაბელი, გიორგი თუმანიშვილი, დიმიტრი ყიფიანი, რომელსაც მკაცო შვილივით უყვარდა ნიჭისათვის და სხვანი. ამიტომაც ჰქონდა „მშვენიერი ქართული გამოთქმა“, როგორც აღნიშნა ილია ჭავჭავაძემ; კოტე მარჯანიშვილი, როდესაც არდადეგებზე ჩამოდიოდა ყვარელში, თავისი სახლის დიდ მარანში დგამდა საშინაო ნარმოდეგებს, რომელთა რეჟისორი და მსახიობიც თვითონ იყო. თავის მოგონებებში წერს, რომ „ჯერ კიდევ გიმნაზიელი ვდგამდი ნარმოდეგებს. სცენაზე გამომყავდა ჩემი დები, ძმა, დეიდამელები, როდესაც მოქმედი პირები მაკლდებოდნენ, მათ შემსრულებელს ვავსებდი სოფლის მასწავლებელთა და სასულიერო პირთა წრიდან. ჩემთან თამაშობდა თვით ფოფოღია თავის ქალიშვილით, ჩემი ეკლესიის მედავითენე, და ერთხელ, როდესაც მოქმედების მსვლელობისდა მიხედვით საჭირო იყო დიდი ძალი, ჩემს სცენაზე გამოვიყვანე ძალი თვით მისი მალაღმდეგეთ-მსახურებისა... ჩემს თეატრში მე ვიყავი მთავარი მსახიობი და რეჟისორი, დეკორატორი და სუფლიორი, ბუტაფორი, ერთი სიტყვით, ყველაფერი მე ვიყავი. მაყურებლად იყვნენ დარბაისელი კახელი გლეხები, თუ როგორ მოხსონდათ მათ ჩემი ნარმოდეგები არ ვიცი ერთი კი კარგად მახსოვს, რომ ისინი მაღიანად შექცევდნენ გამოიგებს, ვაშლს და ჩურჩხელებს, – ჩემს მიერ უხვად გამოიღო ხორაგს. ეს ჩემი თეატრალური მღვდემ-სახურება რაკი ტარდებოდა უზარმაზარ მარანში, გზაძინებდი თავი მოხვადით ქვევისათვის და იქვე დაედგათ ხელადა, ყოველივე მართავდებოდა მითი, რომ ხელადის მაყურებელთა პირის რამდენიმეჯერ ჩამოტარების შემდეგ, მე სცენაზე მრავალჯერ გამოიმხვევდნენ ხოლმე, – მოვიპოვე წარმატება, ჰოი, როგორი წარმატება!“... ასე გვაუწყებს ნარსული ისტორიის რეალობა თეატრის სცენის ვარსკვლავებზე და ცხადყოფს, რომ აუცილებელი იყო ყვარელში არსებული თეატრი... და, იყო კიდევ!

1905 წელი მნიშვნელოვანი თარიღია ყვარელში კულტურული ცხოვრების აღმავლობისათვის. თავადმა იური ჭავჭავაძემ (1868-1912) მრავალი კეთილი საქმე მოუძღვნა ყვარლის კულტურის სფეროს, მან პირველმა დაიწყო ფიქრი და მზრუნველობა ამ სფეროზე. ეს გულსხმიანი თავადი მუდმივად ყვარელი ხალხის გულშემატკივარია, მათი სახარულია და განსაცდელის თანაზიარი თეთრ ჩრქვეულ და წითელ ახალუხში გამონწყობილი დიდი თეთრი ფაფაბით თვალში საცემია ეს თავადი, მშვენიერ ინგლისურ ცხენზე ამხედრებული. ცხენი მოკაზმული ჰყავდა ვერცხლის რაბტით, რითიც მხედარს კიდევ უფრო მეტად მოხდენილს ხდიდა. მის

ფერმკრთალ სახეს ამშვენებდა კეთილი ნაზლისფერი თვალები და შავი წვერულევაში. მოხდენილი ტანი, წვრილი წელი... გაჭენებულ ცხენს ისე მოახტებოდა, მინას ფეხს არ დააკარებდა – ასეთ აღწერილობას ვხვდებით მისი მუღღლის ჩანაწერებში, რომელიც აღწერს იური ჭავჭავაძის მიერ განუღო ყველა კეთილ საქმეს და მფარველობას ყვარლისა და ყვარელელებისათვის. ამ მოგონებებიდან („მოგონება ნადეჟდა ნიკოლოზის ასული ჭავჭავაძისა“) ვიგებთ, რომ როდესაც იმართებოდა სახალხო დღესასწაულები, ყველა შემოსული თანხა და შემოწირულობა იური ჭავჭავაძისა და მისი მუღღლის მეშვეობით „სახალხო სახლი“ – სათვის და ილია ჭავჭავაძის სახელობის სამკითხველთათვის გროვდებოდა სწორედ იური ჭავჭავაძის მიერ შეიქმნა კახეთში მეორე სამკითხველო, რომელიც მწერლების სურათებითა და უამრავი წიგნებით გააჩვენა. ხოლო „სახალხო სახლი“ გახდა საძირკველი სახალხო თეატრისა.

იური ჭავჭავაძის გვერდით დგას ლონგინოზ ზაუტაშვილი, რომელიც კულტურული საქმის გამგრძელებელია ბრწყინვალე შემოქმედ, ხელოვან ახალგაზრდებთან ერთად. 1909 წელს იური ჭავჭავაძემ ყვარლის სახელით მიიწვია ყვარელში აკაკი წერეთელი, რომელიც იმ დროს თელავს სტუმრობდა. 30-40 ცხენოსანი დახვდა ძვირფას სტუმარს „კუისწყაროსთან“ ლონგინოზ ზაუტაშვილის წინამძღობით. ეტლი გაჩერდა თუ არა, ცხენოსნები ჩამოხტნენ ცხენებიდან და მიეგებნენ დიდებულ მგოსანს. ყვარლის მცხოვრებთა სახელით მგრძობიერი სიტყვით მიმართა ლონგინოზ ზაუტაშვილმა ყვარლის ციხე-გალავანთან აუარებდა ხალხი დახვდა, ერთად დაიძრნენ ილიას ეზო-კარმიდამოსაკენ. ვიღაცამ მაყურელი დაიგუგუნა, ვიღაცას მთელი ესკორტი აჰყვა და ასე სიმღერით მიაცილეს აკაკი ილიას სახლ-კარამდე. ილიას ეზო მორთული იყო ყვავილების გრეხილებით, ბაიარალებით. შუა ეზოში იდგა დიდი მოფარდაგებულ კედელი. ილია ჭავჭავაძის გასართობი. იმ საღამოს გამართა ლატარია „ბუდის კიდობანი“, „ფოსტა“, ერთ კუთხეში უკრავდა დოლი და ლეკურს ცეკვავდნენ. საღამო ცეკვით გააღამაზეს შალვა დადინამ და ელო ანდრონიკაშვილმა. იმ

ატრის შენობის ამენების იდეას. ილიას მარნის ადგილას აშენდა სახლი „სახალხო სახლის“ სახელწოდებით. თეატრის განმტკიცების მიზნით, რევეკომის თუ კომკავშირული ორგანიზაციის მეშვეობით აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ სპექტაკლებში: რევეკომის თავმჯდომარე, ალექსანდრე ჭაბაშვილი, „პატარა კახი“ მეფის როლს თამაშობდა, ხოლო „ქრისტინეში“ აქტიური კომკავშირელი ვანო ქანდაურიშვილი მოქმედებდა კინოს როლს. სახალხო სახლის კედლები აშენდა, მაგრამ ეს მაინც ვერ აკმაყოფილებდა თეატრისათვის საჭირო მიზანს. საჭირო იყო იდეური და მატერიალური დახმარება.

თბილისში რუსთაველის სახელობის თეატრს სათავეში ჩაუდგა კოტე მარჯანიშვილი, რომელმაც ალაპარაკა მთელი ამიერკავკასია და რუსეთი. ყვარელი კი ამაყოფიდა მონინავე საზოგადოებით, რომელსაც ხელმძღვანელობდა ილია ზაუტაშვილი. „– მე ვნახე კოტე რუსთაველის თეატრში. ძალიან გახარებული დარჩა ჩემს მიერ გაზიარებული ამბებით ყვარელზე, – იგონებს ილია ზაუტაშვილი, – იმ დროს რუსთაველის თეატრის კოლექტივს ეწოდებოდა „კორპორაცია დურუჯი“. მეც კოტეს გულთბილობითა და სიხარულით გათამამებულმა, ხუმრობით ასე მიემართე“ თუ ყვარელს არ მიხედავთ და არ დაგვეხმარებით, იძულებულნი ვიქნებით სახელწოდება „დურუჯი“ მოვიხსნათ, – მეტი. კოტეს გულთანად უცინია ამაზე და ალუთქვამს დახმარება. იმავე დღეს სანდრო ახმეტელთან ერთად მოუწვევია კრება და ილია ზაუტაშვილის თანდასწრებით გადაწყვეტილი აეღოთ „შეფობა“ ყვარლის თეატრზე და დახმარებოდნენ. დადგენილება გამოქვეყნებულია იმდროინდელ გაზეთში „თეატრი და ცხოვრება“. იმავე წელს თელავს ეწვია საგასტროლოდ რუსთაველის თეატრი. კოტემ ისარგებლა თელავში ყოფნით და მთლიანი დასი ყვარელს ესტუმრა. ილიას კაკლის ჩრდილში გამართა საზეიმო შეხვედრა. ერთი კვირის შემდეგ კი თბილისიდან ჩამოვიდნენ მსახიობები პლატონ კორიშვილი და თამარ ჭავჭავაძე, რომლებმაც ადგილობრივ ძალებთან ერთად ღია ცის ქვეშ გამართეს „პატარა კახი“. პარტიზნობის უწევდნენ ადგილობრივი მსახიობები: ნადია ზაუტაშ-



თავდაპირველად, თეატრალურ წარმოდგენებს ინტელიგენცია ესწრებოდა, შემდეგ კი გლეხობაც დაინტერესდა. შემდეგ გახსნა ციხე-სიმაგრის სპექტაკლები – „რაჯ გინახავს, ველარ ნახავს“, „კინო“. მთავრობის წარმომადგენლები დიდად არ ერეოდნენ მათ საქმიანობაში, მაგრამ არც თეატრის განვითარებისათვის სწუხდნენ.

იური ჭავჭავაძის გვერდით დგას ლონგინოზ ზაუტაშვილი, მას აქტიურად ეხმარებოდნენ ნადია ზაუტაშვილი და სტუდენტები. 1910 წელს დადგეს „ფული და ხარისხი“, „ხანუმა“ – ეს წარმოდგენები ილიას მარანში დაიდგა; შემდეგ „ქუნი“, „ტიმოთეს ლევი“, „ორი მშვიერი“, „ადვოკატი“, „გლახა ქრიალაშვილი“, „დედა და შვილი“, „აკაკი ყაჩაღი“ და სხვა.

1920-1932 წლებში ნადია ზაუტაშვილი (ნადია ზაუტაშვილის ბებია და კოტე მარჯანიშვილის დედა ნახევარდები იყვნენ) დაოჯახდა და შეწყვიტა თეატრთან კავშირი. შემდეგ წლებში კი ისევ დაუბრუნდა სცენას. ლონგინოზ ზაუტაშვილი კი ხალხს იმდენად უყვარდა, რომ როდესაც იგი ყვარელში მოდიოდა, მთელი მოსახლეობა სოფლის შემოსასვლელში ეგებებოდა მას.

ბრწყინვალე მხატვარმა ალბერტ რუსთაშვილმა საკუთარი სახლის ქვრის ზუსტად ისე მოახტვით, როგორც იყო ილია ჭავჭავაძისეულ მარანზე დაშენებული თეატრის ქვრი – ოქროს ელფერით დამშვენებული ორნამენტები ცისფერ ფონზე ლურჯი ზოლებიდან მდიდრულად რომ გამოიყურებოდა... თეატრის აივისა და ლოჯის მოაჯირებიც ოქროსფერადებული თარვით ყოფილა გამშვენებული და შესაძლოა სურათზე გამოსახული ანალოგიური მოაჯირებისა. თავად თეატრის ქვრის მხატვრობა ვის მიერ არის შეარულებული, ეს უცნობია, მაგრამ ალბერტ რუსთაშვილმა ფადალდებელი შრომა გასწავა ჩვენთვის ამის წარმოსადგენად. ქვრს დიდი ბროლის ქალი ამშვენებდა, რომლის ნათურებიც სპექტაკლის დაწყებამდე ნელ-ნელა ქრებოდა.

როგორც ვახუთი „ყვარელი“ იუსყებოდა, ილია ჭავჭავაძის მარანზე დაშენებულ თეატრში შემოქმედება განვითარების მეტად მაღალ საფეხურზე იდგა. თეატრის ეს შენობა მოძრავი სცენით გამოირჩეოდა. მოძრავ სცენას ზემოდან დაჭურვებდა მაყურებლისათვის განკუთვნილი დარბაზი, დარბაზს კი – ჩამოკიდებული აივისი. აივისი და ლოჯა ოვალური ფორმის იყო, მოაჯირები – ოქროსფერი ორნამენტებით გამშვენებული, როგორც ზემოთაც აღვნიშნე უკვე. დიდი ბროლის ქალი ანათებდა დარბაზს. საგრძობად ოთახები, კულისები კი სცენის მარჯვენა და მარცხენა მხარეზე იყო განთავსებული. თეატრის შენობაში შესვლისათვის ვიღაც მოხდებოდა, შოლიდან – დარბაზში. თავისი სიდიდით არ ჩამოუვარდებდა თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრს. ვახუთი „ყვარლის“ მონაცემებით, 1978 წელს თეატრის ეს უმშვენიერესი შენობა უკვე კულტურის სახლად არის მოხსენებული. იმასაც ვიგებთ სარქიო მასალიდან, რომ ილია ჭავჭავაძისეული მარანი მაყურებელს ვერ იტყვებდა.

პაპატიანი ავაზაშვილი
უდავოვი
(საავტორო წიგნიდან „ყვარლის თეატრი – წარსული, აწმყო, მომავალი“)



საღამოს ილია ჭავჭავაძის საპატრიარქო-მოდ ყვარლის ახალგაზრდებულმა დასმა დადგა მისი ნაწარმოების მიხედვით „დედა და შვილი“, „წარმოდგენის დროს წვიმა ნამოვიდა, მაგრამ მოზღვავებული ხალხი არ დაიშალა და არც აკაკი დაიძრა თავისი ადგილიდან. მგოსანს ქოლგა მიართვეს და კარვადი გულმოდგინედ ისმენდა ილიას „დედა და შვილს“. სანახაობის შემდეგ აკაკიმ წაიკითხა „განთიადი“, „აღმართ-აღმართ“. აკაკის ლექსის თქმაში გაეჯიბრა ცნობილი ყვარელი მელექსე სოლომონ სამიტაშვილი

ილია ჭავჭავაძის გარდაცვალების (1907 წ) შემდეგ, მის ოჯახს ჩამოართვეს მარანი, გაყიდეს ქვევრები და საძირკველი ჩაყარეს... ყვარელში არსებული ხელოვანთა გაერთიანება „ფიროსმანის“ (1997-2005) ფუძემდებლის დიდი გელაშვილის ჩანაწერებში ვკითხულობთ: „...საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ძალიან დიდი ყურადღება მიექცა საზოგადოებრივ საქმიანობას. ამ პერიოდში იწყება ყვარელში, ილიას ძველ სახლში კლუბის გახსნა, რამაც ნიადგი მოუშადა თე-

ვილი, ალექსანდრე ჭაბაშვილი, ანტონ მტრეველი, კოტე კაციტაძე, ვიქტორ მამალაძე, ალექსანდრე ზახაშვილი და სხვანი. მასიურ სცენებში მონაწილეობდნენ: გიორგი ხარატიშვილი, მ. ჩიტრეკაშვილი, არჩილ ბურკიაშვილი. ილია ზაუტაშვილი განაგებდა საგუნდო ნაწილს.

ლონგინოზ ზაუტაშვილის ახლობელი იყო ნადია ზაუტაშვილი. ის და ლონგინოზ ზაუტაშვილები თანაურდამოდნენ 1905 წლის რევოლუციას. თავისუფალი, ეროვნული იდეების გამო არა ერთხელ დააპატიმრეს და აწამეს, მაგრამ ლეტისნიერი ადამიანის წყალობით, ვინმე ზაქარია ოდისერიძის დახმარებით, რომელიც კარგი ავტორიტეტით სარგებლობდა მთავრობასთან, პატიმრობისაგან იხსნა მათ. ამ ადამიანებმა 1907 წელს კოტე მარჯანიშვილის მარანში დადგეს „ხანუმა“, სპექტაკლში მონაწილეობდნენ: ხანუმა-სოფო ზაუტაშვილი, კოტეს ბიძა-გიორგი ბაღალიშვილი (როსება), სონა-სონა მათიკაშვილი, მოკარნახე-სოლომონ აბულაძე. მათ არანარი რეკვიზიტები არ გააჩნდათ, რესურსებს თავად იძიებდნენ და ქმნიდნენ.

მათ რჩევა და გეგმა, თუ როგორ უნდა მოეწყობა სცენა, აივანი, განათება, კულისები. მისცა სხვადასხვა რჩევა, რომელიც ხელს შეუწყობდა თეატრის შემდგომ განვითარებას. სამწუხაროდ, ილია ზაუტაშვილმა შემდეგ განწყვიტა კავშირი თეატრთან და საცხოვრებლად თელავში გადავიდა, შემდეგ კი თბილისში.

ილია ზაუტაშვილის ეს მოგონებები მოიცავს 1910-1925 წლებს. იგი სწავლობდა ჯერ თელავის, შემდეგ კი თბილისის სასულიერო სემინარიაში, 1917 წლიდან კი ყვარელში პედაგოგადაც მოღვაწეობდა.

მუდმივი დრამატული წრე არ არსებობდა, იგი ყალიბდებოდა პიესის მხატვრის დროს, ეს კი უმეტეს შემთხვევაში ხდებოდა ზაფხულობით, როცა არდაგებების დროს რუსეთიდან, თბილისიდან, თელავიდან ბრუნდებოდნენ მოსწავლეები და სტუდენტები: ილია ზაუტაშვილი, სოლომონ აბულაძე (რუსეთში სწავლობდნენ), ნუცა მათიკაშვილი, სოფიო იორდანიშვილი, სალომე ზაუტაშვილი, ზურაბ ღვინიაშვილი და სხვები. ამ დროს რეჟისორი და მთავარი როლის შემსრუ-

ზურაბ ქუმსიაშვილი: შხამებია ჩვენს სუფრაზე! იცით მაინც, რომ ყოველდღე შხამს მიირთმევთ?



გვესაუბრება საქართველოს პროფილაქტიკური მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის და საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, მეტაფიზიკურ მეცნიერებათა კვლევითი ცენტრის დირექტორი, საქართველოში ინტეგრალური და ინფორმაციული მედიცინის ცენტრის დამაარსებელი, პროფესორი ზურაბ ქუმსიაშვილი:

იმას, რასაც ჩვენ ხშირად საკვებს ვეძახით, არავითარი კავშირი ბუნებასთან არ გააჩნია. სწორედ ასეთი საკვებით იკვებება დღეს უმრავლესობა. შედეგად ამჟამად ბევრი ადამიანი იღუპება იმ დაავადებებით, რომელთა თავიდან აცილება საკვებით შესაძლებელია. უბრალოდ, ყოველდღიურად ვინამღაც თავს კვების პროდუქტებით. ადამიანი ყოველწლიურად საკვებით ერთად იღებს 3 კილოგრამ სხვადასხვა ქიმიურ ნივთიერებას – პესტიციდებს, საღებავებს, ემულგატორებს, კონსერვანტებს, გემოს და სუნის გამაძლიერებლებს. მაგალითად, ვაშლს კანადაში სეზონის განმავლობაში 70-ჯერ ნამლავენ სხვადასხვა ქიმიკატებით. ამის შედეგი კი ის არის, რომ არცერთი ჭიას არ შეუძლია მისი ჭამა, ჩვენ კი ვჭამთ.

მხოლოდ ბრიტანეთში ყოველწლიურად დაახლოებით 40 ათასი ადამიანი კვდება ფასტ-ფუდის და სხვა მანქანარი საკვების მოხმარების შედეგად. როგორც აღნიშნავს დიდი ბრიტანეთის ჯანმრთელობის და სამედიცინო დახმარების ხარისხის ნაციონალური ინსტიტუტი, გულისსახლარლეთა დაავადებები წარმოადგენს სიკვდილიანობის ძირითად მიზეზს. ყოველწლიურად ამ დაავადებებისგან დაახლოებით 150 ათასი ბრიტანელი იღუპება. ექსპერტები თვლიან, რომ აქედან 40 ათასი სიკვდილის აცილება შესაძლებელია საკვების ხარისხის გაუმჯობესებით.

რძისა და რძის პროდუქტების თითქმის 80 პროცენტი შეიცავს ბუნებრივი კარაქის იაფ შემცველს – პალმის ზეთს, რასაც დიდი მოცულობა მოაქვს მწარმოებლებისთვის. იგი არ იწვევს ჩვენს ორგანიზმში და მოსახლეობის ჯანმრთელობის მორიგ გამანადგურებელს წარმოადგენს.

სტეროიდულ ჰორმონებს ფართოდ იყენებენ საქონლის კუნთოვანი მასის გასაძლიერებლად და, შესაბამისად, ხორცი იაფედ ვდება. სტეროიდული ჰორმონებია ყველაზე საშიში ჯანმრთელობისთვის, რადგან ისინი ცხოველთა ორგანიზმში არ იშლება და უძლებს დუღილს და ხანგრძლივ შენახვას. ჰორმონები გროვდება ორგანიზმში და შემდეგში არღვევს ნივთიერებათა ცვლას. მამალი ორი-სამი კვირა რომ გვევლით მარცვლით, რომელსაც დამატებული აქვს ქალის სასქესო ჰორმონები, ქათამდ გადაიქცევა. მართალია, კვერცხს ვერ დადებს, მაგრამ ბიბილო დაუმოკლდება და ბუმბული გაუზუნდება. ხორციდან და რძესთან ერთად ადამიანები იღებენ ჭარბ ჰორმონებს, ამიტომ არ უნდა გვეკვირდეს ინკოლოგიურ დაავადებათა ზრდა, სექსუალური ფუნქციების დასუსტება, ქალთა უნაყოფობა და მამაკაცთა ფემინიზაცია.

დღემდე ღიად რჩება საკითხი, თუ რამდენად საშიშა გენეტიკურად მოდიფიცირებული (გმ) პროდუქტები. ცხოველებზე ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ გმ პროდუქტები იწვევს უჯრედების პოტენციურ სიმსივნურ ზრდას, ტვინის, ღვიძლის მოცულობის შემცირებას, მამაკაცთა სასქესო ჯირკვლების ნაწილობრივ ატროფიას, იმუნიტეტის დასუსტებას, ცრუ ორსულობას და სხვა ანომალიებს, შესაბამისად, სიკვდილიანობის ზრდას. მიუხედავად ამისა, ბიოტექნოლოგიური ინდუსტრიის მესვეურები ჯოჯობა აცხადებენ, რომ გმ პროდუქტები უარყოფითად არ მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე. როგორც ბიოლოგიური ინდუსტრიის გამოკვლევები ადასტურებს, ეს მცდარი შეხედულებაა. მას შემდეგ, რაც გმ სოია შეიტანეს დიდ ბრიტანეთში, მის მიმართ ალერგიის შემთხვევების რაოდენობა 50 პროცენტით გაიზარდა. მოიმატა დაავადებათა საერთო რაოდენობაც. აშშ-ში ჩატარებული კვლევების თანახმად, გმ პროდუქტების ფართოდ გამოყენება მასობრივ დაავადებათა მიზეზი გახდა.

მხოლოდ გმ სოიისგან მთელ მსოფლიოში აწარმოებენ 400-ზე მეტ კვების პროდუქტს. გენმოდიფიცირებულ ორგანიზმებს (გმო) ინგრედიენტებად იყენებენ მაიონეზების, ლუდის, სოსუსების, კეტჩუპების, იოგურტების, სწრაფად მოსამზადებელი სუპების, კამფეტების, შოკოლადის, სასმელების და სხვა პროდუქტების წარმოებაში. ასევე ფართოდ იყენებენ ტრანსგენური სიმინდის, ლობიოს, პამიდორის, კარტოფილის, ვაშლის, ბანანისა და სხვა ხილ-ბოსტნეულის ნაწარმებს. გმო-ს პირველი მსხვერპლები აღმოჩნდნენ ტრაკანები. ისინი ახლოსაც არ ეკარებიან ასეთ საკვებს, რაც გარკვეულ ინდიკატორად შეიძლება გამოდგეს. ასევე არ ჭამენ თავგები გენეტიკურად შეცვლილ პროდუქტებს.

ენერგეტიკული სასმელი „რედ ბული“ კოფეინთან, ტაურინთან და ვიტამინურ კომპონენტებთან ერთად შეიცავს გლუტორინალტონინს, რომელიც გასული საუკუნის 60-იან წლებში აშშ-ს თავდაცვის სამინისტროს მიერ გამოყენებული იყო ვიეტნამში განლაგებული ჯარის მორალური და საბრძოლო სულისკვეთების სტიმულაციისთვის, რადგან იგი მოქმედებდა როგორც პალუცინოგენი და დამამშვიდებელი სტრესულ პირობებში. თუმცა, მისი ეფექტი ორგანიზმისთვის იმდენად დამანგრეველი აღმოჩნდა, რომ ამ ნივთიერების გამოყენება აკრძალეს, რადგან

ჯარისკაცებში, რომლებიც მას იყენებდნენ, გაიზარდა თავის ტვინის, თავის ტვინის და ღვიძლის კბობს შემთხვევები. ენერგეტიკული სასმელი ასევე შეიცავს სისხლის გამათხელებელ კომპონენტებს. სასმელის მავნეობა ბევრად იზრდება ალკოჰოლთან ერთად მიღებისას. რაც ქვეყნებში აკრძალულია ადამიანის ნერვულ სისტემაზე მასში შემავალი ტაურინის მოქმედების გამო. თუმცა ფრანგი ექიმები იძულებულნი გახდნენ, დაეკანონებინათ ავსტრიაში წარმოებული საქონლის გაყიდვა, რადგანაც, ევროკავშირის წესების თანახმად, არ შეიძლება ევროკავშირის ქვეყნებში წარმოებული საქონლის აკრძალვა, თუ ჯანმრთელობაზე მისი მავნეობა არ იქნა დამტკიცებული. თუმცა, საფრანგეთში მოსახლეობას აფრთხილებენ, თუ რა ზიანი შეიძლება მოუტანოს ადამიანს, განსაკუთრებით, ფეხბურთე ქალებს და ბავშვებს, ამ სასმელის უზომოდ გამოყენებამ.

რისკების შეფასების ინსტიტუტში (გერმანია) შეადგინეს მაღალი რისკის კვების პროდუქტთა სია, სადაც მოხვდა ღვიძლი, ვირთევა, გველთევა, არაქისი, რძის პროდუქტები. პირველი ადგილი უჭირავს ჩიფსებს და გაზიან ნყლებს. ჩიფსები შეიცავს მრავალ კანცეროგენს. ამერიკელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ყოველდღიურად რამდენიმე ქილა გაზიანი სასმელის მიღება მნიშვნელოვნად ამცირებს სიცოცხლის ხანგრძლივობას. იგი იწვევს ძვლების დაშლას, თავის ტვინის პათოლოგიურ ცვლილებებს. ასეთივე ცვლილებას იწვევს ტკბილი სასმელების სისტემატური მიღება. მნიშვნელოვნად იზრდება სიმსუქნისა და დიაბეტის რისკიც. მათი უმრავლესობა შეიცავს ასპარტამს, შაქრის ხელოვნურ შემცველს. მისი დიდი რაოდენობით მოხმარება იწვევს მანიაკური დეპრესიის, პანიკის, სიბრახისა და ძალადობის განვითარებას.

მეორე ადგილზეა „ფასტფუდი“, განსაკუთრებით, თუ კარტოფილის შესანავად იყენებენ ნახშირ ზეთს, რომელიც მდიდარია კანცეროგენებით.

მესამეა ძეხვები, დამამშული პროდუქტები, რომლებიც შეიცავს გმ სოიას და დამუშავების პროცესში წარმოქმნილ ბენზოპირენს.

მეოთხე ადგილზეა ბოსტნეული და ხილი. თვით ყველაზე სასარგებლო და ნატურალური პროდუქტი, შესაძლოა, შხამად იქცეს, თუ იგი მოუყვანილია ტრასის გასწვრივ ან ქარხნის მახლობლად, რის გამოც პროდუქტში გროვდება ბენზოპირენი და კბობს გამომწვევი სხვა ნივთიერებები.

მესუთუა მარგარინი, ცხიმის ყველაზე მავნე სახეობა. მისი შემცველი ყველა პროდუქტი მავნეა.

გრანადის უნივერსიტეტის მეცნიერებმა დაადგინეს, რომ „ფასტფუდის“ მუდმივ მომხმარებლებს, სხვებთან შედარებით, ხშირად აღენიშნებოდათ დეპრესია და აგრესია. მათ, როგორც წესი, ხშირად აწუხებთ მუშუკება, მარლიტის დაგროვება, თირკმლის პრობლემები, მაღალი წნევა. დიდ საშიშროებას წარმოადგენს ნახშირწყლებით მდიდარი საჭმლის, მაგალითად, კარტოფილის თბური დამუშავება. ამ დროს წარმოიქმნება აკრილამიდი, კარცეროგენური ნივთიერება. აკრილამიდი აზიანებს გენებს და იწვევს ონკოლოგიურ დაავადებებს. იგი ასევე აზიანებს ნერვულ სისტემას და იწვევს უნაყოფობას. კარტოფილის ჩიფსებში აკრილამიდის შემცველობა დასაშვებ დოზას 500-1000-ჯერ აღემატება.

რომელიმე თქვენგანი თუ დაფიქრებულა იმაზე, დიდხანს რატომ არ ფუჭდება „მადონალდის“ შამბურგერები? მინიმუმ 12 წელი შესაძლებელია მათი შენახვა უცვლელად, რა თქმა უნდა, კონსერვანტების საშუალებით. გმირობის ტოლფასია შეფუზარეულის ჯეინ ოლივერის საქციელი, რომელმაც სარჩელი შეიტანა მსოფლიოში უდიდესი სწრაფი კვების ქსელების წინააღმდეგ. მან მსოფლიოს უჩვენა, თუ რისგან აშხადებდნენ მადონალდის „ქიმიურ“ შამბურგერებს. საქონლის ცხიმო „რეცხავენ“ ამონიუმის ჰიდროქსიდით და შემდეგ უმატებენ შამბურგერს, რის გამოც საკვები მავნე ხდება. ხშირ შემთხვევაში იყენებდნენ დაბალი ხარისხის ხორცსაც. ოლივერმა პროცესი მოიგო, ფირმამ კი განაცხადა, რომ რეცეპტს შეცვლიდა.

დიდ საშიშროებას წარმოადგენს ანტიბიოტიკების შემცველი ქათმის ხორცი. განსაკუთრებით იგი ბავშვებისთვისაა საშიში. ასეთი ხორცი ხელს უწყობს ანტიბიოტიკების მიმართ რეზისტენტული ბაქტერიების გამრავლებას. ინტენსიურმა ანტიბიოტიკურმა თერაპიამ გამოიწვია, პრაქტიკულად, ყველა არსებული ანტიბიოტიკის მიმართ რეზისტენტულ მიკროორგანიზმთა მტკაების წარმოქმნა. ამიტომ იქმნება ახალი უფრო ძლიერი პრეპარატები, რასაც მოჰყვება უფრო და უფრო მდგრადი ბაქტერიების წარმოშობა. მეფრინველეობაში ანტიბიოტიკების უზომო გამოყენება წარმოადგენს იმის მიზეზს, თუ რატომ არის ძირითადი სამკურნალო პრეპარატები არაეფექტური ან ნაკლებად ეფექტური ადამიანის დაავადებათა სამკურნალოდ. გარდა ამისა, ფრინველებს ხშირად კვებენ გმ საკვებით. სამწუხაროდ, ჩვენთან არ არსებობს კომბინირებული საკვებისა და ვეტერინარიული პრეპარატების მაკონტროლებელი დამოუკიდებელი ლაბორატორიები.

ამოღის გადაჭრილი ფოთლოვანი ხის კუნძებზე გვჯდვება, ლობობად ნიფელზე, თელაზე, ვერზე და სხვა, აპირილიდან შემოდგომამდე.

ეს სოკო მდიდარია ვიტამინებით, ამინომჟავებითა და მინერალური ნივთიერებებით, რომლებიც ადამიანის ორგანიზმს ტოქსიკური ნივთიერებების ზემოქმედებისგან იცავს, ასევე ამცირებს სისხლში ქოლესტერინის დონეს.

სოკო დაბალენერგეტიკული საკვებია, ამიტომაც გამოდგება დაბალკალორიული დიეტებისათვის. სავარაუდოდ, ის შეიცავს კიბოს სანინაალმდეგო ნივთიერებებსაც.

ხის სოკოს სახელით ცნობილი კალმასა, სანარმოო სოკოდ ჩამოყალიბდა და დიდი პოპულარობით სარგებლობს მენარმებში.

კალმასის გამრავლების ინსტრუქცია

კალმასის გამრავლების 2 მეთოდს ვთავაზობთ – ჩალაზე პოლიეთილენის პაკეტებში და ხის ნაპობზე.

სოკოს გამრავლება ჩალაზე პოლიეთილენის პაკეტებში

თავდაპირველად მოამზადეთ ჩალა. ბაქტერიების, ობის და სხვა სოკოების გასანადგურებლად აუცილებელია მისი სტერილიზაცია. არსებობს სტერილიზაციის 2 ვარიანტი:

1. ჩაანყვით ჩალა დიდი ზომის ჭურჭელში (შეგიძლიათ გამოიყენოთ დიდი, ძველი ქვაბი), დაასხით წყალი და დუღილის ტემპერატურაზე ხარშეთ 1 საათის განმავლობაში. შემდეგ გააცივეთ ჩალა 20-25 გრადუსამდე.


2. შეგიძლიათ გამოიყენოთ მეორე და უფრო მარტივი საშუალება: ჩაანყვით ჩალა დიდი ზომის ჭურჭელში, დაასხით მდულარე წყალი და დატოვეთ გასაცივებლად. შემდეგ წყალი გადაასხით, ჩალას კი კვლავ მდულარე დაასხით. 20-25 გრადუსამდე გაცივების შემდეგ ჩალა მზად არის დასამყნობლად.

შემდეგ პროცესისე უნდა წარმოებოდეს:

დღე ტომარაში მონაცვლობით ჩაანყვით ჩალა და დაქუცმაცებული დასამყნობი სუბსტრატით. დასამყნობი სუბსტრატის ერთი პაკეტი საკმარისია სველი ჩალის 15-20 კილოგრამზე, რაც შეესაბამება დაახლოებით 50x100 ზომის პოლიეთილენის პაკეტს. პაკეტის ავსების შემდეგ შეკარით იგი და თითოეულ პაკეტზე დაწიეთ 3-5 სმ ზომის დაახლოებით 10 ნასერი გააკეთეთ.

თუ დასარგავ მასალას დაბალი ტენიანობის ჰაერზე გაახარებთ, მაშინ პაკეტზე ნაკლები რაოდენობის ნასერების გაკეთება საჭირო. (საჭიროების შემთხვევაში ნასერები მოგვიანებითაც შეგიძლიათ დაამატოთ). გამზადებული პაკეტები მოათავსეთ ნახევრად ჩრდილიან ადგილას (სადაც მზის შუქი პირდაპირ არ მოხვდება).

სოკოს ზრდისთვის იდეალური ტემპერატურა 15-25°C-ია. რაც უფრო მაღალია ტემპერატურა, მით უფრო მაღელ მრავლება სოკო (შესაბამისად, უფრო მაღელ იხარჯება საკვები ნივთიერებები ჩალაში). ამიტომ, კარგი იქნება, თუ მოახდინთ ტემპერატურის კორექტირებას იმის და მიხედვით, თუ რა რაოდენობის სოკო გჭირდებათ. თუ სოკოს მოსავალი



ლი გადაატარებთ მათი მოხმარების ზღვარს, გადაიტანეთ პაკეტები უფრო გრილ ადგილას.

თუ სოკოს მეტი რაოდენობა დაგჭირდათ, შესაბამისად, პაკეტები უფრო თბილ ადგილას უნდა მოათავსოთ. კალმასა მოსავალს 3-4 თვის მანძილზე იძლევა, შემდეგ საკვები ნივთიერებები პაკეტში იხარჯება და საჭიროა ახალი კულტურის დამყნობა, რაც შესაძლებელია ახალი ჩალის ძველზე დამყნობის გზითაც.

ერთი პაკეტიდან შესაძლებელია 2-4 კგ სოკოს მოსავლის მიღება.

სოკოს მირაჟანე გამრავლება

კალმასა ბუნებაში ფოთლოვანი ხეების მერქანზე იზრდება, ამიტომ შინაურ პირობებში შესაძლებელია მისი გამრავლება 30-80 სმ სიგრძის ხის ნაპობებზე. ამისათვის ყველა ფოთლოვანი ხის ნაპობი გამოსადეგი. (მხოლოდ არა წინვოვანი).

მირაჟანე ხეხრებზე 30-50 სანტიმეტრის სისქის და 20-50 სანტიმეტრი დიამეტრის ნაჭრებად მიცელოვს გავლით თხელ ფენად.

სოკოს თესვას ახლად მოჭრილ ხეზე, ან დათესვის წინ მორის ნაჭრებს 24-48 საათის განმავლობაში წყლით ასველებენ (იმ შემთხვევაში თუ ხე ახალი მოჭრილი არ არის).

შემდეგ მათ ათავსებენ სარდაფში ან რაიმე დახურულ სათავსში. ძირში გაუფენენ ნახერხს და ერთმანეთზე დაალაგებენ მორის ნაჭრებს, რომლებზეც წინასწარ არის დატანილი 1-2 სანტიმეტრი სისქის სოკოს მიცელიუმი. ზედა ფენას აყრიან ნახერხს, რომ არ გამოშრეს. უკეთესი იქნება თუ ჰაერს დავატენიანებთ (მაგ: დავასხით წყალი იატაკზე).

ორი ორნახევარი თვის შემდეგ გამოიტანენ გარეთ და ჩაფლავენ მინაში 15-20 სმ სიღრმეზე, ერთმანეთისგან, მინიმუმ, 30-35 სანტიმეტრის მოშორებით. ყველაზე დიდ მოსავალს მიიღებენ მესამე წელს იძლევა. ერთი მორის გადნაჭერიდან შესაძლებელია, საშუალოდ, 10-12 კილოგრამი სოკოს მიღება.

გარდა ამისა, ხის ნაჭრებში თქვენ შეგიძლიათ გააკეთოთ ნახერხები ან ხეხრით გაუკეთოთ ნახერხები, რომლებშიც მოათავსებთ სანამყენე სუბსტრატს. ამის შემდეგ ხის ნაპობები ჩაანყვით ტომარაში და დატოვეთ 2-3 თვის განმავლობაში სოკოს ქსოვილების აღმოსაქვებლად.

შემდეგ მიცელიუმი დაფარული ხის ნაპობები მოათავსეთ ბაღის ჩრდილოვან ნაწილს ნიადაგში 1/3-ით.

გვალვის დროს მოახსურეთ წყალი. მოსავლის აღება ხის ნაპობებიდან 2-7 წლის განმავლობაშია შესაძლებელი.



ბოსტნეული მცენარეების დამოკიდებულება გარემო პირობებთან

მცენარეების ზრდა-განვითარება და მოსავლიანობა, პირველ რიგში, დამოკიდებულია მათ მემკვიდრულ თვისებებზე, ადგილსამყოფელის კლიმატურ და ნიადაგობრივ პირობებთან შეფუძნებაზე.

ორგანულ ნივთიერებათა სინთეზი გარემო პირობებზე დამოკიდებულია. მას შეუძლია როგორც დამატარებელი, ასევე შემანელებელი გავლენა იქონიოს მცენარის ინდივიდუალურ განვითარებაზე; ასეთი გავლენის მაგალითი შეიძლება იყოს დაბალი ტემპერატურის მოქმედება რიგი ბოსტნეული მცენარეების გადასვლის დროზე გვეგეტატიური ზრდიდან ყვავილობასა და მსხმოიარობაზე.

ბუნებაში ყოველთვის არსებობს ურთიერთმოქმედების რთული კომპლექსი გარემო პირობებსა და მცენარეთა შორის. მცენარის სიცოცხლის ფაქტორები თანაბარწილზე მდებარეობს – არც ერთ მათგანს არ შეუძლია შეცვალოს მეორე. მაგრამ ერთ-ერთი ფაქტორის ინტენსიური მატება სხვა ფაქტორების მიმართ მცენარის მოთხოვნილების გაზრდას ან შეცვლას იწვევს.

კოსმოსური ნარმოშობის ფაქტორების (სითბო, სინათლე) მართვის შესაძლებლობანი განისაზღვრება გეოგრაფიული კოორდინატებით – ადგილმდებარეობის გრძობით და განედით, ზღვის დონიდან სიმაღლით და ა. შ. მცენარეების ღია გრუნტში გამოზრდისას, ეს ფაქტორები ძლიერ შეზღუდულია და დაყვანილია მხოლოდ ნაკვეთის რელიეფის და გადავიწყობის ამორჩევამდე.

მცენარეთა ცალკეული სახეობები, ნარმოშობისა და მათი შემდგომი ევოლუციის მიხედვით სხვადასხვა მოთხოვნილებებს უყენებენ ტემპერატურულ რეჟიმებს.


ამასთან დაკავშირებით მათ 4 ჯგუფად ყოფენ:

- ყინვამძლე და ზამთარგამძლე მცენარეები – მარცვლოვანი ნაწილი, მრავალწლიანი ბოსტნეული მცენარეები, აგრეთვე ხორცი;
- სიცხეგამძლე მცენარეები – კომბოსტოები, ძირხვენიები, თავიანი ხახვი, ბარდა, და ცერცვი, მწვანე მწიფე ბოსტნეული.
- სითბოს მოთხოვნი – ბოსტნეული მცენარეები გოგრაფიკისა და ძალღაღადი მცენარეების ოჯახისათვის;
- სიცხეგამძლე მცენარეები – ლობიო, სიმინდი და ბახჩეული.

ყინვამძლე და ზამთარგამძლე მცენარეები უძლებენ ზამთრის ყინვებს თოვლის საფარველის ქვეშ, იმის შემთხვევაში, რომ ფესვები და ფესვურები მოაოვება საკვებ ნივთიერებათა მარაგი, რომელიც

მაღლა სწევს უფრედის წვეთის კონცენტრაციას მოზამთრე კვირტებში. სიცხეგამძლე მცენარეებს შეუძლიათ გადაიტანონ მცირე წყინევი აღმოცენების ფაზაში და აგრეთვე ხანმოკლე სამეზობლოდ წყინევი პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას გარეშე.

მცენარეები, რომლებიც სითბოს მოთხოვნი არიან, ვერ იტანენ ტემპერატურის ხანგრძლივ დაწევას 10°C-მდეც კი. სიცხეგამძლე მცენარეების (ასიმილაციის დროს) ორგანულ ნივთიერებათა ნარმოქმნის მაქსიმუმი, აგრეთვე ნაბატი მიმდინარეობს 17-20°C ტემპერატურაზე; უფრო მაღალ ტემპერატურაზე ასიმილაცია კლებულობს. 30°C-ზე მაღალ ტემპერატურაზე ორგანულ ნივთიერებათა რაოდენობა, რომელიც ასიმილაციის დროს ნარმოქმნება, უთანაბრდება მათ ხარჯვას სუნთქვაზე, ხოლო 40°C-ზე ორგანული ნივთიერების ხარჯვა სუნთქვაზე მეტია.



სითბოს მოთხოვნი მცენარეების ასიმილაციის მაქსიმუმი მოთავსებულია 20 და 30°C-ებს შორის. 40°C ტემპერატურაზე ორგანულ ნივთიერებათა შემოსავალი ასიმილაციიდან ნაკლები ხდება სუნთქვის ხარჯზე.

მცენარეებში ზრდის სიჩქარე და სამარაგო ნივთიერებების დაგროვება დამოკიდებულია არა მარტო ტემპერატურაზე, არამედ განათებაზე, ჰაერში ნახშირორჟანგის შემცველობაზე და სხვა პირობებზე (წყლითა და აგრეთვე ჰორმონული მოქმედებით მომარაგებაზე, ამ მცენარეთათვის აუცილებელი თანაფარდობით).

სხვადასხვა მცენარეების ერთი და იმავე სახეობების მოთხოვნილება ნიადაგური კვების პირობების მიმართ არაერთგვაროვანია. მაგალითად, ადრეული ჯიშები

მეტად მაღალ მოთხოვნილებას უყენებენ აზოტით უზრუნველყოფას, ვიდრე ამავე კულტურის საგვიანო ჯიშები.

ვეგეტაციის განმავლობაში მცენარეების მოთხოვნილება ნიადაგური კვების პირობებისადმი არ რჩება ერთნაირი. ნიადაგის ნაყოფიერებისადმი განსაკუთრებულად მოთხოვნი არიან ახალგაზრდა მცენარეები. მცენარეთა ზრდა-განვითარებასთან ერთად იზრდება მათ მიერ საკვებ ნივთიერებათა გამოტანა, მაგალითად – გამოტანა წონის ერთეულზე ახალგაზრდა მცენარეებში 2-3 ჯერ მეტია, ვიდრე ზრდასრულ მცენარეებში.

ნაკვეთი შირაქვა და დამუშავება

ბოსტნეული კულტურების დასათესად უნდა შეირჩეს სარწყავი, სტრუქტურული, ფხვირი და საკვები ნივთიერებით მდიდარი ნიადაგი. თუ ასეთი ნიადაგი არ არის, მაშინ საბოსტნე ადგილი ხელოვნურად უნდა გამოიღვდეს ორგანული და მინერალური სასუქით, სიღრმადობისა და მრავალწლიანი პარკოსანი ბალახების დათესვით და სხვა.

ნაკვეთი უნდა იყოს ქარებისგან დაცული, სწორი ან მცირე დაქანებით, ავილადა უდგებოდეს სარწყავი წყალი, ნაკლებად იყოს დასარევიანი მრავალწლიანი სარეველებით. დაქანების მიმართულებების გათვალისწინება, შესაბამისი ჯიშების შერჩევა, მცენარეთა განლაგება (რიგების მიმართულება, ნარგავების სიხშირე) და დაცვა ქარებისგან, ყოველივე ეს მყარ და ხარისხიანი მოსავლის მიღების წინა პირობაა.

ბოსტნეული კულტურები მოითხოვს ნიადაგის გულმოდგინედ დამუშავებას ალმოსავლეთი საქართველოს დაბლობ ზონაში. როგორც წესი, საბოსტნე ნიადაგი წინამორბედი კულტურების ნარჩენებისგან გამოთავისუფლებისთანავე უნდა აირჩოს 4-5 სმ სიღრმეზე, რათა სარეველები გამეტყველონ და 25-30 დღის შემდეგ, წინახვნილი გუთნით, მზრალად მოიხნას 25-26 სმ სიღრმეზე, ხოლო ღრმა ნიადაგი უფრო მეტ სიღრმეზე. მზრალი დაუფარცხავად რჩება გაზაფხულამდე.

დასავლეთ საქართველოს ყველა რაიონში და ალმოსავლეთ საქართველოს მთის ზონაში ნიადაგი უნდა მოიხნას ზამთრის დამდეგს და ადრე გაზაფხულზე, მინდვრად გასვლის შესაძლებლობისთანავე. გამეტყვეობითი კულტურებისთვის ნიადაგი უნდა დამუშავდეს წინამორბედი კულტურების მოსავლის აღებისთანავე. თუ ამ დროს ნიადაგი გამოგვალა, სეზონს ნაკვეთი წინასწარ მოიწყას და როცა ზედაპირი საკმარის შემუშავდა, მოიხნას და დაიფარცხოს. agrokavkaz.ge

გ ა ხ ს ე ნ ე ბ ა მ ა ნ ი ა ლ ა ფ ა რ ი შ ვ ი ლ ი



მოდის გაზაფხული, მარტია...ჩვენ, თქვენს ყოფილ მოსწავლეებს, მარტის დადგომამ კიდევ ერთხელ გავგახსენა თქვენი თავი, მანია მასწავლებელი. 14 თებერვალს 100 წელი შესრულდა თქვენი დაბადებიდან. ამ დღეს ოცდამესამედ ვხვდებით უთქვენოდ...

დღესაც მწარედ გვახსოვს 1997 წელი, როცა თქვენი სპეციაკი სული ცათა სასუფეველმა მიიბარა და ერთი კვირაც არ იყო გასული, რომ თქვენმა სათაყვანო პირმა და სოფლის საამაყო ვაჟკაცმა დათო კანტროვილმა იმკვეციურ სამყაროში მოგაკითხათ...მიღდას დღესაც მწარედ ახსოვს ეს ერთი აუნერული ტრაგედია!

როგორც ჩვენი პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II ბრძანებს, არსებობს სულთა შორის კავშირი, რომელსაც ვერავითარი ძალა ვერ დაარღვევს. ამიტომაც გვენამს და დარწმუნებულ ვართ, რომ ჩვენს ძაბილს და ნატვრას თქვენი სული აუცილებლად გაიგებს... ღმერთმა დაგიმკვიდროთ სასუფეველი და გამოყოფთ სამოთხეში!

მანია მასწავლებელი, ჩვენი აღმზრდელი, რამდენი თაობა გაგიზრდიათ... თითქმის ექვსი ათეული წლის განმავლობაში რამდენი თაობა გამოატარეთ ქართული ენისა და ლიტერატურის ჯადოსნურ სამყაროში, რამდენი თაობა აზიარეთ ამ ქვეყნის მათემატიკის საფუძვლებს... როგორი დედაპედიკური გრძობით ეპყრობოდით საყვარელ მოსწავლეებს, რაოდენ სათნო და მიმტყველებელი ბრძანდებოდით.

ყოველთვის მომთხოვნი, მაგრამ უპრეტენზიო და კეთილი იყავით. ზოგჯერ მკაცრიც, ოღონდ ეს სიმკაცრე ყოველთვის დედაპედიკური სათნოებამ გადანიზრდებოდა ხოლმე. თქვენი პირველი და მთავარი საწესრიგო მოსწავლეები ფიქრი, მათი სიხარულისა და ტკივილის გაზიარება იყო. ოჯახში სამი შვილი გყავდათ, მაგრამ როგორც პედაგოგი, მრავალი შვილის დედა ბრძანდებოდით. სკოლა ხომ თქვენი ცხოვრების მოწოდება, თქვენი მეორე ოჯახი იყო!

თქვენს მიერ ჩატარებული, ბევრის მომცემი გაკვეთილები ახლაც კარგად გვახსოვს: განუმეორებელი ლოგიკითა და მეთოდებით, მასალის გადმოცემის მხოლოდ თქვენი დამახასიათებელი მანერით და პედაგოგიური ხელოვნებით! თქვენი დევანლი სათანადოდ იყო დაფასებული ყველა დღეზე. მიღებული გქონდათ მთავრობის ჯილდოები – ორდენები და მედლები, საპატიო დიპლომები და სიგელები, მაგრამ თქვენთვის, რო-

გორც აღმზრდელისათვის, ყველაზე დიდ ჯილდოდ და დაფასებად ითვლებოდა ის საყოველთაო სიყვარული და აღიარება, რითაც დამსახურებულად სარგებლობდით ყოფილ მოსწავლეებსა და საზოგადოების ფართო ფენებს შორის.

რა დრო გასულა...უკვე ჩვენც ასაკში შევედით და სიბერე კარზე მოგვიკაკუნა...შესაძლოა ვინმემ იკითხოს – ევეჰ, ვილას გახსოვთ...მაგრამ არა, ყველას გვახსოვს მანია ლაფარიშვილი, ჩვენი ძვირფასი და საყვარელი მასწავლებელი, ვინც გვაზიარა რუსთაველისა და ილიას, აკაკისა და ვაჟას, ტატიას და გალაკტიონის, ქართული პოეზიისა და პროზის სხვა კორიფეთა უკვდავ შემოქმედებას!

ციმა დრომ და გროლმა მინამ ვერ ნაფერულა თქვენი სხონა. ჩვენ გვახსოვხართ – თქვენს მოსწავლეებს, ჩვენი მანია მასწავლებელი!! გვახსოვხართ და გვემახსოვრებთ ყოველთვის, რადგან სხონაში ჩაქოვილი სწორედ ის უტყუარო ფენომენი, რასაც მარადიულობა ჰქვია...

გვეჯრა, რომ თქვენს მიერ განეული დიდი ამაგი და დათესილი სიკეთე საწინააღმდეგო და დათესილი სულთა საუფლოში. გფარავდით ნათელი უფლისა და შუქი კულტურისა – მარად რომ ანთია ჩვენს გულეებში!

თქვენი მოსწავლეების დიდი ჯგუფის სახელით
ალექსანდრა გიგილოშვილი

ნიადაგის დებრადაციის არსი და მისი გამომწვევი მიზეზები

საქართველოში უკანასკნელი 20-35 წლის მანძილზე ინტენსიურ მეურნეობებში და ბუნებრივ საძოვრებზე მნიშვნელოვნად გაუარესდა ეკოლოგიური სიტუაცია.

ქიმიური სასუქების, პესტიციდების ინტენსიურმა გამოყენებამ, ნიადაგების ხშირმა და არასწორად დამუშავებამ, საძოვრებზე არამდგრადმა მოვებამ, წყლის მიერ და ქარსიბიურმა ეროზიებმა და სხვა, განაპირობა ნიადაგის ფიზიკური და ბიოლოგიური დეგრადაცია და გარემოს ქიმიური დაბინძურება.

ნიადაგზე ზემოქმედების შედეგად დაიწყო მისი სტრუქტურა, დაქვიტვა და პუმუსისა და საკვებ ნივთიერებათა შემცველობა, ნარმოქმნა სახნავი ზოლის ქვედა გამკვირვებული ფენა, გაუარესდა ნიადაგის ფიზიკური თვისებები – წყალგამტარობა, ტენზიონობა, აერაცია და სხვა. დადგენილია, რომ ასეთი სახის დეგრადირებულ – „გადაღლილ“ ნიადაგებზე მოსავლიანობა დაქვიტებულია საშუალოდ 55-65%-ით.

ნიადაგების დეგრადაცია არის უარყოფითი პროცესი, რომლის შედეგად ნიადაგი კარგავს ადრე დაგროვილ ორგანულ ნივთიერებებს – ჰუმუსს, რის შედეგადაც ნიადაგი განიცდის ნაყოფიერების დაკარგვას, დეგრადაციას და მისი ეკონომიკური ღირებულება დაქვიტულია სხვადასხვა ფაქტორთა ზემოქმედების შედეგად.

ნიადაგების დეგრადაცია ძირითადად არასწორად ნარმართული სამეურნეო საქმიანობის შედეგია და არის თანამედროვეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა. ამ პრობლემის არსი იმაში მდგომარეობს, რომ იგი საფრთხეს უქმნის დედაამინის მოსახლეობას საკვების უზრუნველყოფაში და ბუნებრივი გარემოს ეკოლოგიურ უსაფრთხოებას.


ნიადაგების დეგრადაციის ძირითადი მიზეზებია:

- მოსახლეობის ეკონომიკური და პოლიტიკური მოტივების ნაკლებობა;
- სოფლის მეურნეობის ნარმოების საკითხებში ნაკლები ინფორმირებულობა;

- სიღარიბე;
- მდგრადი ორგანული სოფლის მეურნეობის ნაკლები განვითარება და სხვა.

საძოვრებისა და სასოფლო სამეურნეო სავარგულების გადანაცვს, უკონტროლო ძოვების, გზებისა და სხვა ინფრასტრუქტურის არასწორი მშენებლობის, დასახლებების ქაოტური მშენებლობებისა და სხვა ფაქტორების შედეგად ყოველწლიურად ნიადაგების უზარმაზარი ტერიტორიები განიცდიან ეროზიასა და დეგრადაციას.

აღნიშნულიდან გამომდინარე მინის სწორად მართვას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან იგი ნარმოადგენს საზო-



გაღობის გრძელვადიანი სოციალური და ეკონომიკური განვითარების საფუძველი. არსებობს ნიადაგების დეგრადაციის ხელშემწყობი ფაქტორები, რომლის გააქტიურებასაც (როგორც ბუნებრივად, ისე ანთროპოგენურად) უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ასეთი ფაქტორებია:

– ადგილის რელიეფი, რელიეფი განაპირობებს დეგრადაციის ხარისხს და მის ინტენსივობას. ნიადაგის ნაყოფიერი ფენისათვის ერთ-ერთი საშიში პროცესი ეროზიაა, ისე ანთროპოგენურად უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ასეთი ფაქტორებია:

– კლიმატი, ნიადაგის დეგრადაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. ატმოსფერული ნალექები, ჰაერის ტემპერატურა და ქარი სხვა ფაქტორებთან ერთად (რელიეფი, მცენარეული საფარი, ნიადაგების შედგენილობა და სხვა) გადამწყვეტ როლს თამაშობს ნიადაგის ეროზიის განვითარებაში;

– მცენარეული საფარი. რელიეფთან და კლიმატთან ერთად ნიადაგის დეგრადაციის პროცესის ინტენსივობა ბევრად არის დამოკიდებული მცენარეული საფარზე. მცენარეული საფარი იცავს ნიადაგს ზედაპირული ჩამონადენისა და ქარისმიერი ეროზიის ზემოქმედებისაგან;

– ნიადაგების შემადგენლობა, მდგრადობა არის ნიადაგის უნარი გაუძლოს მის ზედაპირზე სხვადასხვა ფაქტორის უარყოფით ზემოქმედებას. ნიადაგების მდგრადობის ხარისხი დამოკიდებულია მის მექანიკურ და აგრეგატულ მდგომარეობაზე, ფიზიკურ, ბიოლოგიურ და ქიმიურ თვისებებზე. ეროზიის მიმართ ნიადაგების მდგრადობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული აგრეთვე ნიადაგში არსებული ჰუმუსის რაოდენობაზე, კარბონატებისა და კათიონების შემცველობაზე;

– ნიადაგის არასწორი ექსპლუატაცია – მოხმარება, მისი არასწორი გამოყენება დეგრადაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზია. ნიადაგის დეგრადაციის შესუსტების ან სრული შეწყვეტისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნიადაგის დამუშავებისა და გამოყენების სწორი რეგულირება.

ამჟამად, როგორც წესი მოსახლეობის მიერ სათანადო ყურადღება არ ექცევა ნიადაგის დეგრადაციისაგან დაცვის ტრადიციულ და ეფექტურ ხერხებს, როგორცაა თესლობრუნვა, ნაკვეთიმონაცველობა, სხვადასხვა კულტურების შეთესვა, ნიადაგის სწორად დამუშავება, სასუქების არაგემარეზონანსური და არასწორი გამოყენება, ორგანული სასუქების გამოყენების დეფიციტი, ქარსაცავი ზოლების გაჩეხვა, არასწორი ძოვება, მინდვრების გადანვა და სხვა.

რატომ უნდა შეაგლოთ სველი ხელსახოცი მანქანაში, ტანსაცმელთან ერთად

ეს მართლაც შემთხვევით მოხდა, თუმცა დღეს, ამ მეთოდს, ყველა დასახლის იყენებს მთელ მსოფლიოში. ერთ-ერთი დისახლის პატარა ქალიშვილმა სარეცხის მანქანაში სველი ხელსახოცი შეაგლო და გაკვირვებულმა დედამ საინტერესო რამ აღმოაჩინა, რომელიც შემდეგ მთელს ინტერნეტ სივრცეში გაავრცელდა.

ჩვენ გეტყვით, რატომ უნდა გამოიყენოთ სველი ხელსახოცი რეცხვის დროს და რაში მდგომარეობს მისი სარგებელი.

როგორ გავრძობოთ ალადი

გათვალისწინეთ: უნდა გამოიყენოთ მხოლოდ სველი ხელსახოცი და არაფერი სხვა. ასევე ნიშნულთაგან: სველი ხელსახოცი გამოიყენეთ მხოლოდ ერთხელ, მისი ხელახლა გამოყენება არ შეიძლება.

გამოყენების დროს დარწმუნდით, რომ ქსოვილი მკვირვია და რეცხვის დროს არ დაიშლება. რატომ უნდა გამოიყენოთ სველი ხელსახოცი განსაკუთრებით მაშინ, როდესაც პლედს ან ფარად თეთრეულს რეცხავთ? როდესაც გარეცხავთ, მასზე მცირე ზომის ბოჭკოები და მატყლი მაინცაა, რომლებიც ნაჭრის ზედაპირზე რჩება. ხელსახოცი შე-

უძლია მოაშოროს უმეტესი ნაწილი. ახლა ის უფრო სუფთა იქნება. კიდევ რა შეიძლება გაკეთდეს იმისათვის, რომ თქვენი საყვარელი ტანსაცმელი კარგად გამოიყურებოდეს გარეცხვის შემდეგ. აქ მოცემულია რამდენიმე ხრიკი, რომლებსაც დისახლისები იყენებენ.

1. ასპირინი

გარკვეული პერიოდის განმავლობაში, დისახლისებმა დაიწყეს სარეცხთან ერთად ასპირინის აბების გამოყენება. ითვლება, რომ ამ მეთოდს შეუძლია დაუზრუნდეს ნივთებს სისუფთავე. თუ სურვილი გაქვთ, შეგიძლიათ სცადოთ კიდევ.

2. როგორც ბურთი

თქვენ ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ჩოგბურთის ბურთი, თუკი გასურთ რომ ტანსაცმელმა შეინარჩუნოს თავდაპირველი ფორმა.

3. ჭურჭლის სარეცხი ტაბლეტები

ახალგაზრდა ქალბატონები თვლიან, რომ თუ ჭურჭლის სარეცხის ტაბლეტს გამოიყენებთ, შეგიძლიათ გასუფთავოთ სარეცხი მანქანა და გააქროთ უსიამოვნო სუნები.

ახლა, როდესაც თქვენ გაქვთ ექსკლუზიური ინფორმაცია, აუცილებლად გამოიყენეთ სარეცხის რეცხვის დროს.

ალმატის საჯარო სკოლის პედკოლექტივი მწუხარებაში თანაგრძობის მანანა მუსაშვილის მეუღლის პაპაქი (პაპო) თავიღიწვილის მოულოდნელად გარდაცვალების გამო.

წელი ასაბაშვილი, ნუნუ იახტინიშვილი, ბელა საგინაძე, ნინელი ონოფრიშვილი, ელიზა ათაბეგოვა, ზალიკო ქერაშვილი, მარიკა ზაიდოშვილი იუწყებიან უახლოესი მეგობრის პაპაქო ზაალიშვილის გარდაცვალებას, მწუხარებაში თანაგრძობის განსვენებულის ოჯახს.



ილია ჭავჭავაძე

ილია მოჰკლეს – აღმოხდა და ბაგეზე გაეყინა სიტყვა აკაკის, გონება აემღვრა, გულმა ამოვარდნა დაუწყო საგულედან, მოსვენება გაუქრა, არ სჯეროდა. განა ილიას სიკვდილი შეიძლება მკვლევლობით?! ეს კითხვა ტვინს უზურღავდა. თეთრად გაათენა ლამე. ალიონზე გაეშურა. სავალი გზა მისთვის ძალზედ და ძალზედ გრძელი აღმოჩნდა.

სევდიანი სახეები შეეგებნენ საფარამოში შემავალს. ციგმა ოფლმა სახე დაუნამა. – არა, არა, დაუჯერებელია! – ბოღმა ახრჩობდა და სადღაც გულის კუნჭულში მანც კიაფობდა იმედის სხივი, მაგრამ ვაი, რომ ვერ გადაურჩა მწარე სინამდვილეს... მის წინ ილია ინვა გაცივებული, დაემო, მოეფერა, ხელზე და შუბლზე ეამბორო. – ილია, ჩემი ილია, – უნდოდა ეთქვა, მაგრამ ხმა ჩაეხლიჩა, სხეულმა თითოვლა დაუწყო და ცრემლთა დინებას მოჰყვა. მისი სულის მოუშუშებელი ტკივილი. ილია ისევ ისეთი შეეგება – დარბაისელი, კეთილი. თითქოს სინამდვილე და ახალი აზრითაა შეპყრობილი, თითქოს გამოიღვიძებს და განადობს მეგობარს დიდ საიდუმლოს. აკი დაუტოვებ კიდევ დიდი ანდერძი – „გაუფრთხილდი საქართველოს“ – დღე და ღამე ხომ ეს იყო მისთვის უმთავრესი აზრი ცხოვრებისა და ამ აზრს მსხვერპლადაც შეენირა. მაგრამ უკვდავი სული ილიას დაფარვას სჯობს საქართველოს, ილიას სისხლი მკურნავია მომავალი თაობისა, მისი ცხადარი ქართულმა მინამ ჩაიხუტა, მისი გონიდან გამოუშურული სიბრძნით კი უნდა ვიცხოვროთ, ვიღვანოთ, ვიბრძოლოთ და ვიმორმოთ.

მერი პატარაქვიცილი

პურის ცოცხალი ხაში (საფურარი) მომზადება

I დღე – ილია: ჭვავის 50 გრ. და ხორბლის (მე ნითელი დოლის ფეკილი გამოვიყენე) 50 გრ. გაუცრელი ფეკილი ჩაყარე ჯამში, დაუმატე 100 მლ. წყალი (ოპკანის), მოურიე კარგად, დააფარე თავსახური (გერმეტულად არა) და შეინახე 30°C ტემპურატურაზე (გაზქურის ლუმელში ნაოურა (გაზი არა) თუ ანათებს = დაახლოებით 300°C ტ.).



II დღე – ილია: მასა აქაფებულია, ცუდი სუნი აქვს, ე. ი. გააქტიურდნენ ბაქტერიები. (თუ ასე არ მოხდა – დატოვე სითბოში კიდევ 5-6 სთ.) დატოვე ჯამში 75 გრ. მასა (დანარჩენი გადაადგე), დაამატე 75 მლ. წყალი, 25 გრ. ჭვავის და 50 გრ. ხორბლის ფეკილი, კარგად მოურიე, დააფარე თავსახური (გერმეტულად არა) და შეინახე 30°C ტ-ზე.

დააფარე თავსახური (გერმეტულად არა), მონიშნე ჯამზე ხაშის სიმაღლე და შეინახე 30°C ტ-ზე.

III დღე – ილია: მასა აქაფებულია, გაჩნდა პატარა ბუშტუკები და ისეთი ცუდი სუნი აქვს, ადამატე 75 გრ. მასა, დაუმატე 75 მლ. წყალი, 25 გრ. ჭვავის და 50 გრ. ხორბლის ფეკილი, კარგად მოურიე, დააფარე თავსახური (გერმეტულად არა) და შეინახე 30°C ტ-ზე.

VI დღე – ილია: შესანიშნავი არომი აქვს, მოცულობაში გაიზარდა თითქმის ორჯერ.

IV დღე – ილია: მასა აქაფებულია, გაჩნდა პატარა ბუშტუკები და ისეთი ცუდი სუნი აქვს, ადამატე 75 გრ. მასა, დაუმატე 75 მლ. წყალი, 25 გრ. ჭვავის და 50 გრ. ხორბლის ფეკილი, კარგად მოურიე, დააფარე თავსახური (გერმეტულად არა) და შეინახე 30°C ტ-ზე.

მიღებული პურის ცოცხალი ხაში შეინახება მაცივარში (საყინულში არა) – 7-8 დღე; (თუ ვარდისფრად შეიფერა – აღარ ვარგა)

V დღე – ილია: მასა აქაფებულია, გაჩნდა პატარა ბუშტუკები და ისეთი ცუდი სუნი აქვს, ადამატე 75 გრ. მასა, დაუმატე 75 მლ. წყალი, 25 გრ. ჭვავის და 50 გრ. ხორბლის ფეკილი, კარგად მოურიე, დააფარე თავსახური (გერმეტულად არა) და შეინახე 30°C ტ-ზე.

თუ ვერ გამოიყენებ (არ გამოაცხევე პური ამ 7-8 დღის განმავლობაში), პურის ხაში შეგიძლია განაახლო:

VI დღე – ილია: მასა აქაფებულია, გაჩნდა პატარა ბუშტუკები და ისეთი ცუდი სუნი აქვს, ადამატე 75 გრ. მასა, დაუმატე 75 მლ. წყალი, 25 გრ. ჭვავის და 50 გრ. ხორბლის ფეკილი, კარგად მოურიე, დააფარე თავსახური (გერმეტულად არა) და შეინახე 30°C ტ-ზე.

• მაცივრიდან გამოიღე, დატოვე ჯამში 75 გრ. ხაში, დაუმატე 75 მლ. წყალი და 75 გრ. ხორბლის ფეკილი, კარგად მოურიე, დააფარე თავსახური (გერმეტულად არა) და შეინახე 30°C ტ-ზე 4-5 საათი;

VII დღე – ილია: მასა აქაფებულია, გაჩნდა პატარა ბუშტუკები და ისეთი ცუდი სუნი აქვს, ადამატე 75 გრ. მასა, დაუმატე 75 მლ. წყალი, 25 გრ. ჭვავის და 50 გრ. ხორბლის ფეკილი, კარგად მოურიე, დააფარე თავსახური (გერმეტულად არა) და შეინახე 30°C ტ-ზე.

• განახლებული ხაში ისევ შეინახება მაცივარში (საყინულში არა) 7 დღე.

VIII დღე – ილია: მასა აქაფებულია, გაჩნდა პატარა ბუშტუკები და ისეთი ცუდი სუნი აქვს, ადამატე 75 გრ. მასა, დაუმატე 75 მლ. წყალი, 25 გრ. ჭვავის და 50 გრ. ხორბლის ფეკილი, კარგად მოურიე, დააფარე თავსახური (გერმეტულად არა) და შეინახე 30°C ტ-ზე.

პურის გამოცხობის დროს:

IX დღე – ილია: მასა აქაფებულია, გაჩნდა პატარა ბუშტუკები და ისეთი ცუდი სუნი აქვს, ადამატე 75 გრ. მასა, დაუმატე 75 მლ. წყალი, 25 გრ. ჭვავის და 50 გრ. ხორბლის ფეკილი, კარგად მოურიე, დააფარე თავსახური (გერმეტულად არა) და შეინახე 30°C ტ-ზე.

• მაცივრიდან გამოიღე 75 გრ. ხაში, დატოვე ოთახის ტემპურატურაზე ერთი საათი;

• დაუმატე 75 მლ. წყალი (ნადგამი) და 75 გრ. ხორბლის ფეკილი, კარგად მოურიე, დააფარე თავსახური (გერმეტულად არა) და შეინახე 30°C ტ-ზე 7-8 საათი. (მოცულობაში 2-3 ჯერ უნდა გაიზარდოს).

მე პურს ვაცხობ პროპორციით – 1 : 2 : 3+ (100 გრ. ხაში + 200 მლ. წყალი + 300+ გრ. ფეკილი). პურს უკეთესი ფერი (მოცისფერი) და გემო ექნება და გაცილებით დიდხანს შეინახება, მახობელის ფეკილს თუ დამატებ (მხოლოდ 2%-ს უფრო მეტი არ შეიძლება).

საქართველის სასურველი აგროკავკაზი

ჟოლო – მოვლა-მოყვანის ტექნოლოგია

ჟოლო (*Rubus idaeus*) კენკროვანი კულტურაა. მისი ნაყოფი შეტად არომატული და ვიტამინებით, ორგანული მჟავებით და ნახშირწყლებით მდიდარია. ჟოლოს კენკრა შესანიშნავი სამკურნალო თვისებებით ხასიათდება.

ზომადი დახასიათება

ჟოლოს ნაყოფებში მშრალი ნივთიერების შემცველობა 12.8-18.8% – ის ფარგლებში მერყეობს. შაქრების შემცველობა 9-10% – ს, პექტინები 0.6-0.9% – ს, ცილები 0.7-0.8% – ს და უჯრედანა – 4.8-5.1% – ს აღწევს.

მისი კენკრა მდიდარია სხვადასხვა სახის ვიტამინებით. ჟოლოში დიდი რაოდენობით არის მინერალური ნივთიერებებიც (სეიციავს 1000-1200 მგ/კგ რკინას, რაც 2-3 ჯერ მეტია ვიდრე შაქ მოცხარში). ჰემატოგენური მიკროელემენტების სიჭარბის გამო, ჟოლო გამოიყენება სისხლნაკლებობის დროს. ჟოლოს ნაყოფი სასარგებლოა ათეროსკლეროზისა და ჰიპერტონული დაავადებების პროფილაქტიკის და მკურნალობისთვის. ჟოლოს ნაყოფი მდიდარია აქროლადი ნივთიერებებით, რომლებიც ხასიათდება ასეპტიკური თვისებებით. მაგალითად, იგი მნიშვნელოვანი რაოდენობით შეიცავს სალიცილის მჟავას.

ჟოლო შესანიშნავი თავფლოვანი მცენარეა. ჟოლოს 1 ჰა ფართობის ნაკვეთიდან შესაძლებელია 80-100 კგ-მდე მაღალი ხარისხის თავფლის მიღება.

სასოფლო-სამეურნეო თვალსაზრისით, ჟოლო მაღალმემოსავლიანი კულტურაა, რადგან მასზე ფასი სტაბილურად მაღალია (საბითუმო ფასი 3.0-4.0 ლარი/კგ) და კარგი საბაზრო მოთხოვნით ხასიათდება.

მოსავლის მიღება იწყება დარგვიდან მეორე წელს. ჟოლო სრულ მსხმოიარობაში შედის მეოთხე-მეხუთე წელს და სწრაფად ანაზღაურებს გაშენების დროს განხურვ ხარჯებს. წინადა შემოსავალი 1 ჰა-ზე განაგრძობით, საშუალო მოსავლიანობის (8 ტ/ჰა) პირობებში, 15 000-18 000 ლარს შეადგენს. პლანტაციის საექსპლოატაციო ხანგრძლივობა 12-18 წელია.

ჟოლო მრავალწლოვანი ნახევრად-ბუჩქოვანი მცენარეა, რომლის მინისქვედა ნაწილი შედგება ფესურის და დამატებითი გვერდითი ფესვებისაგან. ზაფხულის პერიოდში მინისქვედა კვირტებიდან ვითარდება ტოტები, რომლებიც ზაფხულის ივთარებისთვის ამთავრებენ ზრდას, ივთარებენ საკუთარ ფესვებს, კავშირს წყვეტენ დედა მცენარესთან და დამოუკიდებლად ერთნაირ მცენარეებად გადაიქცევიან.

ჟოლოს მცენარე განვითარების ორ-ნაირი ციკლით ხასიათდება: პირველ წელს ახლად აღმოცენებული ტოტები (ერთნაირი სიორტი) ან არ იძლევა ნაყოფს, ან იძლევა მცირე რაოდენობით. იგი სამრეწველო რაოდენობით ნაყოფს მხოლოდ მეორე წელს იძლევა. ნაყოფის დამნიშვნისა და მოკრეფის შემდეგ ორნაირი ტოტი ხდება. ამგვარ წელს ვითარდება ახალი ერთნაირი ტოტები, რომელიც იმავე ციკლს იმეორებს. თუმცა, არსებობენ ვიშები, რომლებიც მსხმოიარობენ მიმდინარე ერთნაირ ტოტებზე და მოსავალს იძლევიან შემოდგომით.

მსხმოიარობის ტიპის მიხედვით ვიშები იყოფა ორ ჯგუფად: ნახევალში მსხმოიარე (ტულეიმიანი, კენბი, ნოვა, ენკორი და სხვა) და შემოდგომის მსხმოიარე (პერიტეჯი, ოტონი ბლისი, პოლანა, ოტონი ბრიტნი, კაროლინა). ზაფხულში მსხმოიარე ჟოლო მოსავალს იძლევა ივნისის ბოლოდან აგვისტოს დასაწყისამდე. შემოდგომის მსხმოიარე ვიშები იკრებება აგვისტო-ოქტომბერში.

ნაკვეთის შერჩევა

ჟოლო მოითხოვს კარგად განათებულ მზიან ადგილს. იგი ცუდად იტანს ჭარბ ტენიანობას. არასასურველი დრენაჟის პირობებში სასურველია შემალბებული კვლების გაკეთება. ადგილის შერჩევისას უპირატესობა ენიჭება წყალგამტარ, ორგანული ნივთიერებით მდიდარ ნიადაგებს.

საქართველოს პირობებში ჟოლოს პლანტაციის გასაშენებლად უკეთესია ჩრდილოეთის, ჩრდილო-აღმოსავლეთისა და ჩრდილო-დასავლეთის დაქანების გამოყენება.

პლანტაციის გაშენებამდე აუცილებელია ნიადაგის ანალიზის ჩატარება, რათა ზუსტად განისაზღვროს ნიადაგის დასაბალანსებლად აუცილებელი საკვები ელემენტების ოპტიმალური რაოდენობა.

ჟოლო ნაკლებად მგრძობობარეა ნიადაგის pH-ის მიმართ, მაგრამ უფრო კარგად ვითარდება 6.0 – 6.5 pH-ის ფარგლებში (ოდნე ნიავე). კარბონატების მაღალ შემცველ ნიადაგებზე, სადაც pH>8, შეიძლება განვითარდეს ქლოროზული მოვლენები.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ჟოლოს დარგვა ნაკლებად სასურველია ისეთ ადგილებში, სადაც წინა წელს პო-

მიდერის, კარტოფილის ან წინაქის წარმოება ხორციელდებოდა, რადგან შესაძლოა, ახალგაზრდა მცენარეზე დაავადებების გავრცელება მოხდეს.

პლანტაციის გაშენებისთვის ნაკვეთი კარგად უნდა მომზადდეს: ნიადაგი უნდა იყოს კარგად დამუშავებული-მოხსული და დაფარცხული. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ნაკვეთის სარეველებისაგან გასუფთავებას, რადგან გაშენების შემდეგ სარეველების სიჭარბე დიდ სირთულეებს ქმნის და მკვეთრად აქვეითებს მოსავლიანობას.

ბალის გაშენება

ჟოლო უნდა გაშენდეს გვიან შემოდგომაზე, სავეგეტაციო პერიოდის დამთავრებიდან ყინვების დაწყებამდე ან ადრე გაზაფხულზე მარტში ან აპრილის დასაწყისში.

გაშენების ოპტიმალური სქემაა 2.5 – 3.0 მ. X 0.5 – 0.6 მ. ნერგის დარგვისას კეთდება 30-40 სმ სიღრმის და 50-60 სმ სიგანის კვალი (ტრანშეა), სადაც ხდება ნერგის დარგვა. არ შეიძლება დარგვის პროცესში ფესვების გამოშრობა.

დარგვამდე ნერგები სველი ტილოს (სატომზე ქსოვილი) ქსოვილით იფარება, რათა დაცული იყოს მზისა და ქარის ზეგავლენისგან. ნერგი ირგვება ისე, რომ ფესვის ყელი 2-3 სმ-ით დაბლა აღმოჩნდეს ნიადაგის ზედაპირიდან.

ნერგის გარშემო ნიადაგი უნდა დაიტყუნოს და მიორწყოს. ნერგი გადაიჭრება ნიადაგის ზედაპირიდან 10-12 სმ-ზე. ამ დროს ძალიან ეფექტურია მულჩის 6-8 სმ ფენის გამოყენება. მულჩად გამოიყენება ტორფი, გადამწვარი ნაკელი, კომპოსტი, ნამჯა ან ნახერხი.

დარგვის პერიოდში არ არის რეკომენდებული სასუქების გამოყენება. მიმდინარე წელს აზოტის ნაკლები ივნისის შუა რიცხვებში შეაქვთ, ხოლო კომპლექსური სასუქების შეტანა შემდეგი წლის გაზაფხულზე უნდა მოხდეს.

დარგვიდან პირველ წელს მნიშვნელოვანია მცენარის ფესვის გაძლიერება. ამიტომ, დარგვის წელს მცენარეს ყვავილობის და ნაყოფის მოსხმის საშუალება არ უნდა მიეცეს. იმავე წელს ბალში 3-4 ჯერ ტარდება ნიადაგის გაფხვიერება და სარეველების განარგვლა-განადგურება.

ჟოლოს მოვლის აპრობაქსია

ჟოლოს პლანტაციაში აგროტექნიკური ღონისძიებებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია სარეველების წინააღმდეგ ბრძოლა, მორწყვა და მცენარეთა დაცვა. აუცილებელია, რომ მცენარე შეძლებდეს დაავადებად დაცული იყოს სარეველა მცენარეებისგან. ამისთვის გამოიყენება როგორც მექანიკური (მულჩირება, გამარგვლა, გათიხება, გაფხვიერება), ასევე ქიმიური მეთოდები (პერბიტციდების გამოყენება).

რეკომენდებულია რიტამორისების ორ-სამჯერ როტაციული კულტივატორით დამუშავება. იმ შემთხვევაში, თუ ჟოლოს პლანტაცია 1 ჰა-ს აღემატება, აუცილებელია პერბიტციდების გამოყენება.

ჟოლოს პლანტაციებში საზღვარგარეთ რეკომენდებულია „კაზარონის“ (დიკლობენილი) შეტანა ვეგეტაციის დასაწყისამდე, ადრე გაზაფხულზე, 2-3 კგ/ჰა დოზით, ხოლო აღმოცენების შემდეგ, ივნისის დასაწყისში – „გოალის“ (ოქსიფლორენი) 0.2-0.5 ლ/ჰა გამოყენება.

ჟოლოს პლანტაციაში აუცილებელია დაცული იყოს დროული და სათანადო მორწყვის რეჟიმი. კარგი ირიგაცია 2-3 ჯერ ზრდის პლანტაციის პროდუქტიულობას.

ჟოლოს ზედაპირული ფესვთა სისტემა აქვს და მისთვის შეტად სასარგებლოა ხშირი ზედაპირული მორწყვა. ამიტომ, ნვეთივანი მორწყვის სისტემებს დიდი უპირატესობა გააჩნია ჩვეულებრივ მორწყვის მეთოდებთან შედარებით.

აღმოსავლეთ საქართველოს პირობებისთვის რეკომენდებულია მოლეგარით მორწყვა შემდეგი ვადებით: პირველი მორწყვა – ყვავილობის წინ, მეორე მორწყვა – გამონასკვის პერიოდში, მესამე და მეოთხე – სიმწიფის პერიოდში, მეხუთე – მოსავლის აღების შემდეგ.

ნიადაგის გამოყოფის სისტემა შემდეგია: ადრე გაზაფხულზე რიგებში შეაქვთ კომპლექსური სასუქები, (25-80; C-80).

აზოტისა და ფოსფორის შეტანა კი, ნაწილ-ნაწილ უნდა განხორციელდეს: პირველი შეტანა ხდება ადრე გაზაფხულზე (აპრილი), როდესაც მცენარე ჯერ კიდევ მოსვენების მდგომარეობაშია. ამ ეტაპზე ნიადაგში შედის ნლიური ნორმის ორი მესამედი. დარჩენილი ნაწილი შეტანა იწვევს ნიადაგის ივნისის დასაწყისისთვის.

თავი უნდა ავარდით სასუქების შეტანას გვიან ზაფხულში, ან შემოდგომაზე, ვინაიდან ამაში შეიძლება გამოიწვიოს ზამთარამდლოდობის შემცირება.

ძალიან მნიშვნელოვანია ჟოლოს პლანტაციის დაცვა მავნებელ-დაავადებებისგან. ცეზონის განმავლობაში მავნებელ-დაავადებებისგან დაცვა უნდა მოხდეს ნიადაგის დამუშავების მიზნით აუცილებელია ჟოლოს ნაყოფების დამუშავება.



დეტებისაგან დაცვის მიზნით აუცილებელია პლანტაციის 4-5 ჯერ დამუშავება.

ჟოლოს განსაკუთრებით აზიანებს შემდეგი მავნებლები: ჟოლოს ხოჭო, კვირტის ჩრჩილი და ჟოლოს ღეროს ბუზი. ასევე შეტად საშიშია შემდეგი დაავადებები: ანთრაქნოზი, ბოტრიტიცი და ნაცარი.

განსვლა

ჟოლო მოსავალს ძირითადად იძლევა გასული წლის ტოტებზე, რომლებზეც მოსავლის მოცემის შემდეგ ხდება. იმავე წელს ფესვის კვირტებიდან ამოდის ახალი ერთნაირი ტოტი.

ამ ბიოლოგიური თავისებურების გათვალისწინებით ადრე აგებული სხვა სხვა სტრატეგია. გასხვლა ტარდება გვიან შემოდგომაზე ან ადრე გაზაფხულზე. ამ დროს ხდება ყველა ძველი ტოტის ამოჭრა და ახალი ნაზარდების გამოშრობა.

აუცილებელია, რომ რიგის სიგანე არ აღემატებოდეს 40 სმ-ს, რადგან ფართო რიგებში მატულობს დაავადებების გავრცელების ალბათობა. პლანტაციის ყოველ 1 მეტრზე უნდა დარჩეს არაუმეტეს 16-20 ძლიერი ერთნაირი ტოტი. დარჩენილ ტოტებს ამოჭრებენ ერთი მეოთხედით.

ასეთი ტიპის გასხვლა გამოყენებულია ზაფხულში მსხმოიარე ვიშებზე. რაც შეეხება შემოდგომის მსხმოიარე ვიშებს, მათი გასხვლა უფრო მარტივია: ყოველ შემოდგომაზე ან ადრე გაზაფხულზე ხდება პლანტაციის მთლიანი გადაჭრა ძირამდე 3-4 სმ დაცილებით.

საყრდენი სისტემის მოწყობა

ცნობილია, რომ ჟოლოს ტოტები საკმაოდ სუსტია და ადვილად იზინება ნაყოფების სიმძიმით, ამიტომ ჟოლოს პლანტაციის გაშენებისას აუცილებელია საყრდენი სისტემის მოწყობა, ყველაზე უფრო გავრცელებულია მარტივი ტიპის შპალერი საყრდენი სისტემა და ან თ-სებრი საყრდენი სისტემა. საყრდენ სისტემაზე მცენარეების დამარგვლა ხდება კანაფის პოლიეთილენის ბანარის მეშვეობით.

მარტივი ტიპის შპალერი შედგება ხის ბოძებისაგან და 0.9 – 1.0 მეტრი სიმაღლეზე გაბმული ერთი მავთულისაგან. ბოძებს შორის მანძილი 10 – 12 მეტრია, ბოძის დამატური 70-80 მმ, ბოძების სიმაღლე – 1.30 – 1.50 მეტრი. მავთული გაბმულია ორივე მხრიდან.

მარტივი ტიპის შპალერი T-სებრი ტიპის შპალერი შედგება ხის ან ლითონის ბოძებისაგან, რომლებზეც თ-სებურად, 1 მეტრი სიმაღლეზე პირიონტალურად დამარგებულია 40-60 სმ სიდიდის ძელი ან ფიცარი. ბოძებს შორის მანძილი 10-12 მეტრია, ბოძების სიმაღლე – 1.30 – 1.50 მ.

კრეფა

კენკრა მოსაკრეფად მზად არის, როდესაც მას აქვს დამახასიათებელი ღია ალისფერი შეფერილობა და ადვილად სცილდება მცენარეს. კენკრა მეტად სათვითია, ამიტომ აუცილებელია მისი ფაქიზად და ფრთხილად კრეფა.

ჟოლოს ნაყოფი ვერ უძლებს დაბარისებებს, ამიტომ მოსავალი იმ ტარაში იკრებება, რომლითაც მისი გადაგზავნა ხდება. კრეფისას რეკომენდებულია ორი საკრეფო კონტეინერის გამოყენება, ერთში იდება მსხვილი, მეორეში საშუალო და წვრილი ნაყოფები.

ჟოლოს ნაყოფები არათანაბრად მწიფდება, ამიტომ მისი კრეფა უნდა განხორციელდეს ყოველ მეორე – მესამე დღეს, სიმწიფის პერიოდს განსხვავებულია ვიშების მიხედვით და გრძელდება ორი-სამი კვირის განმავლობაში.

მოსავლიანობა

ჟოლოს მოსავლიანობა დამოკიდებულია ნიადაგობრივ პირობებზე, მოვლის აგროტექნიკურ ფონზე და ვიშორ თავისებურებებზე. შესაბამისი მოვლის პირობებში შესაძლებელია 1 ჰა-ზე 8-10 ტონა მოსავლის აღება.

მსოფლიოს მეხილეობის წამყვან ქვეყნებში (საშ, იტალია) ინტენსიური მოვლის პირობებში 1 ჰა-ზე 12-18 ტონა მოსავალს იღებენ.

გაზეთი „ჩვენი სოფელი“

„აგროკავკასია“ გირჩევთ: გამოიყენეთ მცენარეთა დაცვის ბიოლოგიური საშუალებები, თუ ეს შესაძლებელია! გისურვებთ წარმატებებს!

ბიოპროდუქტებზე მოთხოვნილება ყოველდღიურად იზრდება, ამ სფეროში დასაქმებული ფერმერები კი მიღებული შემოსავლებით კაპოვილი არიან



გარემოს დაბინძურებამ, ნიადაგების, წყლების, საკვებ პროდუქტებში პესტიციდების დაგროვებამ და სხვა მრავალმა ფაქტორმა კაცობრიობა დიდი სირთულეების წინაშე დააყენა. მსოფლიოში ნათლად გამოიკვეთა ქიმიური მეთოდების გამოყენების ალტერნატიული გზების ძიების აუცილებლობა და ბიოაგრონომიაზე გადასვლის გარდაუვალი მოთხოვნილება, რადგანაც ადამიანის ჯანმრთელობაზე მეტად უარყოფითად მოქმედებს მინერალური სასუქებით და შხამქიმიკატებით მიღებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები.

ბიონარმოების მიმართულებით ევროპასა და მსოფლიოს სხვა განვითარებულ ქვეყნებში უკვე 20-25 წელიწადზე მეტია ინტენსიურად მუშაობენ და განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ბიოპროდუქტების წარმოებას. ამ ქვეყნებში უკვე იყიდება სერტიფიცირებული პროდუქტები, რომლებიც დიდი პოპულარობით სარგებლობენ და „მოთხოვნა მნიშვნელოვნად აჭარბებს წარმოებას“. ის ბევრად უფრო ძვირად იყიდება, ვიდრე ჩვეულებრივი, შხამქიმიკატებით მოყვანილი საკვები პროდუქტები.

საქართველოში ბიონარმოების პროდუქტების წარმოება სიახლეა, მაგრამ მთავრობა ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ფერმერები დაინტერესდნენ და ამ მიმართულებით საქმიანობა გააქტიურონ.

ყვარლის მუნიციპალიტეტშიც აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა ბიონარმოების სფეროს გაფართოებისათვის და ფერმერთა გარკვეული ნაწილი უკვე აწარმოებს ბიოპროდუქტებს სუფთა პროდუქტს, რომლის რეალიზაციასაც უპრობლემოდ ახორციელებენ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მოსახლეობის უმეტესობა, ვინც სოფლის მეურნეობის სფეროშია დასაქმებული, ბიონარმოების სიახლეებში გარკვეული არ არის და ამიტომაც გადავწყვიტე ინტერვიუ ჩაგვეწერა წარმატებულ ფერმერთან, რომლის ღვინო სახელწოდებით „ნაოტრი“ ევროპაში ჩატარებულ ღვინოს ფესტივალზე ასიდან ოთხმოცდაათამეტი ქულა მიიღო და საუკეთესო ღვინოდ იქნა აღიარებული.

აღნიშნული ბრენდის ავტორი გახლავთ ინჟინერ-ტექნოლოგი კობა ქვაჭრელიშვილი, რომელიც ათეული წლები მუშაობდა მეღვინე-ტექნოლოგად ღვინოს გადამამუშავებელ საწარმოში, მაგრამ, სამწუხაროდ, დღეს მხოლოდ საკუთარი ვენახის მოვლითა და ღვინოს წარმოებით არის დაკავებული.

– ბატონო კობა, როდის და რატომ გადაწყვიტეთ ბიოპროდუქტის წარმოება დაგეყნოთ?

– ბიოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოება დაიწყო 2000 წლიდან საკუთარი ოჯახის ჯანმრთელობის გაუმჯობესების მიზნით.

ბიოლოგიურად სუფთა ყურძნის გარდა მოგვყავს ყველა სახეობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი, რომელსაც მთელი წლის განმავლობაში ვიყენებთ საკვებად.

– პირველად მიღებული ბიოლოგიურად სუფთა ყურძნით როგორი ღვინო გამოვიდა, როგორი შეფასება მიეცით მეღვინე-ტექნოლოგმა?

– ორიათას წელს მოვიყვანე ბიოლოგიურად სუფთა ყურძენი და მისგან მიღებული ღვინო გამოვიდა გემოვნებითაც და თავისი ნატურალური შემადგენლობითაც საუკეთესო ხარისხის.

– რა სახის ტექნოლოგიურ პროცესებს იყენებთ ნატურალური ღვინოს მიღებისთვის?

– ნატურალურ ღვინოს ვიღებ ქვევრებში და დღეებით და მთელი წლის განმავლობაში ჭაჭაზე დავარგებთ.

– რამ გიბიძგოთ საკუთარი ღვინოს ცნობადობაზე გეზრუნათ?

– მოგეხსენებათ, რომ ქვევრში დამზადებულ ღვინოს არ ჰქონდა კარგი შეხედულება მთელი მსოფლიოს მასშტაბით, მეტსაც გეტყვით, პირს არ აკარებდნენ. ჩემნაირმა ადამიანებმა, რომელთაც უყვართ ვაზი და მისგან დამზადებული კეთილმოხილი სითხე, ქართული წინაპრული ტრადიციებით, მსოფლიოს შეუცვალეს შეხედულება და ქვევრის ღვინო გახდა ყველაზე საუკეთესო დედაწინაზე.

– ღვინოს ჩამოსხმა, ეტიკეტირება და საერთაშორისო გამოფენაზე წარდგენა საკუთარი სახსრებით შექმელით, თუ რომელიმე პროექტით მოხდა თქვენი დაფინანსება?

– ღვინოს ჩამოსხმა და გამოფენაზე წარდგენა მოხდა მხოლოდ და მხოლოდ ჩემი საკუთარი ხარჯებით.

– რამდენ ჰექტარზე გაქვთ ვენახი გაშენებული და რა ჯიშებია?

– თვრამეტი წლის წინ 4 ჰექტარზე გავაშენე ქისის, ხიხვის, საფერავის და რქანიტელის ჯიშის ვენახი.

– ვაზის სოკოვანი დაავადებებისგან დასაცავად რომელ პრეპარატებს იყენებთ და ძვირი თუა შხამ-ქიმიკატებთან შედარებით?

– სასუქად ვიყენებ დამწვარ ნაკელს და არ შემაქვს მინერალური სასუქები. ჩვენთან არსებული პრეპარატებიდან ვიყენებ მხოლოდ ბორდოს ნარეცს, გოგირდს, ნაცარს და ჩემს მიერ ბუნებრივი ინგრედიენტებით დამზადებულ ნაყენებს.

– ბიოპრეპარატები როგორ იცავენ ვაზს დაავადებებისგან?

– რამდენჯერმე ვცადე იტალიური ბიოპრეპარატი, რომელიც ვაზს დაავადებებისგან ეფექტურად ვერ იცავს და საკმაოდ ძვირიც არის.

– როდის და სად აღიარეს შენი ბრენდი საუკეთესოდ?

– 2017 წელს საქართველოში ჩატარდა მსოფლიოს მეღვინეთა – სომალიეთა საერთაშორისო კონგრესი და ჩემმა ღვინომ უმაღლესი შეფასება მიიღო ქართულ ღვინოებს შორის. 2017 წელს ბერლინის საერთაშორისო გამოფენაზე ჩემმა ღვინომ სახელწოდებით „ნაოტრი“, (რომელიც ხიხვის, ქისის და რქანიტელის ინდივიდუალური საგემოვნო თვისებების გაერთიანებით შექმენი) 98 ბალი მიიღო და ტოპ-გოლდი მიანიჭეს; 2018 წელს ჩემმა საფერავმა 94 ბალი მიიღო და გოლდი მიანიჭეს, 2020 წლის თებერვალში ბერლინში კვლავ გაიმართა ბუნებრივი (ნატურალური) ღვინოს ფესტივალი-კონკურსი და ჩემს მიერ წარმოდგენილმა ორმა ღვინომ ოქროს მედლები დაიმსახურეს.

მეღვინეთა მსოფლიო ასოციაციის პრეზიდენტმა მსოფლიოში ყველაზე საუკეთესო ნატურალური ღვინოს წარმოებისათვის სერტიფიკატი გადმომცა.

– საქართველო ვაზისა და ღვინოს სამშობლოდ იქნა აღიარებული და შესაბამისად პოპულარული გახდა ქართული ღვინოები მსოფლიოს მასშტაბით, თქვენი ბრენდით თუ დაინტერესდა რომელიმე ქვეყანა ანდა რომელიმე პიროვნება უცხოეთიდან. ექსპორტით გადის თუ ჩვენს ქვეყანაში ახდენთ რეალიზაციას?



– ჩემი ღვინოების რეალიზაცია ხდება საქართველოში, ხოლო ბრენდი „ნაოტრი“ იყიდება ამერიკის შეერთებულ შტატებში, იაპონიაში, გერმანიაში, ფინეთში, კანადაში.

ჩემს მიერ დამზადებული ნატურალური ღვინოს ცნობადობის მისაღწევად უამრავი ბარიერი დავძლიე, რაც უდიდეს ძალისხმევას მოითხოვდა და ფინანსურ ხარჯებსაც. საბედნიეროდ შრომა დამიფასდა და ნატურალურ ღვინოზე მოთხოვნა შესამჩნევად გაიზარდა.

ამიტომაც გადავწყვიტე წარმოების გაფართოება და ჩამოსხმული ღვინოს რაოდენობის გაზრდა. ამისათვის დღეიწყე ახალი მარნის მშენებლობა და ქვევრების რაოდენობასაც ვაზრდი.

მადლობას გიხდით ბატონო კობა გულახდილი და საინტერესო საუბრისათვის. გისურვებთ წარმატებებს თქვენს საქმიანობაში.

ესაუბრა
ალექსანდრა გიგილოშვილი



გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. დამფუძნებელია ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოლო გამომცემელი შპს „მედია ცენტრი“. გაზეთში გამოქვეყნებული წერილების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად ავებენ პასუხს მასალაში მოტანილი ფაქტების, არგუმენტებისა თუ ციტატების სიზუსტეზე. შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.	დირექტორი ალექსანდრა გიგილოშვილი მოადგილე ნუგზარ ღონიაშვილი	პასუხისმგებელი მდივანი ია გიგიაშვილი კორესპონდენტი დალი ტატულიშვილი	რედაქციის მისამართი: ქ. ყვარალი, კუდიბორის №2 საკონტაქტო ტელეფონი: 22-01-86
--	--	--	--